

*ბოსკამპი:*
**ჟორდანია ალკმაარს ჭიდულობდა**

6



**დინამოში ლილუაშვილი ითამაშებს**

6



**მილანი იბრას არ ეშვება**

7

**BUNDESLIGA დღეს**

**ბუნდესლიგა იწყება**

შემადგენლობები და სეზონის წინათქმა

» გვერდი 10-11

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 აგვისტო **პარასკევი** 2010

№ 195 (13 183) ფასი 60 თეთრი



**იაშვილისთვის კრიტიკა მისაღებია**

» 5

# ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა



**EuroBasket 2011 LITHUANIA** · **FIBA EUROPE**

*გიორგი ცინცაძე:*
**ხალხის დიდი იმედი გვაქვს**

რეპორტაჟი ღია ვარჯიშიდან » 2



*მანუჩარ მარკოიშვილი:*
**თამაშს ყოველთვის დაცვა იგებს**



ეროვნული ბიბლიოთეკა

**№4 გიორგი გამყრელიძე**

დაიბადა: 01.02.1986
სიმაღლე: 185
გუნდი: მიტელდოიჩერი (გერმ.)
თამაში ნაკრებში*: 27, ქულა 71
უკანახაზელი

**№6 ანატოლი ბოისა**

დაიბადა: 09.09.1983
სიმაღლე: 194
გუნდი: ენერჯი (რუსთავი)
თამაში ნაკრებში 19, ქულა 18
უკანახაზელი

**№7 ზაზა ფაჩულია**

დაიბადა: 10.02.1984
სიმაღლე: 210
გუნდი: ატლანტა ჰოქსი (NBA)
თამაში ნაკრებში 39, ქულა 688
ცენტრი, კაპიტანი

**№8 გიორგი ცინცაძე**

დაიბადა: 07.02.1986
სიმაღლე: 191
გუნდი: სოპოტი (პოლონეთი)
თამაში ნაკრებში 29, ქულა 191
უკანახაზელი

**№9 გიორგი შერმადინი**

დაიბადა: 02.04.1989
სიმაღლე: 216
გუნდი: პანათინაიკოსი (საბერ.)
თამაში ნაკრებში 18, ქულა 79
ცენტრი

**№10 კოტე ტუღუში**

დაიბადა: 03.06.1984
სიმაღლე: 193
გუნდი: ენერჯი (რუსთავი)
თამაში ნაკრებში 14, ქულა 33
უკანახაზელი

**№11 მანუჩარ მარკოიშვილი**

დაიბადა: 17.11.1986
სიმაღლე: 196
გუნდი: კანტუ (იტალია)
თამაში ნაკრებში 16, ქულა 197
უკანახაზელი

**№13 ვიქტორ სანიკიძე**

დაიბადა: 01.04.1986
სიმაღლე: 203
გუნდი: ვირტუსი (იტალია)
თამაში ნაკრებში 22, ქულა 277
ფორვარდი

**№15 ნიკა მეტრეველი**

დაიბადა: 14.01.1991
სიმაღლე: 211
გუნდი: მონტეპასკი (იტალია)
თამაში ნაკრებში 1
ფორვადი

**№21 ტორინ გრინი**

დაიბადა: 28.11.1985
სიმაღლე: 183
გუნდი: გრან კანარია (ესპანეთი)
თამაში ნაკრებში 5, ქულა 54
უკანახაზელი

**№22 ნიკოლოზ ცქიტიშვილი**

დაიბადა: 14.04.1983
სიმაღლე: 212
გუნდი: ფუენლაბრადა (ესპან.)
თამაში ნაკრებში 39, ქულა 311
ფორვარდი

**№23 თორნიკე შენგელია**

დაიბადა: 05.10.1991
სიმაღლე: 198
გუნდი: ვალენსია (ესპანეთი)
თამაში ნაკრებში 8, ქულა 18
ფორვარდი

მწვრთნელი: იგორ კოკოშკოვი (სერბეთი)

* იგულისხმება ოფიციალური შეხვედრები

ემოცია

# ციდან არ ჩამოვფრენილვართ



გერმანელების, სპენსერისა და კოხის კავკასიაში მოგზაურობას (მე-19 საუკუნეში) სპორტის სასახლისკენ მიმავალი ვკითხულობდი. ავტორები ქართველების დახასიათებისას მებრძოლ ხასიათს უსვამდნენ ხაზს - როგორც შვეიცარია გაერთიანდა, ქართველებიც თუ ისე შეიკრნენ, რუსეთის უღელსაც მოიხსნიან და ევროპისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამენო.

ევროპის ჩემპიონატისკენ ჩვენი საკალათბურთო გუნდი მართლაც ბრძოლით მიიკვლევს გზას. დიდი ნაბიჯიც გადადგა. დღეს კიდევ ერთი ნაბიჯი აქვს გადასადგმელი. ჩვენი ერის მებრძოლი ხასიათისა და საგმირო საქმეების შესახებ კი კალათბურთელებს შეხსენება არ სჭირდებათ. მათ მოტივაციაც საკმარისი აქვთ და ბრძოლისუნარიანობაც. **მანუჩარ მარკოიშვილმა** ინტერვიუსას თქვა: დაღლილები როგორ არ ვართ, მაგრამ არ ვწუწუნებთ, ყველაფერი გვავიწყდება, როცა საქართველოს სახელით ევროპის ჩემპიონატისკენ მივიწევთ, ამაზე დიდი მოტივაცია არ არსებობსო.

კოხის სიტყვები გვიან გამართლდა - ქართველებმა თითქმის ორი საუკუნის შემდეგ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა. გათავისუფლდა ქართული კალათბურთიც და მოთამაშეებიც ამტკიცებენ, რომ საკალათბურთო ქვეყანა ვართ, დღევანდელმა ნაკრებმა ევრობასკეტზე თამაშით სპორტულ სამყაროს უნდა გაახსენოს, რომ ჩემპიონთა თასის მომგები თბილისი „დინამო“ არა რუსული, არამედ ქართული გუნდი იყო, ხოლო 1972 წლის ოლიმპიადა საბჭოელებს ქართველმა საკანდელიძემ მოაგებინა. იცით, რატომ უნდა გაახსენოს? იმიტომ, რომ ევროპამ დაინახოს: რომ ქართველები ციდან არ ჩამოვფრენილან, ისტორიიდან მოდიან.

არც იგორ კოკოშკოვის სიტყვები უნდა დაგვავიწყდეს: რაც აქამდე ბიჭებმა გააკეთეს, უკვე გმირობის ტოლფასიაო. დღეს 10 ათასი ქართველი მათთან ერთად ეცდება მორიგი გმირობის ჩადენას.

საქართველოს ნაკრები. ღია ვარჯიში

# ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა

საქართველოს ნაკრებმა გუშინ 19 საათზე ღია ვარჯიში გამართა. მანამდე, 17 საათზე სპორტის სასახლე ბელგიელებს დაეთმოთ. მათ ვარჯიშზე გვიან მივედი და ბოლო წუთებს ვუყურე, რადგან გვითხრეს, დახურული ვარჯიში აქვთო.

არ ვიცი, მანამდე რა აკეთეს, მაგრამ ბოლოს „ლომები“ მეტად ხალისიანად გამოიყურებოდნენ. ერთ ფართან **ვან როსომი** მწვრთნელს სამქულიანებში ეჯიბრებოდა, ხოლო მეორესთან **ერველე და ტაბუ-ებომა** ასევე შორი დისტანციიდან პაექრობდნენ, ოღონდ მარცხენა ხელით სროლაში (ერველეს მარჯვენათი ტყორცნა გაცილებით უკეთესად გამოსდის)... დანარჩენები სკამებზე ისხდნენ და ტაშს არ იშურებდნენ.

მოვიდა ქართველთა ვარჯიშის დრო და ბელგიელთა სკამიდან შეძახილიც გავიგონეთ: ვატოო! საქართველოს ნაკრებს დარბაზში **ვახტანგ ნაცვლიშვილი** შემოჰყვა და სწორედ მისმა გამოჩენამ გაახარა **დიმიტრი ლაუერსი**. ისინი 2002-04 წლებში ფრანგული „დიჟონის“ ღირსებას იცავდნენ.

დარბაზიდან ბელგიელთაგან ყველაზე გვიან **აქსელ ერველე** გავიდა. მასთან გასაუბრებაც მოვასწარი და ინტერვიუს ამავე ნომერში იხილავთ. ამასობაში მოედნის მთელი სივრცე ქართველებმა დაიკავეს. შუა ხაზთან მყოფმა **მანუჩარ მარკოიშვილმა** „რუსთავი 2“-თან ლაპარაკი რომ დაასრულა, „ბუმბულმომარჯვებული“ კორესპონდენტებისთვისაც მოიცალა. თუმცა, ერველეს ინტერვიუს მსგავსად მანუჩართან საუბარსაც ცალკე სტატიად შემოგთავაზებთ.

**ზაზა ფაჩულიას** მარცხენა მუხლზე ისევ სახვევი ჰქონდა, თუმცა ჩვეულად ივარჯიშა და ბელგიასთან მოედანზეც ვიხილავთ.

- პოლონეთთან შეხვედრის წინ ექიმებმა თამაშის უფლება მომცეს. წაგების მიუხედავად, ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი გვაქვს. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა, თუ სამივე დარჩენილ მატჩს მოვიგებთ, პირველ ადგილსაც, ალბათ, ვერავინ შეგვეცილება, - აღნიშნა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა.

**იგორ კოკოშკოვი გიორგი ცინცაძეს** დიდხანს ელაპარაკა. საუბარი რომ დაასრულა, მწვრთნელთან ორი ჟურნალისტი მივედით, მაგრამ მოგვიბოდიშა, არ გირჩევნიათ, კალათბურთელებს დაელაპარაკოთო? მწვრთნელი აღარ შევაწუხეთ. გიორგი ცინცაძემ კი გულშემატკივრობის ფაქტორს გაუსვა ხაზი:

- საბრძოლველად მზად ვართ. ბელგიასთან გამარჯვება ძალიან გვჭირდება. ხვალ სავსე ტრიბუნების დახმარების დიდი იმედი გვაქვს.

ახალგაზრდა **თორნიკე შენგელიამ** გვითხრა, რომ ქართველებს ბელგიელები კარგად ჰყავთ შესწავლილი და გამარჯვებისთვის ემზადებიან:

- ბევრი ვიმგზავრეთ, მაგრამ ენერგიის აღდგენა მეტ-ნაკლებად კარგად მოვახერხეთ და მატჩისთვის მზად ვართ. მნიშვნელობა არ აქვს, თბილისში ბელგიასთან ვთამაშობთ თუ სხვა კონკურენტთან, უნდა მოვიგოთ. ბელგიასთან პირველ მატჩში გვქონდა შეცდომები, რომლებიც უნდა გამოვასწოროთ და მეტოქე ვაიძულოთ, მეტი შეცდომა დაუშვას.

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა **ტორინ გრინმა** განვლილი მატჩები გაიხსენა:

- აქამდე ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ხვალინდელ მატჩამდე ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის კარგი შანსი გვქონოდა. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, როგორც დავიწყეთ, ისევე უნდა განვაგრძოთ. მომდევნო სამ შეხვედრას შორის ყველაზე რთული ხვალინდელი თამაში უნდა იყოს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



გიორგი ცინცაძე და იგორ კოკოშკოვი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 აგვისტო: | | საქართველო-პოლონეთი | 84:65 |
| | | პორტუგალია-ბულგარეთი | 59:67 |
| 5 აგვისტო: | 22:15 | ბელგია-საქართველო | 74:64 |
| | 20:00 | პოლონეთი-პორტუგალია | 86:64 |
| 8 აგვისტო: | 20:00 | ბულგარეთი-პოლონეთი | 74:70 |
| | 23:30 | პორტუგალია-ბელგია | 69:78 |
| 11 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-პორტუგალია | 73:57 |
| | 22:00 | ბელგია-ბულგარეთი | 74:69 |
| 14 აგვისტო: | 19:00 | ბულგარეთი-საქართველო | 79:83 |
| | 20:00 | პოლონეთი-ბელგია | 93:73 |
| 17 აგვისტო: | 22:15 | პოლონეთი-საქართველო | 67:58 |
| | 20:00 | ბულგარეთი-პორტუგალია | 103:64 |
| 20 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-ბელგია | |
| | 23:30 | პორტუგალია-პოლონეთი | |
| 23 აგვისტო: | 20:00 | პოლონეთი-ბულგარეთი | |
| | 22:00 | ბელგია-პორტუგალია | |
| 26 აგვისტო: | 23:30 | პორტუგალია-საქართველო | |
| | 20:00 | ბულგარეთი-ბელგია (სოფია) | |
| 29 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-ბულგარეთი | |
| | 22:00 | ბელგია-პოლონეთი | |

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბულგარეთი | 5 | 3 | 2 | 392/350 | 8 |
| 2. პოლონეთი | 5 | 3 | 2 | 381/353 | 8 |
| 3. საქართველო | 5 | 3 | 2 | 362/342 | 8 |
| 4. ბელგია | 4 | 3 | 1 | 299/295 | 7 |
| 5. პორტუგალია | 5 | 0 | 5 | 313/407 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## მანუჩარ მარკოიშვილი
# დაცვა

**მანუჩარ მარკოიშვილთან ვილაპარაკეთ როგორც პოლონეთ-ბულგარეთზე ასევე ბელგიასთან მატჩზე. ინტერვიუ ლოძში გამართული შეხვედრით დავიწყეთ.**

- როცა სტუმრად 67 ქულაზე მეტს არ მიიღებ, შეიძლება თქვა, რომ დაცვაში ცუდად არ გითამაშია. თუმცა, იყო ხარვეზები. შეტევაში კი ცუდად გამოვიყურებოდით. არაერთი შანსი გვქონდა, მეტოქის დაშვებული შეცდომით გვესარგებლა, მაგრამ ბევრი ავაცილეთ. პოლონეთში ბოლომდე ვიბრძოლეთ, უკანასკნელ წამებამდე არ დამიკარგავს თამაშის შემოტრიალების იმედი, მაგრამ სამწუხაროდ 9 ქულის სხვაობით დავმარცხდით.

**- პროგრამა მინიმუმი, ალბათ, პოლონეთში 19-ქულაზე ნაკლებით წაგება უნდა ყოფილიყო.**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

- პოლონეთში პროგრამა მინიმუმიცა და მაქსიმუმიც გამარჯვება იყო.

**- ბულგარეთის პატარა დარბაზში 2 ათასამდე გულშემატკივარი მივიდა. პოლონეთში 11 ათასიანი არენა იყო...**

- ლოძში მართლაც დიდი დარბაზი იყო და ქომაგიც უხვად მოვიდა. თუმცა ამ ფაქტორს ჩვენზე გავლენა არ მოუხდენია. იმიტომ, რომ ტრიბუნები მოედნიდან საკმაოდ მოშორებული იყო. ქომაგებიც არ იყვნენ საკმარისად აქტიურები. სპორტის სასახლე და აქაური გულშემატკივრობა სხვაა.

**- ბულგარეთის თამაშზეც გკითხავ...**

- ეგ უკვე ძველი ამბავია. ახლა მხოლოდ მომავალ მატჩებზე ვფიქრობ.

**- მაინც, რის ხარჯზე მოახერხეთ ბულგარელების ძლევა?**

- დაცვის ხარჯზე. სტაბილურად ვითამაშეთ. ჩვენც გვქონდა ხარვეზები, მაგრამ ბულგარელებსაც ბევრი შეცდომა მოუვიდათ, რითაც ვისარგებლეთ და შანსი გამოვიყენეთ. პოლონეთთან ეს ვერ შევძელით:

**- მივადექით ბელგიასთან დაპირისპირებას...**

- თამაშს ყოველთვის დაცვა იგებს. ხვალ მჭიდროდ, აგრესიულად უნდა ვითამაშოთ, იმაზე უკეთ, რაც ბელგიამ ჩვენთან შეხვედრაში. მეტოქეს ფიზიკურად მტკიცედ უნდა დავუდგეთ.

**- ბულგარეთ-პოლონეთში მგზავრობების შემდეგ ცოტა დაღლილები ხომ არ ხართ?**

- დაღლილები როგორ არ ვართ, მაგრამ არ ვწუწუნებთ, ყველაფერი გვავიწყდება, როცა საქართველოს სახელით ევროპის ჩემპიონატისკენ მივიწევთ. ამაზე დიდი მოტივაცია არ არსებობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ

## აქსელ ერველე
# ბელგიელები გასაღებს თბილისში ეძებენ

**ბელგიის ნაკრების ლიდერი, „ბილბაოს“ წევრი აქსელ ერველე ვარჯიშის დამთავრების შემდეგ დარბაზიდან ყველაზე გვიან გავიდა. მას დასვენება და ქართველთათვის თვალის დევნება არ დავაცადეთ - ინტერვიუს ჩაწერა ვთხოვეთ და მასთან ერთად განვიხილეთ ჯგუფიდან გასვლის შანსები.**

**- ჯერ ხვალინდელ მატჩზე ვთქვათ.**

- ბელგიის ნაკრები საქართველოში ყოველმხრივ მომზადებული ჩამოვიდა. ვიცით, რომ სავსე, ხმაურიანი ტრიბუნების წინაშე თამაში რთული იქნება, მაგრამ ამისთვისაც მზად გახლავართ, რადგან გვესმის, რომ სწორედ თბილისური მატჩია ჩვენთვის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის გასაღები.

**- სხვათა შორის, ეს მატჩი ქართველებისთვისაც ბევრს წყვეტს.**

- ესეც მესმის და ამიტომაც ველი რთულ მატჩს.

**- პოლონეთში 20 ქულით წააგეთ...**

- ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. იყო რაღაც პრობლემები, ამასთან, პოლონეთში ცოტა დაღლილები ჩავედით...

**- საქართველოს ნაკრებზე უშუალო პაექრობამდე რა იცოდი?**

- თითქმის ყველა კალათბურთელს ვიცნობდი. ზაზა ფაჩულია ამერიკაში ასპარეზობს, ნიკა ცქიტიშვილისა და თორნიკე შენგელიას წინააღმდეგ ესპანეთის პირველობაზე მითამაშია: იტალიიდან ვიქტორ სანიკიძე და მანუჩარ მარკოიშვილი ვიცი. საქართველოში პირველად ჩამოვედი და აქაურობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

**- ბელგიისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი პოლონეთთან შინ გამარჯვება უნდა იყოს.**

- იმ შეხვედრას მართლაც სერიოზული დატვირთვა ექნება. შეიძლება ჩვენი მოგება ქართველებსაც გაწყობდეთ.

**- შესაძლოა...**

- ჰოდა, ნამდვილად არაფერი მაქვს საწინააღმდეგო თუ ჯგუფიდან საქართველო და ბელგია გავლენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თაობათა ესტაფეტა

## გურამ აბაშიძე:
# ამ ბიჭების თამაშის ცქერა მსიამოვნებს



**ეს იყო ნამდვილი სასწაული: მოედანზე ხუთი ლატვიელის პირისპირ იდგა... სამი ქართველი კალათბურთელი, რომლებიც დამატებითი დროის ბოლო წამებზე დაწინაურდნენ და ბალტიისპირელებთან მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს 1959 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. იმ სამი გმირიდან ერთ-ერთი გურამ აბაშიძე გახლდათ, გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების თბილისის „დინამოს“ ღირსეული წარმომადგენელი.**

**1953 წლის საკავშირო ჩემპიონატს საქართველოს დედაქალაქმა უმასპინძლა. დინამოელებმა ქომაგების აქტიური მხარდაჭერით ყველა ორთაბრძოლა უნაკლოდ ჩაატარეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. ერთ-ერთი მატჩის შემდეგ სახელოვანი მწვრთნელი შალვა დიასამიძე შეგირდებს მიუახლოვდა და წარმატება მიულოცა. განსაკუთრებით ერთ-ერთი გამოარჩია — ყოჩაღ, გურამ, შენ დღეს მოედანზე აპოლონივით იდექიო, უთხრა. იმ დღიდან თანაგუნდელებმა სიყვარულით „აპალონა“ შეარქვეს და დღემდე შემორჩა ეს მეტსახელი საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონსა და სოციალისტური ქვეყნების დინამიადების ხუთგზის გამარჯვებულს.**

**გურამ აბაშიძეს პოლონელებთან საქართველოს ნაკრების განმეორებითი შეხვედრის შემდეგ შევეხმიანე.**

— მართალი გითხრათ, გამარჯვებას ველოდი, მაგრამ, ეტყობა, ბიჭებმა ბულგარელებთან მომქანცველი ორთაბრძოლის შემდეგ ძალების სრულად აღდგენა ვერ მოასწრეს. ცოტა არ იყოს, ფორტუნამაც გვაქცია ზურგი — სასწაულია, მაინც რა ბურთები არ ჩავარდა. ისე, ჩვენც მოგვსვლია მსგავსი რამ: 1959 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ქვეჯგუფში მოულოდნელად უზბეკებთან დავმარცხდით. თუმცა რა შედარებაა — შუააზიელებმა, ფაქტობრივად, თამაში არ იცოდნენ. მას შემდეგ იყო, სამმა დინამოელმა ბალტიისპირელებს რომ მოვუგეთ ჯგუფიდან გასასვლელი მატჩი. არადა, ლატვიელები ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელები იყვნენ და მათი სასტარტო ხუთეული საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში შედიოდა. ამ ორთაბრძოლის შემდეგ სახელოვანმა მწვრთნელმა **ალექსანდრ გომელსკიმ „სოვეტსკი სპორტში“** დაწერა, რომ ასეთი სასწაულის მოხდენა მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ.

პოლონელებთან მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მთავარი კოზირი — სისწრაფე ვერ გამოვიყენეთ, სამქულიანებსაც მოკრძალებულად ვესროდით. არადა, სწორედ ამ მხრივ ვაჯობეთ სტუმრად ბულგარელებს და ორი ქულაც ავართვით.

**— განვლილი თამაშების მიხედვით მთლიანად ნაკრებზე რას იტყვით?**

— შესანიშნავი გუნდი გვყავს. ერთ-ერთი მატჩის შემდეგ მე და გურამ მინაშვილმა გავიკვირვეთ კიდეც — ასეთი კოლექტივი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე აქამდე როგორ ვერ უნდა მოხვედრილიყო. ეტყობა, ისეთი დამრიგებელი აკლდათ, როგორიც იგორ კოკოშკოვია.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: შესანიშნავი გუნდი გვყავს. მსიამოვნებს ამ ბიჭების თამაშის ყურება. ჩვენს დროს როგორც „დინამოში“, ისე საქართველოს ნაკრებში მატჩის მთელი სიმძიმე 6-7 კალათბურთელზე გადადიოდა, დღეს კი მეტ-ნაკლებად თორმეტივეს შეგიძლია ენდო. გამოკვეთილი ლიდერები მაშინაც გვყავდა. ოთარ ქორქია — კაცი-ლეგენდა, რომელიც თვით რუსებმა გასული საუკუნის მიწურულს ევროპის ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს. 1959 წელს მონტევიდეოში რომ ჩავედით, იქაური მოთამაშეები მოვიდნენ და ქორქიას ქვეყნიდან რომელი ხართო, გვკითხეს. მე და მინაშვილს გვეამაყებოდა, რომ ასეთი პიროვნების გვერდით ვთამაშობდით. დღეს ფაჩულიაა ნამდვილი ლიდერი, რომელსაც მთელი გუნდის აყოლიება შეუძლია. ძალიან მომწონს სანიკიძე. არაჩვეულებრივად გრძნობს ბურთს, სიტუაციებშიც შესანიშნავად ერკვევა. ერთგვარად ჩვენს „პტიცას“ მაგონებს, ვლადიმერ უგრეხელიძეს, ჩიტივით აფრენილს ჰაერში შეყოვნება რომ შეეძლო. თუმცა ვიქტორი დაცვაში ვოვაზე ბევრად ძლიერია. ახლა სხვა ბიჭებს არ იკითხავთ?.. მარკოიშვილი, შენგელია, ცქიტიშვილი, შერმადინი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. საერთაშორისო დონეზე თამაშის მეტ გამოცდილებას რომ შეიძენენ, ბევრ კონტინენტს მათთან გამკლავება მართლაც გაუჭირდება. ახლანდელი ბიჭები ქართული კალათბურთის ისეთ ფესვებზე არიან ამოზრდილნი, სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა.

**— ცოტას წარსულსაც ხომ არ გაიხსენებდით?**

— სიამოვნებით. 1954 წელს საქართველოს ნაკრებმა ლენინგრადში ბულგარეთის ეროვნულ გუნდს სძლია. იმავე წელს ეგვიპტეში ევროპის ჩემპიონ მასპინძლებს ზედიზედ სამჯერ მოვუგეთ, მომდევნო წელს, ასევე, ევროპის ჩემპიონ ჩეხოსლოვაკიელებს ორჯერ ვაჯობეთ სტუმრად.

**— თქვენზე ამბობენ, ულიარებელი მსოფლიოს ჩემპიონიაო...**

— 1955 წელს საქართველოს ნაკრებმა სხვა რესპუბლიკებთან, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებთან ერთად სტალინგრადში საბჭოთა კავშირის პირველობაზე იასპარეზა. მესამე ადგილზე გავედით. მაშინ საბჭოთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ტრავინმა მე და გურამ მინაშვილი ნაკრებში მიგვიწვია. ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადებოდით, მაგრამ ბუდაპეშტში ვერ გავემგზავრე, რადგან იმ წელიწადს სკოლას ვამთავრებდი და შეჯიბრებაზე არ გამიშვეს. სამაგიეროდ, ცოტა მოგვიანებით ვარშავაში ახალგაზრდების მსოფლიო ფესტივალზე და პირველი ადგილი დავიკავე. მეორედ ნაკრებში 1958 წელს მიხმეს, თუმცა მაირანოს თასის გათამაშებაზე არ წამიყვანეს, რადგან გუნდი უკვე დაკომპლექტებული იყო. მაშინ გურამ მინაშვილმა გამოიჩინა თავი — სპეციალური პრიზი დაიმსახურა, ნაკრებმა კი ყველას აჯობა. სტეპან სპანდარიანმა იმ გუნდში ჩამრთო, 1959 წელს იანვარში ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ იასპარეზა. მაშინ ნაკრებში თამაშობდნენ კალათბურთის დიდოსტატები — მინაშვილი, ვალდმანისი, კრუმინში, ზუბკოვი, სემიონოვი, ბოჩკარიოვი, ტორბანი, ოზეროვი, კუტუზოვი, მუუნიეკსი და კორნეევი. მართალია, ქვეჯგუფში არცთუ ისე ძლიერ კანადასთან დავმარცხდით, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც გავედით. იქ ზედიზედ ვძლიეთ პუერტორიკოელებს, ბულგარელებს, მასპინძლებს, ბრაზილიელებს, თვით ამერიკელებსაც და, ფაქტობრივად, ჩემპიონობისთვის ერთი ფორმალური მატჩი გვრჩებოდა ტაივანელებთან, რომლის დამარცხებაც არ გაგვიჭირდებოდა, მაგრამ საქმეში პოლიტიკა ჩაერია: მოსკოვიდან სასწრაფო ბრძანება მივიღეთ — ჩან კაიშის ქვეყნის წარმომადგენლებთან პროტესტის ნიშნად არ გვეთამაშა. რა უნდა გვექნა, ასეც მოვიქეცით. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დისკვალიფიკაცია მოგვცა და ბოლო ადგილზე გავედით. ჩემპიონობა კი ბრაზილიელებმა მოიპოვეს, რომლებსაც იმ ტურნირზე ორჯერ ვძლიეთ და ორივეჯერ მინაშვილის დამსახურებით, რადგან ქართველმა კალათბურთელმა სამხრეთამერიკელთა წარმოშობით ლიტველ მეტოქეს, რომელიც გუნდის ლიდერი იყო, ფაქტობრივად ხელი არ გაანძრევინა. მოსკოვში დაბრუნებულს საკავშირო სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ ჩემპიონის ოქროს მედლები დაგვირიგა, რომლებზეც 1959 წელია ამოტვიფრული, მაგრამ ამას რაღა ფასი აქვს, თუკი მსოფლიოში ჩემპიონად არავინ გვაღიარებს. მაშინდელი პოლიტიკა დღეს არავის ახსოვს, ისტორიას სტატისტიკა შემორჩა.

**— 20 აგვისტოს სპორტის სასახლეში ბელგიას ვუმასპინძლებთ...**

— ვუმასპინძლებთ და მოვუგებთ კიდეც. ანტვერპენში მარცხი შემთხვევითობის ბრალი იყო, რომლისგან დაზღვეული არავინაა. დარწმუნებული ვარ, პარასკევს კვლავ გადაიჭედება ტრიბუნები. გულშემატკივარი დიდი ძალაა. დარწმუნებული ვარ, ქვეჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ და ევროპელებს შევახსენებთ, რომ მაღალ დონეზე კალათბურთის თამაში ჩვენც შეგვიძლია...

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

III ტურის წინათქმა



გიორგი მეგრელაძე

# გეოგრაფიული ბალანსი

..ათგუნდიანი ჩემპიონატის ხიბლი იმაშიც მდგომარეობს, რომ, ფაქტობრივად, ყოველ ტურში, სულ მცირე, ერთი მართლაც განსაკუთრებული მატჩია! „ბომბა-მატჩი", „პრინციპული დაპირისპირება", „ტურის ცენტრალური შეხვედრა", - აი, ხშირად ასეთი ეპითეტით რომ შევამკობთ ხოლმე ჩემპიონატის ორი გამორჩეული გუნდის პაექრობას. ასეა ახლაც: ქვეყნის ჩემპიონმა საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს უნდა უმასპინძლოს! აბა, „ოლიმპი"-"დინამოს" მატჩზე მეტი ინტრიგა რაღა უნდა გვქონდეს, თანაც, ეს შეხვედრა „განცალკევებით" ტურის მესამე დღეს ჩატარდება. სხვათა შორის, მხოლოდ და მხოლოდ მესამე ტურში იქნება თამაშები სამ დღედ გადანაწილებული, ყოველ შემთხვევაში, ზამთრის პაუზამდე კალენდარში ასეა მითითებული.

„ოლიმპი"-"დინამოს" მართლაც, გამორჩეული დაპირისპირება კვირას უნდა შედგეს, და ამიტომაც, ამ წყვილზე ხვალ ვისაუბროთ, ისე როგორც შაბათს ჩასატარებელ კიდევ ორ შეხვედრაზე. დღეს კი დანარჩენ ორ წყვილზე ვთქვათ, მით უფრო, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოვლენათა ეპიცენტრში... დასავლეთ საქართველო იქნება: ხუთიდან ოთხი შეხვედრა ხომ ლიხს იქით უნდა ჩატარდეს! ჰო, გახსოვთ, არცთუ დიდი ხნის წინათ როგორ იყო? როგორ და უმაღლეს ლიგას... "თბილისის ჩემპიონატსაც" უწოდებდნენ, - დედაქალაქის ბევრი გუნდი მონაწილეობდა და იმიტომ. ახლა კი როგორც ამჩნევთ, „ბალანსი" დაირღვა, უფრო ზუსტად, გათანაბრდა: უმაღლესი ლიგის ათი გუნდიდან ხუთი დასავლეთ საქართველოს წარმოადგენს, ხუთი კი - აღმოსავლეთს...

## ბაია-ტორპედო

20.08. ზუგდიდი.
გ. თუთბერიძე

**17:00**

არბიტრი ლ. სილაგავა
ასისტენტები: ი. უკლება, ს. სპიცინი
მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე

ერთიანად გადახალისებულ „ბაიას" უმძიმესი მატჩი ელოდება: ზუგდიდში სტუმრად უმაღლეს ლიგაში დიდი ამბიციებით დაბრუნებული „ტორპედო" ჩადის! შეგახსენებთ, რომ **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდმა XXII ჩემპიონატი მარცხით დაიწყო, თანაც იმ შეხვედრაში გუნდის კაპიტანი **როინ ონიანი** გაუძევეს. დანაკლისი, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ, ბევრი გუნდისაგან განსხვავებით, „ბაიაში" სათადარიგოთა სკამის პრობლემა არ დგას. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მომენტია: „ტორპედოს" შემდეგ „ბაიას" კიდევ ორი ურთულესი მატჩი ელოდება („დინამოსთან" და „ზესტაფონთან"). მოკლედ, ზუგდიდურ გუნდს ჩემპიონატის სტარტზე, ფაქტობრივად, ყველა ფავორიტთან მოუწევს საკუთარი ამბიციების დამტკიცება.

...უმაღლეს ლიგაში ზუგდიდისა და ქუთაისის გუნდები უკანასკნელად 1998-99 წლების სეზონში შეხვდნენ; „ტორპედომ" ორივე მატჩი მოუგო „ოდიშს" (3:1, 2:0) და აქედან ერთ-ერთში ზუგდიდური გუნდის კარში გოლი „ტორპედოს" ცენტრფორვარდმა **გიორგი მეგრელაძემ** გაიტანა. დღესდღეობით კი ეს გამოცდილი თავდამსხმელი „ბაიას" ღირსებას იცავს, ისე როგორც **კახა ჩხეტიანი**, - მეგრელაძის მსგავსად არაერთი სეზონი რომ გაუტარებია „ტორპედოში". თავის მხრივ, „ტორპედოს" შემადგენლობაშიც არის ორი ფეხბურთელი, გარკვეული პერიოდი ზუგდიდურ გუნდებში რომ უთამაშიათ: **სევასტი თოდუა და ნოდარ მაჭავარიანი.**

ისე, რახან ფეხბურთელებზე ვსაუბრობთ, **ლევან აკობიაც** უნდა ვახსენოთ: „ბაიას" შემადგენლობაში ერთადერთი ფეხბურთელი, 1998-99 წლების სეზონში „ტორპედოს" წინააღმდეგ რომ უთამაშია. ისე, მწვრთნელებსაც, ვფიქრობთ, არაფერი „დაუშავებიათ" და, რაღა თქმა უნდა, **ოთარ გაბელიასა** და **ზაურ სვანაძის** ფაქტორიც უნდა ვახსენოთ: „ბაიას" მწვრთნელ-კონსულტანტების შთამბეჭდავი საფეხბურთო კარიერა ხომ, ფაქტობრივად, ქუთაისის „ტორპედოში" დაიწყო...

## სამტრედია-სიონი

20.08. სამტრედია.
ე. მანჯგალაძე

**17:00**

არბიტრი ლ. კვარაცხელია:
ასისტენტები: ზვ. ერქვანია, ზ. ბერულავა
მეოთხე მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

ამ წყვილის წარმომადგენლებს ჩემპიონატში შედარებით მოკრძალებული მიზნები აქვთ, თუმცა, ერთმანეთს რომ არაფერს დაუთმობენ, ფაქტია; აღსანიშნავია, რომ წინა ჩემპიონატში ამ გუნდების ოთხი დაპირისპირებიდან სამი ფრედ დამთავრდა და მხოლოდ ერთხელ შეძლო ერთ-ერთმა გუნდმა („სიონმა") გამარჯვება.

მოკლედ, უმაღლეს ლიგაში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნებულ „სამტრედიას" ბოლნისური კლუბი ჯერ არ დაუმარცხებია და ნავსის გატეხას, ალბათ, დღეს შეეცდება. სხვათა შორის, დღევანდელი შეხვედრა იმითაც არის საინტერესო, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდებიან უმაღლესი ლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელები: **გელა სანაია** („სამტრედია") და **გიორგი ყიფიანი** („სიონი") 32-32 წლისანი არიან!

უფრო საინტერესო კი ის არის, რომ გელა სანაიას უმაღლეს ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავს, ოღონდ ორი „გამონაკლისის" გარდა: **შოთა ჩომახიძე** მთავარი მწვრთნელის თანატოლია, „სამტრედიაში" სულ ბოლო მომენტში ჩარიცხული **ვალტერ გურჩუა** კი ... მწვრთნელზე სულაც სამი წლით უფროსია. აი, „სიონში" კი, ძირითად ბირთვს ერთიმეორეზე გამოცდილი მოთამაშეები შეადგენენ, ბევრ მათგანთან გიორგი ყიფიანს არაერთი სეზონი გვერდიგვერდ რომ უთამაშია...

**გია ტუხაშვილი**

საქართველოს ნაკრები

# იმედის დაბრუნება

(დასასრული. დასაწყისი იხ. ლელო № 193)

...საქართველოს ნაკრებმა თემურ ქეცბაიის ხელმძღვანელობით სამი შეხვედრა ჩაატარა და, როგორც გუშინ აღვნიშნეთ, ჯერჯერობით, წაუგებლად ვასპარეზობთ. ამ სამ მატჩში საქართველოს ნაკრების ახალმა მწვრთნელმა 27 ფეხბურთელი ათამაშა; ეს რიცხვი, ვისთვის შეიძლება დიდი იყოს, ვისთვის - მცირე, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სამივე შეხვედრა ამხანაგური იყო, ამ შემთხვევაში ფეხბურთელების რაოდენობა (27) მეტ-ნაკლებად „მისაღებად" უნდა მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რომ ექსპერიმენტებისა თუ ფეხბურთელების „საქმეში ნახვის" დრო დამთავრდა - სულ მალე უკვე ოფიციალური მატჩები იწყება. კიდევ ერთი, თანაც არცთუ უმნიშვნელო ფაქტორიც ნუ დაგვავიწყდება: კლაუს ტოპმიოლერისა და ექტორ რაულ კუპერისგან განსხვავებით, თემურ ქეცბაია თავისთვის... უცხო გარემოში არ მიდიოდა; ანუ, ზოგადად ქართული ფეხბურთის პრობლემებიც კარგად იცოდა და ჩვენი ნაკრების „შიდა სამზარეულოც". ეგ კი არა, საქართველოს ნაკრების დღევანდელი შემადგენლობის ზოგიერთ წევრთან ერთად, თავის დროზე, ათეულობით მატჩიც ჩაუტარებია...

თუმცა, მაშინ (90-იანი წლების ბოლოს) ასე მტკივნეულად არ იგრძნობოდა კვალიფიციურ ფეხბურთელთა დეფიციტი; ის კი არა, საქართველოს ნაკრებში, ხშირ შემთხვევაში, ძირითადში ისეთი მოთამაშეები ვერ ხვდებოდნენ, საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში, კიევის „დინამოსა" თუ ევროპის სხვა ცნობილ კლუბებში რომ ასპარეზობდნენ (ოღონდ, ეს უფრო 90-იან წლების შუა პერიოდს ეხება). ახლა კი, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ქართულ ფეხბურთში ადამიანური რესურსის მართლაც კატასტროფული დეფიციტია. აი, ქეცბაიამ იმ სამ ამხანაგურ მატჩში 27 ფეხბურთელი ათამაშა; როგორ ფიქრობთ, კიდევ რამდენის გამოცდას დააპირებდა? ალბათ, 10 ან 12 ფეხბურთელის (ეგაც, ძალიან „გაბერილი" რიცხვებია), ტრავმებისა თუ... საპასპორტო პრობლემების გამო, ჯერჯერობით რომ არ უთამაშიათ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, შესარჩევ ციკლში ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში რაიმე განსაკუთრებულ „სიურპრიზებს" არ უნდა ველოდოთ. იმედი დავიტოვოთ, რომ ერთი-ორი ტრავმირებული ფეხბურთელიც მალე მომჯობინდება, ზოგი საპასპორტო პრობლემას გადაჭრის და ზოგსაც - თავის კლუბში სათამაშო პრაქტიკა ექნება. რაც მთავარია, თითოეულმა ფეხბურთელმაც და, საერთოდ, ქართველმა გულშემატკივრებმაც, ანუ, ყველამ, კარგად იცის, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ და მხოლოდ ისინი ითამაშებენ, ამას რომ იმსახურებენ.

ახლა კი საქართველოს ნაკრების თითოეულ რგოლზე ვისაუბროთ: სამივე ამხანაგურ მატჩში მონაწილე ფეხბურთელებზეც და იმათზეც, თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით ჯერ არც ერთი შეხვედრა რომ არ ჩაუტარებიათ.

### მეკარეები

მხოლოდ ბოლო წლებში კი არა, ლამის საქართველოს ნაკრების დაარსებიდან მოყოლებული, ჩვენი უპირველესი გუნდის ნებისმიერი წარუმატებლობა... მეკარეებს ჰბრალდებოდათ ხოლმე; კი, უნდა ვაღიაროთ, რომ რამდენიმე შემთხვევა მართლაც მომხდარა, როცა ჩვენი ნაკრების ამა თუ იმ მეკარის კურიოზულ შეცდომას კონკრეტული მატჩის ბედი გადაუწყვეტია; მაგრამ, არც ისე ყოფილა საქმე, რომ გვეთქვა: სხვა ამპლუის ფეხბურთელები „დაფრინავდნენ" და აი, მეკარეების გამო კი... ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ვერ გავდიოდითო!

... სამ ამხანაგურ შეხვედრაში თემურ ქეცბაიამ სამი მეკარე გამოსცადა; როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ შეხვედრაში ჩვენი ნაკრების კარი **გიორგი ლომაიამ** დაიცვა. არ გვინდა ამ უკანასკნელის ახალგაზრდა კოლეგებს ვაწყენინოთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღესდღეობით ლომაიაზე უკეთესი მეკარე არა გვყავს; რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ჩვენზე კარგად თემურ ქეცბაიამაც იცის და საქართველოს ნაკრების მეკარეთა მწვრთნელმა **მამუკა აბუსერიძემაც** - სხვა შემთხვევაში, ესტონეთის წინააღმდეგ ლომაიას მაგივრად სხვას დაეყრდნობოდნენ.

მოკლედ, მეკარის საკითხი პრობლემატური არ უნდა ყოფილიყო, მით უფრო, რომ **ნუკრი რევიშვილიც**, ბოლოს და ბოლოს, უკვე აგვარებდა საპასპორტო-სავიზო პრობლემებს და ყველანი ჯანსაღი კონკურენციის მოლოდინში ვიყავით. თუმცა, უკვე მეორე ამხანაგური მატჩის წინ, ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, ლომაიამ ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა. აღარ გვინდა ამ გადაწყვეტილების მიზეზებს ჩავუღრმავდეთ, თუმცა რეალობას ვერსად გავექცევით: დღესდღეობით საუკეთესო ქართველი მეკარე ჩვენს ნაკრებში აღარ თამაშობს. არადა, ლომაია მართლაც ჩინებულ ფორმაშია, რაც ბაქოს „ინტერის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პოლონურ „ლეხთან" განმეორებით მატჩშიც არაერთხელ დაადასტურა...

მეორე ამხანაგურ მატჩში ჩვენი ნაკრების კარს ბევრისგან „მივიწყებული" ნუკრი რევიშვილი იცავდა, - საქართველოს ნაკრებში სამწლიანი პაუზის მერე რომ დაბრუნდა. ისიც გაგვიხარდა, რომ „რუბინისგან" განსხვავებით, ახალ კლუბში („ანჟიში") სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა, თუმცა, „ზენიტთან" მატჩის მინუტულს საბედისწერო შეცდომის შემდეგ მახაჩყალელთა გუნდის ახალი თავკაცი - **გაჯი გაჯიევი** ქართველ მეკარეს აღარ ენდობა. იმედია, ეს დროებითი პრობლემაა და რევიშვილიც შეძლებს „ანჟიში" ძირითადი მეკარის სტატუსის დაბრუნებას; თორემ ამ მართლაც ნიჭიერ მეკარეს სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო ისედაც ბევრი გაუცდა.



გოგიტა გოგუა

სხვათა შორის, ბევრს ეგონა, რომ მოლდოველებთან მატჩშიც რევიშვილი ითამაშებდა, მაგრამ თემურ ქეცბაიამ ამჯერად კიდევ ერთი მეკარე, თბილისის დინამოელ **გიორგი ლორიას** ენდო. ლორიას ურიგოდ არ უასპარეზია (ერთ ეპიზოდში სულაც გოლისგან გვიხსნა), თანაც, იმავე რევიშვილისგან განსხვავებით, სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას არ განიცდის. თუმცა, ამ ეტაპისათვის მართლაც დიდ გამოცანად რჩება, თუ ვის მიანდობენ 3 სექტემბერს საქართველოს ნაკრების კარის დაცვას. ზემოთ დასახელებული მეკარეების გარდა **როინ კვასხვაძე** და **მაქსიმე ქვილითაიაც** იყვნენ და არიან კიდეც კანდიდატთა სიაში. კვასხვაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანია და ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენს 21-წლამდელთა ნაკრებსაც არანაკლებ პრინციპული მატჩი ელოდება თურქეთში.

თუმცა, ის კი ცხადია, „დღეს" თუ არა „ხვალ" მაინც როინ კვასხვაძეს სერიოზული პრეტენზია უნდა ჰქონდეს საქართველოს ეროვნული ნაკრების ძირითად მეკარეობაზე. მაქსიმე ქვილითაიას კი (საქართველოს XXI ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა რომ გახლდათ), ჯერ თავის ახალ კლუბში („ტორპედოში") მოუწევს ძირითადი მეკარის სტატუსის მოპოვება და თუ შარშანდელივით იასპარეზებს, ნაკრების მწვრთნელებისთვის შეუმჩნეველი ნამდვილად არ დარჩება. აი, რაც შეეხება **გიორგი მაკარიძეს**, სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდა მეკარეს თავის კლუბში (ფრანგულ „ლე მანში") კვლავაც უთამაშებლობის პრობლემა აწუხებს.

### მცველები

სამივე ამხანაგურ შეხვედრაში თემურ ქეცბაიამ რამდენიმე ტაქტიკური სქემა მოსინჯა: ესტონეთთან და კამერუნთან 4-2-3-1 იყო, მოლდოვასთან თავდაპირველად 4-4-2-ით ვთამაშობდით და მერე, თამაშის მსვლელობისას რამდენჯერმე შეიცვალა. ანუ, ისე აღარ არ არის, როგორც კუპერის დროს, როცა ჩვენი ნაკრები ნებისმიერ მეტოქესთან (შინ თუ გარეთ) ერთი და იმავე განლაგებით (4-3-2-1) ასპარეზობდა. რაც მთავარია, ქეცბაია მაქსიმალურად ცდილობდა იმ სამივე ამხანაგურ მატჩში ფეხბურთელები სხვადასხვა პოზიციაზე გამოეყენებინა.

ჰოდა, უნდა ვაღიაროთ, რომ დღესდღეობით საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას თავისუფლად შეუძლია, სულ მცირე, 2-3 პოზიციაზე თამაში. დაცვის მარჯვენა ფლანგზე ესტონეთთან თუ **ლაშა სალუქვაძე** ვიხილეთ, მომდევნო შეხვედრაში უკვე **უჩა ლობჟანიძე** თამაშობდა ამ პოზიციაზე. ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ რუსეთის ჩემპიონის, „რუბინის" ძირითადმა ფეხბურთელმა ლაშა სალუქვაძემ კამერუნთან მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. მოკლედ, მარჯვენა მცველის პრობლემა არ უნდა გვქონდეს, თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ იმავე სალუქვაძეს დაცვაში ნებისმიერ სხვა პოზიციაზეც შეუძლია თამაში (ისე როგორც ლობჟანიძეს - ცენტრში).

საპირისპირო ფლანგზე ესტონელებთან **დავით კვირკველიამ** ითამაშა, კამერუნთან - **ილია კანდელაკმა**, ხოლო მოლდოვასთან კი თავდაპირველად ამ პოზიციაზე **კახა კალაძე** ასპარეზობდა. აქაც რამდენიმე ვარიანტია. თანაც, ჩვენი ნაკრების კაპიტანი (იმედია, საკლუბო პრობლემას მალე მოაგვარებს) იმავე ესტონეთთან მატჩში ხომ დაცვის ცენტრში ვიხილეთ; ჰო, როცა დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ აღდგა კახა კალაძისა და **მალხაზ ასათიანის** „დუეტი"! ასათიანი ჩვენი ნაკრებისათვის მართლაც შეუცვლელი ფეხბურთელია და მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუ სად უფრო ეფექტიანი იქნება ასეთი შესაძლებლობების მქონე მოთამაშის გამოყენება: დაცვის ცენტრში თუ ნახევარდაცვაში (აი, როგორც კამერუნთან იყო).

» მე-6 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები


მალხაზ ასათიანი

# იმედის დაბრუნება

« მე-4 გვერდიდან

ზუსტად იგივე სიტუაციაა ჩვენი ნაკრების კიდევ ერთ გამოცდილ ფეხბურთელთან მიმართებაშიც: ესტონეთთან შეხვედრაში თემურ ქეცბაიამ გარკვეული სიურპრიზიც შემოგვთავაზა, როცა ერთ-ერთ საყრდენ ნახევარმცველად **ზურაბ ხიზანიშვილი** დააყენა. სამაგიეროდ, იმავე კამერუნთან შეხვედრაში ნახევარდაცვაში ასათიანმა „პინია“, ხოლო ხიზანიშვილი დაცვის ცენტრში შეუწყვილდა კიდევ ერთ „დაბრუნებულს“ - **ალექსანდრე ამისულაშვილს** (უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი მატჩი, ისიც ამხანაგური, რომ ჰქონდა ნაკრებში ჩატარებული). თავის პირველ და მეორე მატჩში ქეცბაიამ **გიორგი შაშიაშვილიც** ათამაშა; ამ შემთხვევაშიც საქმე უნივერსალთან გვაქვს, რამეთუ საბერძნეთის ჩემპიონატში მოასპარეზე შაშიაშვილს დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში.

თბილისის „დინამოში“ მობრუნებულ **გურამ კაშიას** კი საკმარისზე მეტი მოტივაცია ექნება, რომ ნაკრებში კვლავ გამოიძახონ. ყოველ შემთხვევაში, ქეცბაიას ასისტენტი სოსო ჭედია ხომ საქართველოს ჩემპიონატის არც ერთ ტურს არ აცდენს და ჩვენს პირველობაზე თავგამოჩენილი მოთამაშეებიც არ „გამოეპარება“; მით უფრო, მცველები - თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრების კაპიტანი **სოსო ჭედია** ფეხბურთელობის დროს ხომ ამპლუით მცველი გახლდათ...

**ნახევარმცველები**

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ თემურ ქეცბაიამ ამ სამივე ამხანაგურ მატჩში რამდენიმე ტაქტიკური სქემა მოსინჯა. თუმცა რა ბევრი მტკიცება სჭირდება იმ ფაქტს, რომ ჩვენი ნაკრებისათვის უმნიშვნელოვანესი რგოლი სწორედ ნახევარდაცვა უნდა იყოს; მნიშვნელობა არა აქვს, ორი საყრდენითა და სამი შემტევით, ოთხი ნახევარმცველით, სამი შუახაზელითა და ორი გარემარბით - ანუ, ყველა ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი ნაკრების ნახევარდაცვაში სამ ფეხბურთელს ადგილი „დაბევებული“ აქვს.

**ლევან კობიაშვილზე** ახალი რა უნდა ვთქვათ: 14 წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრებში, ვინ მოთვლის, რამდენჯერ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი, მაგრამ კობი ყველასათვის შეუცვლელ ფეხბურთელად იყო და არის კიდეც. თანაც, სამივე ამხანაგურმა მატჩმა ცხადყო, რომ წინამორბედისგან განსხვავებით, ქეცბაია კობიაშვილის ადგილს მხოლოდ ნახევარდაცვაში ხედავს, და არა - დაცვის მარცხენა ფლანგზე.

კობიაშვილის მსგავსად სამივე მატჩი ძირითადში დაიწყო **ალექსანდრე იაშვილმაც** - ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს უნივერსალ შემტევთან, ორივე ფლანგზე რომ შეუძლია თამაში. აი, მესამე, მართლაც შეუცვლელი ფეხბურთელი კი **გოგიტა გოგუა** გახლავთ, კუპერის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებში ერთი მატჩიც რომ არ ჩაუტარებია. ესტონელებთან მატჩში გოგუა, ფაქტობრივად, გამთამაშებელად ვიხილეთ და ეს მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი იყო; არადა, ამ ენერგიულ ფეხბურთელს ნახევარდაცვის ორივე ფლანგზეც ერთნაირი წარმატებით თამაში ეხერხება და საყრდენობასაც ჩინებულად ითავსებს (ეგ კი არა, თუ საჭირო გახდა, დაცვის ფლანგებზე თამაშიც იცის).

ესტონეთთან და კამერუნთან იასპარეზა **ზურაბ მენთეშაშვილმა**, მის გარდა ქეცბაია უფრო ხშირად და ხშირად ენდობა საქართველოს ჩემპიონატში მოასარეზე ორ გამოცდილ ნახევარმცველსაც - **თორნიკე აფციაურსა** და **ალექსანდრე კოშკაძეს**; თუმცა, გასაკვირი არაფერია - ნაკრებში ხომ აუცილებელია ისეთი ფეხბურთელი, ერთი, გონივრული პასით თანაგუნდელი ხელსაყრელ პოზიციზე რომ გაიყვანოს.

აფციაურსა და კოშკაძეს ამ კომპონენტში არაფერი დაეწუნებათ, ისე როგორც ნაკრების პოტენციურ კანდიდატს **ლევან გვაზავას**; ოღონდ, იმედია, ეს უკანასკნელი საპასპორტო პრობლემას მოაგვარებს და საკუთარ შესაძლებლობებს ამიერიდან საქართველოს ნაკრებშიც დაამტკიცებს. იმის იმედიც დავიტოვოთ, რომ რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდეს **ლევან ყენია**, - 19 წლის ასაკში საქართველოს ნაკრებისთვის მართლაც შეუცვლელ ფეხბურთელად რომ იქცა; იმავე ვიტყოდით ასევე ტრავმებისგან განამებულ **ჯაბა კანკავაზე**, ხოლო ახალგაზრდული ნაკრებიდან პოტენციურ კანდიდატებად **ბუბა დაუშვილი** და **ირაკლი კლიმიაშვილი** მიგვაჩნია.

ყველაზე „ტკბილი“ კი ბოლოსკენ შემოვინახეთ: ქართული ფეხბურთის „მარგალიტმა“ **ჯანო ანანიძემ** თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა (კამერუნთან); თუმცა, რა ბევრი მტკიცება სჭირდება იმ ფაქტს, ახალ შესარჩევ ციკლში ეს პატარა ბიჭი ჩვენი უპირველესი გუნდის ერთ-ერთი იმედი რომ უნდა იყოს...

**თავდამსხმელები**

**ლადო დვალიშვილი, გიორგი მერებაშვილი, დავით სირაძე**, - აი, ამ სამ სხვადასხვა სტილის ფორვარდს თემურ ქეცბაია მუდამ ენდობოდა; ყოველ შემთხვევაში, იმავე დვალიშვილმა სამივე მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო.

ესტონელებთან შეხვედრაში მარჯვენა გარემარბად თამაში **ოთარ მარცვალაძემ** დაიწყო, იმავე შეხვედრაში შეცვლაზე აქტიურად შემოვიდა **მათე ვაწაძე**, კამერუნთან და მოლდოვასთან ასევე შეცვლაზე ითამაშა **ნიკოლოზ გელაშვილმა**, ასევე კამერუნთან მატჩის განაცხადში მოხვდა „ზესტაფონის“ კიდევ ერთი ფორვარდი **ჯაბა დვალი**, ხოლო ახალგაზრდა **რეზო ბარაბაძემ** საქართველოს ნაკრებში თავისი მეორე მატჩი ორწლიანი პაუზის მერე ჩაატარა.

აი, ამ ფორვარდთაგან მოუწევს ქეცბაიას საუკეთესოების ამორჩევა და იმის იმედიც დავიტოვოთ, რომ ფაქტობრივად, ერთწლიანი უქმობის შემდეგ სათამაშო პრაქტიკა ექნება ახალგაზრდა და ნიჭიერ **ლევან მჭედლიძეს**. საერთოდაც, ეს რგოლი ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურია: იმავე საბერძნეთისა თუ ისრაელის ნაკრებები დაცვაში მაქსიმალური სიმკაცრით თამაშობენ და ნურავის გვექნება იმის იმედი, ჩვენს თავდამსხმელებს ბურთის თავისუფლად მიღების საშუალება ჰქონდეთ. საერთოდაც, თანამედროვე ფეხბურთში გოლის ალღოთი დაჯილდოებული ფორვარდები მეტისმეტად ძვირად იმადაც ფასობენ, რომ... გოლის გატანა ურთულესზე ურთულესი საქმე გახდა (საერთაშორისო დონეზე ასპარეზობას ვგულისხმობთ).

აქედან გამომდინარე, ჩვენი ფორვარდების აქტიურ და, რაც მთავარია, შედეგიან თამაშზეც, ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონერი

# ალექსანდრე იაშვილი: კრიტიკა მისაღებია, უკეთ თამაში გვმართებს

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე“ გერმანიის თასის გათამაშებას პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა. ჩვენებურის გუნდი, რომელსაც მთავარ ბუნდესლიგაში დაბრუნების ამბიცია აქვს, მესამედან მეორე ბუნდესლიგაში აღზევებულ „ინგოლშტადთან“ სტუმრად 0:2 დამარცხდა და გავარდა. კარლსრუელთა ქართველთა კაპიტანმა ამ შეხვედრაში 90 წუთი დაყო მოედანზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მატჩი, მთლიანად „კარლსრუემ“, და მათ შორის იაშვილმაც ჩააგდო. „ინგოლშტადთან“ წაგება გერმანიაში სენსაციად მონათლეს და „კარლსრუეს“ ფეხბურთელებს კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხეს თავს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მარკუს შუპმაც** არ დაზოგა შეგირდები. მასმედიაში შუპმა იაშვილიც ახსენა - „ინგოლშტადთან“ მატჩში იაშვილს ბევრი წუნი ჰქონდა, არაერთხელ დაკარგა ბურთი და მის დარტყმებს ამჯერად სიზუსტე აკლდაო...

მწვრთნელის ამ კრიტიკის შემდეგ პრესამ ჩვენებურს დაუთმო ტრიბუნა. ალექსანდრე იაშვილის ინტერვიუ, რომელიც გერმანულ ვებგვერდ ka-news.de-ზეა გამოქვეყნებული, ჩვენი მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული. ფრაგმენტს ქვემოთ გთავაზობთ.

ცნობისათვის, სათასო შეხვედრა, რომელშიც კარლსრუელები დამარცხდნენ, 13 აგვისტოს შედგა. იაშვილი, რომელმაც 11 აგვისტოს კიშინიოვში მოლდოვის წინააღმდეგ ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრაში იასპარეზა, „კარლსრუეს“ წინა დღეს შეუერთდა. თუმცა ქართველს თავის მართლება არ დაუწყია და არც სანაკრებო მგზავრობის გამო გადაღლა უხსენებია. ვნახოთ, როგორ შეაფასა წაგებული თამაში „კარლსრუეს“ ქართველმა კაპიტანმა.

*„რა თქმა უნდა, ამ მატჩის შედეგი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად უნდა შეფასდეს. ამ შეხვედრაში ბევრი წუნი გვქონდა, მაგრამ ვინც ეს თამაში ნახა, დამეთანხმება, რომ შეიძლებოდა ეს მატჩი არ წაგვეგო. არაერთი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მომენტების გამოუყენებლობის გამო დავისაჯეთ კიდეც“,* - აღნიშნავს იაშვილი და გუნდის მთავარ მწვრთნელ მარკუს შუპის მხრიდან მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკაზე ასეთი რეაქცია აქვს:

*„დიახ, მწვრთნელმა მეც გამაკრიტიკა. აშკარად ვგრძნობ, რომ შემიძლია და მმართებდა კიდეც უკეთ თამაში. ამ წაგებაში სხვებთან ერთად ჩემს ბრალეულობასაც ვხედავ და ამიტომაც ვიღებ კრიტიკას. მთლიანად გუნდმა ცუდად ითამაშა და ასე აღარ უნდა გაგრძელდეს. ეს წაგება ჩვენთვის ცივი შხაპი უნდა იყოს, რათა გამოვფხიზლდეთ და ჩემ-*



*პიონატში ბევრად უკეთ ვიასპარეზოთ“.*

მეორე ბუნდესლიგაში ახალი სეზონი დღეს იწყება. სასტარტო ტურში, კვირას, 22 აგვისტოს, „კარლსრუე“ „ფიურტს“ სტუმრად ეთამაშება. საუბრის ბოლოს იაშვილს ამ მატჩსა და, საერთოდ, ახალი სეზონის მიზნებზეც დაეკითხნენ.

*„თასის გათამაშება და ბუნდესლიგა სხვადასხვა კატეგორიის ტურნირებია. ჩვენთვის ბუნდესლიგა უფრო მნიშვნელოვანია და ჩემპიონატის მატჩებში მეტად ვართ კონცენტრირებული. ამ სიტყვებით თასის გათამაშებას არ ვაკნინებ, მაგრამ ეს ფაქტია. ახლა მთავარია „ინგოლშტადთან“ ეს წაგება გაკვეთილად გამოვიყენოთ, ფსიქოლოგიურად სათანადოდ განვეწყოთ „ფიურტთან“ მატჩისთვის და მაქსიმალური მობილიზებით ვეთამაშოთ მეტოქეს. ამასთან, ყველანაირად შევეცადოთ, რომ ნაკლები წუნი იყოს ჩვენს თამაშში და მჯერა, რომ შედეგიც გვექნება...*

*გასულ სეზონში მეათე ადგილს დავჯერდით. ამ ჩემპიონატში უკეთესი პოზიციისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ვფიქრობ, შეგვიძლია მინიმუმ მოწინავე ხუთეულში დავმკვიდრდეთ“,* - აღნიშნა ალექსანდრე იაშვილმა.

**დავით ცაბაძე**

U 17

# საპალანგო თვრამეტეული ცნობილია

როგორც იცით, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები პალანგაში მიემგზავრება ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე საასპარეზოდ. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი იქ ხვალ მიდის, ტურნირი კი 23 აგვისტოს დაიწყება და 29-ში დასრულდება.

ქართველმა 17-წლამდელებმა ნაყოფიერი შეკრება გაიარეს და ჟორჟიკაშვილმა 25 კანდიდატიდან შეარჩია ის 18 ფეხბურთელი, რომლებიც პალანგაში საქართველოს ღირსებას დაიცავს.

მეკარეები - **გაბრიელ თებიძე** (ოლიმპი), **ლევან გუდავაძე** (ბაია);

მცველები - **ნიკა სანდოხაძე, ავთო მანაგაძე** (ორივე - დინამო), **დაჩი ცნობილაძე** (ოლიმპი), **სანდრო ჭილვარია, დავით მთივლიშვილი** (ორივე - ლოკომოტივი), **გიორგი როგავა** (ბაია);

ნახევარმცველები - **ლუკას ჰუფნაგელი** (ბაიერნი), **გიორგი სარჯველაძე** (35-ე საფ. სკოლა), **გოგი გოგიჩაიშვილი** (ტორპედო), **გიორგი ჯავახიშვილი** (დინამო), **გურამ სამუშია** (ბაია), **ჯემალ ხანთაძე** (ზესტაფონი);

თავდამსხმელები - **ბაჩო არაბული, გიორგი ფანცულაია** (ორივე - ოლიმპი), **თემურ მარკოზაშვილი** (მერანი თბილისი), **ნიკოლოზ კაჭარავა** (დინამო).

უკვე გაიმართა წილისყრა და გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები უკრაინა, ლატვია და მოლდოვა იქნებიან. A ჯგუფში კი ლიტვა, ყაზახეთი, ბელარუსი და აზერბაიჯანი ითამაშებენ. ფინალში გასასვლელად მხოლოდ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაა საკმარისი.

როგორც ხედავთ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების განაცხადშია მიუნხენის „ბაიერნის“ წევრი **ლუკას ჰუფნაგელი**, გერმანიაში მოთამაშე კიდევ კიდევ ერთი ჩვენებური, „მიუნხენ 1860“-ის ფეხბურთელი **ლუკა ჩხაიძე** კი ჟორჟიკაშვილის გუნდს მოგვიანებით შეუერთდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# კალაძე: ვიტესი? პირველად მესმის

მას მერე, რაც **მერაბ ჟორდანია** ჰოლანდიური „ვიტესის“ პრეზიდენტი გახდა, ჰოლანდიურ კლუბს არაერთი ქართველი ფეხბურთელის მომავალი დაუკავშირეს - მაგალითად, **გიორგი ქანთურია**, რომელსაც „ბარსელონასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და თითქოს „ჩელსისკენ“ უჭირავს გეზი...

გუშინ ჰოლანდიურმა „აიაქსშოუთაიმმა“ უფრო ხმაურიანი ინფორმაცია გაავრცელა - ჟორდანიასთვის სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ნომრად საქართველოს ნაკრებისა და „მილანის“ მცველი **კახა კალაძე** ყოფილა. წყარო დაბეჯითებით ირწმუნება, რომ კალაძეს, რომელსაც „მილანთან“ კონტრაქტი გაისად უმთავრდება, „ვიტესი“ ახლავე გამოისყიდის. სიის მეორე ნომერია შვეიცარიის ნაკრების თავდამსხმელი **ალექსანდერ ფრაი**, რომელიც „დორტმუნდიდან“ მშობლიურ „ბაზელში“ დაბრუნდა. კომენტარისთვის კალაძეს დავუკავშირდით:

*„ვიტესს“ უნდა ჩემი აყვანა? პირველად მესმის. პირადად ჩემთან არავის ულაპარაკია და რამდენადაც ვიცი, ჩემს აგენტსაც არავინ დაკავშირებია. „იუვენტუსის“ ვარიანტზე კვლავ გრძელდება მუშაობა, იმედიანად ვარ განწყობილი და... ვნახოთ“,* - გვითხრა ნაკრების კაპიტანმა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი

### დინამო

# ლილუაშვილი თითქმის დინამოელია

თბილისის „დინამოს“ კიდევ ერთი ფეხბურთელი დაემატება - 25 წლის თავდამსხმელი **ირაკლი ლილუაშვილი**. როგორც გავიგეთ, კლუბსა და ფეხბურთელს შორის შეთანხმება მიღწეულია და უახლოეს დღეებში კონტრაქტიც გაფორმდება. ხელშეკრულების ხანგრძლივობა წლინახევრით განისაზღვრება. მომდევნო კვირაში სლოვაკეთიდან ლილუაშვილის სატრანსფერო ფურცელი ჩამოვა და ახალწვეულს განაცხადში სწორედ ამის შემდეგ შეიყვანენ.

ორიოდ სიტყვა ამ ფეხბურთელზე. 2003 წელს ლილუაშვილი თბილისის „მერანიდან“ ლუგანსკის „ზარიაში“ გადავიდა, სადაც მხოლოდ 5 მატჩი ჩაატარა. მერე სამშობლოში დაბრუნდა და 2004-06 წლებში „თბილისში“ თამაშობდა. ამ გუნდის მაისურით ლილუაშვილმა 23 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 8 გოლი გაიტანა. შემდეგ უკრაინაში დაბრუნდა და იქაურ პერშალიგაში (რანგით მეორე ლიგა) მოასპარეზე „დნეპროძერჟინსკის „სტალში“ ჩაირიცხა. იქ მან 14 შეხვედრაში ითამაშა და მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო.

2006-07 წლებში ლილუაშვილი სლოვაკეთის პირველი ლიგის ბინადარ მიჰალოვცეს „ზემპლინში“ გამოდიოდა - 11 მატჩი, 4 გოლი. 2007 წლიდან მოყოლებული დღემდე ასევე სლოვაკურ „ნიტრაში“ ასპარეზობდა, რომლის შემადგენლობაშიც 8 გოლი გაიტანა. გასულ სეზონში ის ბრიანსკის „დინამოში“ გაანათხოვრეს, თუმცა სამშობლოში დაბრუნება ამჯობინა და სადაცაა ქართული ფეხბურთის ფლაგმანის მაისურას მოირგებს.

**დავით ცაბაძე**

### გამოხმაურება

## იოჰან ბოსკამპი:
# ჟორდანიას ალკმაარისა და ბევერენის ყიდვაც უნდოდა

ჰოლანდიაში **მერაბ ჟორდანიასადმი** ინტერესი ძალზე დიდია. იქაურებს ყველაფერი აინტერესებთ ქართველი საფეხბურთო ფუნქციონერის წარსულიდან. ჰოლანდიაში „აღმოაჩინეს“, რომ მათივე თანამემამულე, ცნობილი მწვრთნელი **იოჰან ბოსკამპი**, გასული საუკუნის მიწურულს თანამშრომლობდა ჟორდანიასთან. საინტერესოა, რა უთხრა მყვირალა ჰოლანდიელმა ადგილობრივ მედიას:

*„1999 წლის აპრილიდან საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბში, თბილისის „დინამოში“ მთავარ მწვრთნელად ვმუშაობდი. მაშინ მერაბ ჟორდანია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იყო. „დინამოში“ ჩემი მუშაობა ჟორდანიას შეუმჩნეველი არ დარჩენია და რამდენიმე თვეში ეროვნული ნაკრების თავკაცობა შემომთავაზა. დავთანხმდი და კლუბის პარალელურად ნაკრებსაც ვწვრთნიდი, მით უმეტეს, „დინამო“ ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდი იყო. ჟორდანიასთან მხოლოდ 3-თვის განმავლობაში ვმუშაობდი. ის კარგი პიროვნებაა - კომუნიკაბელური და საქმიანი. საქართველო 1999 წლის დეკემბერში დავტოვე, თუმცა ჟორდანიაზე რაღაცები ვიცი. ის ძლიერ ფინანსურ ჯგუფთან არის დაკავშირებული, უყვარს და კარგად ერკვევა ფეხბურთში. ისიც ვიცი, რომ ჟორდანიასა და მის ჯგუფს „ვიტესამდე“ „ალკმაარის“ ყიდვა უნდოდათ. მანამდე კი ბელგიაშიც ეძებდნენ კლუბს. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ შარშან ბელგიური კლუბის „ბევერენის“ შესყიდვა უნდოდა, გრანდიოზულ პროექტზე იყო ლაპარაკი, მაგრამ გარიგება, რატომღაც, არ შედგა“.*

**დავით ცაბაძე**

### ქართველები ლატვიაში

# სკონტოში ჯანელიძე აიყვანეს

„ამერის“ ყოფილმა პრესატაშე **გიორგი დარჯანიამ**, რომელიც ამჟამად სამენეჯერო კომპანიაში მუშაობს, საინტერესო სიახლე გვამცნო - „თბილისის“, „ზესტაფონისა“ და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფორვარდი **დავით ჯანელიძე** ლატვიის 13-გზის ჩემპიონ რიგის „სკონტოში“ ჩაირიცხა. 21 წლის თავდამსხმელი იქ მეორე ლატვიურ კლუბ „ოლიმპსიდან“ გადავიდა.

ჯანელიძე ძველ კლუბს დროულად გაეცალა - ლატვიის 10-გუნდიან ვირსლიგაში „ოლიმპსი“ 11 ქულით მე-8 ადგილზეა და ლიგიდან გავარდნის რეალური კანდიდატი გახლავთ. 20 წლის ქართველმა ფორვარდმა „ოლიმპსში“ 11 მატჩი გამართა და 3 გოლი გაიტანა. ის მხოლოდ ერთხელ ათამაშეს შეცვლაზე, დანარჩენი მატჩები ძირითად შემადგენლობაში დაიწყო.

ჯანელიძის თაობაზე ინფორმაცია „სკონტოს“ ოფიციალურმა ვებგვერდმაც დაადასტურა. ქართველი 24-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. დარჯანიას თქმით, რიგელთა მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრ სტარკოვსი** დავითს ჩემპიონატის დაწყების (ლატვიელები სეზონს გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ატარებენ) დღიდან აკვირდებოდა. სტარკოვსი სასელექციო ნიჭით გამოირჩევა და ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც არ შემცდარა.

ჯანელიძე უკვე მეორე სეზონია, ლატვიაში თამაშობს. ქართველი გულშემატკივარი კარგად არც იცნობს. არადა, ის გახლდათ **კობა ჟორჟიკაშვილის** იმ 17-წლამდელთა ნაკრების წევრი, რომელმაც ლინიანოში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშები მოიგო.

ჯანელიძის გვარი გულშემატკივარმა პირველად 2005 წელს გაიგო, როცა ჟორჟიკაშვილი „თბილისიდან“ „ზესტაფონში“ გადავიდა და 8 ნიჭიერი ახალგაზრდაც წაიყვანა. ამ ბიჭების უმრავლესობა დღეს იმერული გუნდის ბირთვს შეადგენს - **როინ კვასხვაძე, გიორგი ხიდეშელი, ბუბა დაუშვილი** და **ალექსი ბენაშვილი**. ერთ-ერთი იყო ჯანელიძეც, რომელსაც მწვრთნელი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. სამწუხაროდ, იმედისმომცემ ფეხბურთელს „ზესტაფონში“ კარიერა ვერ აეწყო, კლუბი დატოვა, მერე სხვა გუნდები მოიარა და ბოლოს ლატვიურ „ოლიმპსში“ ჩაირიცხა.

20 წლის თავდამსხმელის დებიუტს კვირას „სკონტოს“ საშინაო არენაზე ელიან - რიგელები „ბლაზმას“ უმასპინძლებენ. ოდესღაც ძლიერი და ამბიციური „სკონტო“ კრიზისის დაძლევას ცდილობს. კლუბი თითქოს ნელ-ნელა თავს აღწევს პრობლემებს, მაგრამ თუ ადრე უამრავი ლეგიონერი ჰყავდა, ჯანელიძის მიწვევამდე მხოლოდ ოთხ უცხოელს ითვლიდნენ: თურქმენი და ბელარუსი ნახევარმცველები - **რუსლან მინგაზოვი** და **ალექსანდრ პერეპესკო**, ბრაზილიელი თავდამსხმელი **ნათან სუარეშ ჟუნიორი**, ერთი კვირის წინ კი გერმანელი მეკარე **მიხაელ კალტენჰაუზერიც** აიყვანეს.

ლატვიის ჩემპიონატში უკვე 15 ტური მიილია და, როგორც ჩანს, „სკონტო“ 5 წლის წინ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ახერხებს - ვირსლიგას 13 გამარჯვებით ლიდერობს და გასული სეზონის გამარჯვებულ „ვენტსპილსს“ 2 ქულით უსწრებს.

ზემოთ „ოლიმპსი“ ვახსენეთ და ბოლოს ამასაც გეტყვით - ცოტა ხნის წინ ამ გუნდში ორი ქართველი ნახევარმცველი ჩაირიცხა: საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი **კოტე ზარნაძე** და 20 წლის **ლაშა ლონლაძე**.

**მერაბ მამულაშვილი**

# კიდევ ორი ქართველი პერტიასთან

## უმცროსი მახარაძე ლატვიური პირობებით გაკვირვებულია



თამაზ პერტია

ლატვიაში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და ამასთან დაკავშირებით საინტერესო ამბებიც გავიგეთ. „დაუგავაში“, რომლის მთავარი მწვრთნელიც **თამაზ პერტიაა**, სამი ქართველი დაიმატეს - 25 წლის თავდამსხმელის **მამუკა ლონლაძის** (იგივე „კანუ“) ამბავი ერთი თვის წინ გაუწყეთ. მან კლუბთან კონტრაქტი 1+1 სისტემით გააფორმა. ამას გარდა, სინჯების შემდეგ პერტიამ ჩვენთვის უცნობი ორი ახალგაზრდაც აიყვანა - **დავით ფაილოძე** და **გიორგი წაქაძე**. თუ რომელ პოზიციაზე თამაშობენ ისინი, ან საქართველოს რომელ კლუბში (თუ საფეხბურთო სკოლაში) ვარჯიშობდნენ, ამის შესახებ „დაუგავას“ ოფიციალური ვებგვერდი არაფერს გვეუბნება. სამწუხაროდ, ჩვენი წყაროებითაც ვერაფერი დავადგინეთ.

კლუბში გასულ სეზონში ჩარიცხული **გიორგი ჩიხრაძე** კი წარმატებით თამაშობს. მას კლუბმა დაბადების დღე მიულოცა. მისი დამსახურება შემდეგ ფრაზაში ამოვიკითხეთ: *„გიორგი გამარჯვებაში არაერთხელ დაგვეხმარა“*. მოკლედ, ის ტყუილად არ აუყვანიათ.

ლატვიის ვირსლიგაში „დაუგავა“ მეოთხე ადგილზეა და სხვათა შორის, მისი დამსახურებაა, „სკონტომ“ ერთპიროვნული ლიდერობა რომ მოიპოვა - პერტიას გუნდმა რიგელთა კონკურენტ „ვენტსპილსს“ 1:0 სძლია.

ლატვიელები ბავშვთა ფეხბურთს დიდ ყურადღებას აქცევენ. „დაუგავას“ ოფიციალურ ვებგვერდზე გავეცანით რუსთავის „ოლიმპის“ მწვრთნელის **თემურ მახარაძის** ვაჟის, **შოთა მახარაძის** ვრცელ ინტერვიუს. შეგახსენებთ, რომ უმცროსი მახარაძე „დაუგავას“ საფეხბურთო სკოლას კურირებს და მცირე ხნის წინ მისი გაზრდილები საერთაშორისო საბავშვო ფესტივალის გამარჯვებულებიც გახდნენ.

*„სამწვრთნელო კარიერა გერმანიის სამოყვარულო კლუბ „იზუმში“ დავიწყე. ვმუშაობდი გერმანიისა და ავსტრიის პროფესიულ აკადემიებში, ყველაზე სასიამოვნოდ კი თბილისის „ნორჩ დინამოელში“ მუშაობა მახსენდება. ლატვიაში აგენტის დახმარებით ჩამოვედი, „დაუგავას“ პრეზიდენტ იგორ მალიშკოვს რომ შევხვედროდი. მას დაუგავპილსში ბავშვთა ფეხბურთის განვითარება სურდა და პარტნიორობის შესახებ ჩვენი მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა... სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, რომ ლატვიაში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის კარგი პირობებია. მქონდა დრო და მოვინახულე ლიეპაიას, რიგის „სკონტოსა“ და კიდევ რამდენიმე საფეხბურთო სკოლა. მთლიანობაში, დადებითი შთაბეჭდილება დამრჩა. მოვილაპარაკეთ, რომ მალე ბავშვთა ფეხბურთის რამდენიმე სპეციალისტს ავიყვანთ. თუ ჩანაფიქრს განვახორციელებთ და საფეხბურთო კონვეიერს ავაწყობთ, სკოლა ყოველწლიურად „დაუგავას“ ორ ფეხბურთელს მაინც გაუზრდის. ვიცი, რომ ლატვიაში საუკეთესო სკოლები ლიეპაიასა და „სკონტოშია“. ჩვენი ამოცანა არა მხოლოდ ლატვიაში, არამედ, მთელ ბალტიისპირეთში ყველაზე ძლიერი სკოლის ჩამოყალიბებაა... მომავალ წელს კი დაუგავპილსში საფეხბურთო სკოლა-ინტერნატის ამუშავებასაც ვგეგმავთ. ბავშვებს ჩვენს ქალაქთან ახლო მდებარე სოფლებიდან და უცხოეთიდანაც მოვიწვევთ. სამწუხაროდ, დაუგავპილსი პატარა ქალაქია და აქ ფეხბურთელების დიდი არჩევანი არ გვაქვს. განსაკუთრებულ ყურადღებას ტექნიკას ვუთმობთ, რადგან მთელ მსოფლიოში ტექნიკური, კომბინაციური და ლამაზი ფეხბურთი დომინირებს. სკოლაში „დაუგავას“ ფეხბურთელთა მასტერკლასები გაიმართება. უფროსი ჯგუფები მთავარი გუნდის გვერდიგვერდ, „დაუგავას“ ბაზაზე ივარჯიშებენ. ეს მთავარ მწვრთნელ თამაზ პერტიასთანაა შეთანხმებული“*, - ამბობს მახარაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

### გაზეთის დაბეჭდვამდე

## ლეგიონი ევროპის ლიგაზე

# თითქმის უშანსოდ

ევროპის ლიგის 40-მდე პლეიოფური წყვილიდან რამდენიმეში ქართველმა ფეხბურთელებმაც ითამაშეს. **ვასილ გიგიაძის** „ტავრია“, ალბათ, ვერ შეწვდება ჯგუფურ ეტაპს, რადგან სტუმრად „ლევერკუზენთან“ 0:3 წააგო. ქართველი ვეტერანის მოედანზე გამოსვლას ფეხბედნიერს ვერ დავარქმევთ, თუ მანამდე უკრაინული გუნდი მხოლოდ 0:1 აგებდა, 84-ე წუთზე გიგიაძის გამოჩენის შემდეგ **კადლეცისა და ბალაკისგან** თითო გოლი კიდევ გაუშვა.

წააგო კიდევ ერთმა უკრაინულმა გუნდმა, სადაც ქართველი თამაშობს - „დნიპრომ“ შინ 0:1 დათმო პოლონურ „ლეხთან“. **უჩა ლობჟანიძემ** 90 წუთი ითამაშა, ის ხშირად ერთვებოდა შეტევებში.

აი, მესამე უკრაინულმა კლუბმა, „კარპატიმ“ კი მისაღებ შედეგს მიაღწია. შეგახსენებთ, რომ **სანდრო გურულის** გუნდმა წინა ეტაპზე „ზესტაფონი“ გამოთიშა (1:0 და 1:0) გათამაშებიდან. ლვოველები „გალათასარაის“ ესტუმრნენ და დაუზავდნენ 2:2. ქართველი მატჩის განაცხადში არ იყო.

**მალხაზ ასათიანის** „ლოკომოტივი“ „ლოზანას“ ესტუმრა და დაუზავდა - 1:1. სამწუხაროდ, მალხაზს არ ენდნენ, ის სათადარიგოთა სკამზე მოხვდა. აზერბაიჯანული „ყარაბახის“ გმირული ოდისეა დორტმუნდში დასრულდა, „ბორუსიამ“ „ყარაბახს“ 4:0 მოუგო. **გიორგი ადამიამ** სრულად კი ითამაშა, მაგრამ როგორც სხვა მისმა თანაგუნდელებმა, გერმანელებს ვერაფერი დაუშავა.

უნგრულმა „დიორი ეტომ“ შინ 0:2 დათმო ზაგრების „დინამოსთან“ და საპასუხო მატჩის წინ თითქმის უშანსოდაა. მასპინძელთა ქართველთაგან მხოლოდ **რატი ალექსიძემ** ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კრასიჩი ქალბატონისაა

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, მოსკოვის ცსკა-სა და სერბეთის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **მილოშ კრასიჩი** კარიერას „იუვენტუსში“ გააგრძელებს. ტრანსფერის შესახებ ოფიციალური განცხადება შაბათს გაკეთდება, ხოლო რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, რიგი წყაროები ერთსა და იმავე თანხას ასახელებენ - მოსკოვის არმიელთა ბიუჯეტი 15 მილიონი ევროთი შეივსებაო. 26 წლის სერბი „ბებერ ქალბატონთან“ 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

# რონალდოს კარიერა მთავრდება

„კორინთიანსის“ ლეგენდარული თავდამსხმელი ამბობს, რომ მისი საფეხბურთო კარიერის დასრულებამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი.

*„პირველ რიგში, მინდა ეს წელი მაჟორულ ნოტზე დავასრულოთ, შემდეგ კი ალბათ, ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ. ჩემი კარიერა დასასრულს უახლოვდება და ამას ძალიან კარგად ვაცნობიერებ“*, - განუცხადა **რონალდომ** „გლობოს“.

მან იქვე ისიც თქვა, რომ ფეხბურთიდან წასვლას ჩუმად, გამოსათხოვარი მატჩისა და სხვა პომპეზური ღონისძიებების გარეშე აპირებს. 33 წლის რონალდოს „კორინთიანსის“ შემადგენლობაში ბოლო სამი თვის განმავლობაში არ უთამაშია, რისი მიზეზიც ტრავმა და ჭარბ წონასთან დაკავშირებული პრობლემებია.

# ელგერას იოზილი ეეჭვება

„რეალის“ ყოფილი მცველი **ივან ელგერა** ეჭვობს, რომ **მესუთ იოზილი** სამეფო კლუბს ვერ გამოადგება. ელგერას მაინცდამაინც დიდი წარმოდგენა არც „რეალის“ კიდევ ერთ ახალწვეულზე, პორტუგალიელ **რიკარდო კარვალიოზე** აქვს.

*„იოზილმა მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად ითამაშა, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ „რეალისთვის“ შესაფერისი ფეხბურთელია. არ შეიძლება, ყოველწლიურად ერთი და იმავე სტილის ნახევარმცველები შეიძინო - კაკა, კანალესი, ვან დერ ვაარტი - ასეთები გუნდში უკვე მრავლად არიან. ამას გარდა, ჩემი აზრით, „რეალს“ არც რიკარდო კარვალიოს ყიდვა ულირდა“*, - ამბობს ელგერა.

# გალასი თითქმის ტოტენჰემში

დღეს ვილიამ გალასი „ტოტენჰემში“ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და თუ ჯანმრთელი აღმოჩნდა, „დეზებთან“ კონტრაქტსაც გააფორმებს. ფრანგ მცველსა და ლონდონურ კლუბს შორის მოლაპარაკებებმა შეუფერხებლად ჩაიარა, რაც იმანაც განაპირობა, რომ გალასმა „არსენალი“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. ვილიამის გადაბირება იტალიურ „იუვენტუსსა“ და ბერძნულ „პანათინაიკოსსაც“ სურდათ, მაგრამ მან ლონდონში დარჩენა ამჯობინა.

*„გალასი ძალიან მომწონს. დარწმუნებული ვარ, იგი ჩვენს გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანს“*, - აცხადებს „ტოტენჰემის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი**.

# ესკუდემ სევილიასთან გაახანგრძლივა

**ჟულიენ ესკუდემ** „სევილიასთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც 2013 წლამდეა ძალაში. ძველი ხელშეკრულება 2011 წლამდე იყო დადებული. ფრანგი მცველი „სევილიაში“ 2006 წელს ამსტერდამის „აიაქსიდან“ გადავიდა და ანდალუსიელთა შემადგენლობაში ორჯერ მოიპოვა უეფას თასი.

# სალიჰამიჯიჩს აინტრახტი ეპატიჟება

**ჰასან სალიჰამიჯიჩმა** კარიერა შესაძლოა, ფრანკფურტის „აინტრახტში“ გააგრძელოს. 33 წლის ბოსნიელი ნახევარმცველი ხვდება, რომ „იუვენტუსში“ ხშირი სათამაშო პრაქტიკა არ უწერია და კლუბის შეცვლა ამიტომაც გადაუწყვეტია. გასულ სეზონში სალიჰამიჯიჩმა სერია A-ში მხოლოდ 14 მატჩი ჩაატარა, სადაც 2 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**სატრანსფერო**

# მილანი იბრას არ ეშვება

იტალიური სპორტული წყაროები არ ცხრებიან და დაჟინებით იუწყებიან, რომ „მილანის“ მესვეურები ჯერ კიდევ ცდილობენ „ბარსელონადან“ **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გადაბირებას. ერთი ხანობა, ეს ამბავი თითქოს ჩრდილში მოექცა, მაგრამ ბოლო დღეებში კვლავ დაიბრუნა აქტუალურობა. საერთოდ, ბოსნიური წარმოშობის შვედი თავდამსხმლის კატალონიური გრანდიდან შესაძლო აზარგების შესახებ ხმები მას შემდეგ დაირხა, რაც „ბარსელონამ“ **დავიდ ვილია** გადაიბირა. თანაც, გასულ სეზონში ზლატანი ბევრი ვერაფრით გამოირჩა და კატალონიაში ბევრი უკმაყოფილო დატოვა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, სიტყვა პირდაპირ „მილანის“ დირექტორატის წარმომადგენელს, **არიედო ბრაიდას** გადავცეთ:

„ზლატანის „მილანში“ შესაძლო გადმოსვლის შესახებ ძალიან ბევრი დაიწერა და მინდა გავამხილო, რომ ცეცხლი უკვამლოდ არ დანთებულა. ჩვენ მართლაც გვსურს იბრაჰიმოვიჩის გადაბირება, მაგრამ ეს იმაზე გაცილებით უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ეს ბევრს წარმოუდგენია. კატალონიელები სულაც არ აპირებენ შვედთან განშორებას და მათ დასაყოლიებლად დიდი ძალისხმევაც კი შესაძლოა უშედეგო გამოდგეს. ერთი სიტყვით, ეს ტრანსფერი მეტად რთული გასაჩარხი იქნება, მაგრამ მეორე მხრივ, გამორიცხული არაფერია“.

**ლაშა ნიკლაური**

# ინტერს დროგბა მოუნდა

მას შემდეგ, რაც **მარიო ბალოტელიმ** „მანჩესტერ სიტის“ მიაშურა, მილანის „ინტერის“ მესვეურები თავდამსხმლის გადაბირებაზე დაფიქრდნენ. **რაფაელ ბენიტესის** განკარგულებაში დღეს სამი მაღალი კლასის თავდამსხმელია: **გორან პანდევი, დიეგო მილიტო** და **სამუელ ეტო'ო**. თუ მილანელებს ყველა ტროფეის შენარჩუნება სურთ, რომლებიც გასულ სეზონში მოიპოვეს, აშკარაა, რომ კიდევ მინიმუმ ერთი ფორვარდის დამატებაზე უნდა იფიქრონ.

არაერთი ინფორმაცია გავრცელდა იმის შესახებ, რომ „ინტერში“ **ანტონიო კასანო** უნდა გადასულიყო, თუმცა ეს ამბავი საბოლოოდ გამოირიცხა, რადგან ანტონიომ უკვე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზა „სამპდორიას“ შემადგენლობაში. „კორიერეს“ ცნობით, მილანელები სხვა მიმართულებით აპირებენ გააქტიურებას და შეეცდებიან ლონდონის „ჩელსიდან“ **დიდიე დროგბა** გადაიბირონ.

თუ ამ გამოცემას ვენდობით, მილანელები მას შემდეგ დაინტერესდნენ კოტ დივუარელი ფორვარდით, რაც მისი „რეალში“ არშემდგარი ტრანსფერის შესახებ გაცხადდა. საუბარი იმაზეა, თითქოსდა ლონდონელები მზად იყვნენ დიდიე 30 მილიონი ევროს სანაცვლოდ დაეთმოთ, მაგრამ **ფლორენტინო პერესმა** აღნიშნული თანხის გადახდაზე უარი განაცხადა. **მასიმო მორატი** სწორედ ამ ცნობამ აანთო და ბიუჯეტსაც გადახედა - „კორიერეს“ მტკიცებით, უახლოეს დღეებში ლომბარდიელები ოფიციალური წინადადებით მიმართავენ ინგლისელებს და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან. ისე, ცოტა კი გვეეჭვება, რომ ლონდონელები მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ თავდამსხმელს 30 მილიონ ევროდ შეელიონ.

**ლაშა ნიკლაური**

**ესპანეთი**

## ლა ლიგა. კლუბების წარდგენა

**28 აგვისტოს**, ვალენსიის მხარის ზღვისპირა ქალაქ ალიკანტეში საიუბილეო, მე-80 ლა ლიგა აიღებს სტარტს. გახსნის მატჩში ერთმანეთს ადგილობრივი „ერკულესი“ და ბილბაოს „ატლეტიკი“ დაუპირისპირდებიან. იქამდე ბევრიც აღარაფერი დარჩა (8 დღე), ამიტომაც ვიწყებთ წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილე კლუბების წარდგენას. დღეს „ალმერიას“, „ატლეტიკსა“ და „ატლეტიკოს“ სიახლეებს გაგაცნობთ (ლათინური ანბანის მიხედვით მივყვებით). მოგითხრობთ, თუ როგორ მოემზადნენ ეს კლუბები ჩემპიონატისათვის. ხვალ „დეპორტივოს“, „ესპანიოლისა“ და „ხეტაფეს“ ჯერი დადგება...



დიეგო ალვეშს ალმერია არაერთხელ გადაურჩენია

# ალმერია: სახიფათო დინამიკის შესაჩერებლად

უნიონ დეპორტივა ალმერია

**მხარე:** ანდალუსია
**დაარსდა:** 1989
**მწვრთნელი:** ხუან მანუელ ლილიო (44 წლ)
**სტადიონი:** ესტადიო დელ მედიტერანეო (22 000)
**გასულ სეზონში:** მე-13
**ტიტულები:** -
**საიტი:** http://www.udalmeriasad.com

**ტრანსფერები**

მივიდნენ: **კარლოს გარსია** (ბეტისი), **ლეონარდო ულოა** (კასტელონი), **მიქაელ იაკობსენი** (ოლბორგი), **ლუკე** (ბარსელონა ბ), **მარსელო სილვა** (დანუბიო), **დიეგო ვალერი** (პორტუ), **ბალტასარ რიგო** (ალმერია ბ).

წავიდნენ: **დომინგო სისმა** (რასინგი), **ფერნანდო სორიანო** (ოსასუნა), **ალექს კვილო** (რეკრეატივო), **გილერმე** (ვალიადოლიდი), **დავიდ როდრიგესი** (სელტა). **ჩიკო** (ჯენოა), **ესტებან სოლარი** (აპოელ), **ლეონარდო ბორსანი** (გაუშვეს), **ნატალიო** (ტენერიფე), **ოკორო** (ალმერია ბ).

■ ■ ■

ლა ლიგის ყველაზე ხანმოკლე და მწირი ისტორიის კლუბი არსებობის ისტორიაში მე-4 პრიმერული სეზონისათვის ემზადება. **ხუან მანუელ ლილიოს** წინ სერიოზული სამუშაო ელის: პრიმერაში მეტეორივით შემოვარდნილი კლუბი (პირველივე სეზონში **უნაი ემერის** გაწვრთნილმა უცნობმა კლუბმა მე-8 ადგილი დაიკავა, ხოლო **ალვარო ნეგრედომ** სეზონში 13 გოლი გაიტანა) ნელ-ნელა უკან მიდის. მომდევნო ორ სეზონში ანდალუსიელებმა, შესაბამისად, მე-11 და მე-13 ადგილები დაიკავეს. ამ დინამიკის მიხედვით, „ალმერიას“ პრიმერაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევს ბრძოლა.

პრინციპში, ამაზე მეტყველებს წლევანდელი სატრანსფერო პოლიტიკაც - გუნდი დატოვეს **ჩიკომ** (27 თამაში გასულ სეზონში), **დომინგო სისმამ** (33 თ, 3 გ) და **ფერნანდო სორიანომ** (35 თ, 7 გ). ყველაზე დიდი შოკი „ალმერიას“ ფანებს უახლოეს დღეებში ელის - კლუბის ბომბარდირ **კალუ უჩეს** (9 გოლი გასულ სეზონში) თვალი წასასვლელად უჭირავს. ნიგერიელი შემტევი ნახევარმცველით თურქეთში „ფენერბაჰჩე“ (**გუისას** შემცვლელად სურთ) და „ტრაბზონი“ დაინტერესდნენ. ბოლოს კი ფრანგული „მარსელიც“ გააქტიურდა. ფაქტია, უჩე „ალმერიასთან“ ერთად აღარ ვარჯიშობს და არც ამხანაგურ მატჩებში თამაშობს. ანდალუსიელებს სერიოზული ძალა მხოლოდ დანიელი მცველის, **მიქაელ იაკობსენის** სახით შეემატათ „ოლბორგიდან“, ბოლოს კი მათ „პორტუდან“ **დიეგო ვალერი** ინათხოვრეს...

მიუხედავად ამისა, ლილიოს გუნდი წინასასეზონო მატჩებში ყოჩაღობს. 9 მატჩიდან გუნდმა მხოლოდ ბოლო, „ლევანტესთან“ წააგო - 0:1. ანდალუსიური კლუბი პრიმერას 29 აგვისტოს პამპლონაში სტუმრობით იწყებს „ოსასუნას“ წინააღმდეგ. ტრავმა მოირჩინა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **ალბერტ კრუსატმა** და ის სეზონისთვის მზადაა. „ალმერიაში“ ყველაზე დიდი დესანტი არგენტინელებს ჰყავთ, გუნდის 5 მნიშვნელოვანი ფიგურა არგენტინელია (ვალერი, **პელერანო, პიატი, ულოა** და **ბერნანდელო**). ორი ბრაზილიელი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავს, მეკარე **დიეგო ალვეში** (პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი) და მარჯვენა მცველი **მიჩელი**. პირველ გუნდში სულ 10 ესპანელია, 9 კი სამხრეთამერიკელია.

**ალმერია 2009/10: დ. ალვეში** (37 თამაში), **ესტებანი** (1თ); **სორიანო** (35თ, 7გ), **პიატი** (35თ, 7გ), **ხუან ორტისი** (35თ, 2გ), **ბერნარდელო** (35თ), **კრუსატი** (33თ, 7გ), **სისმა** (33თ, 3გ), **აკასიეტე** (31თ), **უჩე** (28თ, 9გ), **მიჩელი** (28თ, 1გ), **მბამი** (28თ), **ჩიკო** (27თ), **კორონა** (22თ, 1გ), **გოიტომი** (21თ, 1გ), **პელერანო** (19თ), **ხოსე ორტისი** (17თ, 1გ), **გილერმე** (15თ, 1გ), **ნიეტო** (14თ), **ვარგასი** (10თ), **როდრიგესი** (9თ, 1გ), **ბორძანი** (3თ), **სოლარი** (2თ), **კვილო** (1თ).

**ალმერია 2010/11** (სავარაუდო სასტარტო შემადგენლობა): *დ. ალვეში - მიჩელი, კ. გარსია, აკასიეტე, იაკობსენი - ბერნარდელო, მბამი, პიატი (ან კორონა) - ვალერი, გოიტომი, კრუსატი.*

# ფავორიტი მადრიდის სამხრეთიდან

ატლეტიკო მადრიდი

**მხარე:** კასტილია
**დაარსდა:** 1903
**მწვრთნელი:** კიკე სანჩეს ფლორესი (45 წლ)
**სტადიონი:** ვისენტე კალდერონი (54 851)
**გასულ სეზონში:** მე-9
**ტიტულები:** 9-გზის ჩემპიონი, თასის 9-გზის მფლობელი, სუპერთასის 3-გზის მფლობელი, ევროპის ლიგის გამარჯვებული, უეფას თასის გამარჯვებული, საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებული, ინტერტოტოს თასის გამარჯვებული.
**საიტი:** http://www.clubatleticodemadrid.com/

**ტრანსფერები**

მივიდნენ: **კეკო** (ვალიადოლიდი), **დიეგო კოშტა** (ვალიადოლიდი), **ფრან მერიდა** (არსენალი), **მარიო სუარესი** (მალიორკა), **ფილიპე ლუიში** (დეპორტივო), **დიეგო გოდინი** (ვილიარეალი), **ტიაგო მენდეში** (იუვენტუსი), **ხოელი** (ატლეტიკო ბ).

წავიდნენ: **პაბლო იბანიესი** (ვესტ ბრომვიჩი), **პაჩეკო** (ინდეპენდიენტე), **რუბენ პერესი** (დეპორტივო), **მაზვატი** (ნუმანსია), **სერხიო როდრიგესი** (სელტა), **ლეანდრო კაბრერა** (რეკრეატივო), **ედუარდო სალვიო** (ბენფიკა), **მარიანო პერნია** (გაუშვეს)

■ ■ ■

გუნდი ახალდაარსებული ტურნირის, ევროპის ლიგის პირველი და მოქმედი გამარჯვებულია, გუნდში ირიცხება მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი **დიეგო ფორლანი** და მისმა თავკაცმა **კიკე ფლორესმა** ჭკვიანური სატრანსფერო პოლიტიკა აწარმოა. ეს ყველაფერი საკმარისია იმის სათქმელად, რომ მადრიდის „ატლეტიკო“ მზად არის ესპანეთში ტოლი არავის დაუდოს, ბუნებრივია ორ გრანდს, „ბარსელონასა“ და „რეალს“ არ ვგულისხმობთ, თუმცა ვინ იცის...

ფორლანი, **აგუერო, რეიესი, სიმაო**... ყველა რჩება „ვისენტე კალდერონზე“, პლუს დაემატნენ **გოდინი, ფილიპე, სუარესი**, კვლავ დაიბევეს **ტიაგო მენდეში**. მოკლედ, „ლოს როხიბლანკოსი“ ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია.

გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ არგენტინელი **ედუარდო სალვიო** ერთწლიანი იჯარით „ბენფიკაში“ ითამაშებს, სამაგიეროდ გზაშია ფრანგი მცველი **როდ ფანი**, რომელიც აუცილებლად გააძლიერებს „ათლეტთა“ დაცვის ხაზს. სხვათა შორის, ოთხშაბათს „ატლეტიკო“ მოულოდნელად დამარცხდა ამხანაგურ მატჩში ხიხონის „სპორტინგთან“ - 0:1, მანამდე გუნდმა „მალიორკასთან“ 2:3 წააგო. მოკლედ, ოპტიმისტურთან ერთად კიკე ფლორესისთვის საგანგაშო ნიშნებიც გამოიკვეთა.

**ატლეტიკო 2009/10: დე ხეა** (19 თამაში), **ასენხო** (15 თ), **რობერტო** (3თ), **ხოელი** (1თ); **ხურადო** (38 თ, 7 გ), **სიმაო** (34თ, 2გ), **ფორლანი** (33თ, 18გ), **აგუერო** (31თ, 12გ), **ა. ლოპესი** (31თ, 2გ), **რეიესი** (30თ, 2გ), **ასუნსაო** (30თ, 1გ), **პერეა** (28თ), **უიფალუში** (27თ), **დომინგესი** (26თ), **ვალერა** (23თ), **რ. გარსია** (20თ), **იბრაჰიმა** (18თ, 3გ), **ტიაგო** (18თ, 2გ), **ხუანიტო** (17თ, 2გ), **მ. როდრიგესი** (14თ, 2გ), **სანტანა** (14თ, 1გ), **სალვიო** (13თ, 2გ), **კამაჩო** (12თ), **სინამა-პონგოლე** (10თ), **პაბლო** (7თ), **კაბრერა** (4თ), **კოკე** (4თ), **ჰეიტინგა** (1თ), **პერნია** (1თ), **კეკო** (1თ), **პერესი** (1თ), **მოლინო** (1თ), **ბორხა** (1თ).

**ატლეტიკო 2010/11** (სავარაუდო სასტარტო შემადგენლობა): *დე ხეა - უიფალუში, დომინგესი, გოდინი, ფილიპე - რეიესი, ასუნსაო (ან ტიაგო), რ. გარსია, სიმაო - ფორლანი, აგუერო.*



დიეგო ფორლანი კლუბის ერთგულია



ფერნანდო ლორენტე (ცენტრში) ლოგრონიესთან მატჩში

# ლიდერები დარჩნენ, დერბი აღდგა

ატლეტიკ ბილბაო

**მხარე:** ბასკეთი
**დაარსდა:** 1898
**მწვრთნელი:** ხოაკინ კაპაროსი (54 წლ)
**სტადიონი:** სან მამესი (39 750)
**გასულ სეზონში:** მე-8
**ტიტულები:** 8-გზის ჩემპიონი, 23-გზის თასის მფლობელი, სუპერთასის მფლობელი.
**საიტი:** http://www.athletic-club.net

**ტრანსფერები**

მივიდნენ: **მიკელ ბალენზიაგა** (ნუმანსია), **მიკელ სან ხოსე** (ლივერპული), **რაულ ფერნანდესი** (გრანადა), **ოსკარ დე მარკოსი, ინიგო პერესი, ანდერ იტურასპე** (ყველა - ატლეტიკ ბ).

წავიდნენ: **იბან ზუბიაურე** (ალბასეტე), **ფრანსისკო იესტე** (ალ ვასლი), **ინიაკი მუნიოსი** (კარტახენა), **ინიგო დიას დე კერიო** (კორდობა), **არმანდო, ხოსება ეჩებერია** (თამაშს თავი დაანებეს), **მურილიო** (სალამანკა), **ჩაბიერ ეჩეიტა** (ელჩე), **იგორ მარტინესი** (ატლეტიკ ბ), **იბაი გომესი** (ატლეტიკ ბ).

■ ■ ■

მსოფლიო ფეხბურთის უკანასკნელი მოჰიკანი, ბასკური „ატლეტიკი“ სათანადოდ ვერ გაძლიერდა ახალი სეზონისთვის, მაგრამ ბასკთა ქვეყანაში ამას არად დაგიდევენ, მათთვის მთავარია, რომ კლუბმა მუნდიალის ორივე გმირი, **ხავი მარტინესი** და (განსაკუთრებით) **ფერნანდო ლორენტე** შეინარჩუნა. ლორენტეს ყიდვა მართლაც ძალიან ბევრ კლუბს სურდა. რადგან ეს ორი ლიდერი ადგილზეა, **ხოაკინ კაპაროსის** გუნდს თავისუფლად შეუძლია გაიმეოროს შარშანდელი - იბრძოლოს მე-4 ადგილისათვის, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა. შარშან ბასკებმა ფინიშის სწორზე დათმეს ევროთასების საგზური. გუნდში ახალი სახე მართლაც არავინაა, ზოგი იჯარიდან დაიბრუნეს, ზოგს კი ახალგაზრდული გუნდიდან აუნთეს მწვანე შუქი. „ლივერპულიდან“ იჯარით მყოფი მცველი **მიკელ სან ხოსე** კი ისე მოეწონა მწვრთნელს, რომ მას მრავალწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

არ გამართლდა ბილბაოელთა შიშები **ფერნანდო ამორებიეტასთან** დაკავშირებით, „ატლეტიკის“ მცველის წაყვანა **ჟოზე მოურინიოს** სურდა, თუმცა სერიოზულ დაინტერესებამდე საქმე არ მისულა. თავად ამორებიეტამ თვის დასაწყისში დატოვა სახტად ყველა, როცა განაცხადა, რომ ვენესუელის ნაკრებში აპირებს თამაშს. ბასკი მშობლების შვილი ვენესუელაშია დაბადებული. ოთხშაბათს „ატლეტიკმა“ სეგუნდა დივიზიონის „ლოგრონიესს“ მოუგო დიდი ანგარიშით - 3:0. ამ მატჩის პირველი გოლი სწორედ მათმა ცენტრფორვარდმა ლორენტემ გაიტანა **ანდონი ირაოლას** ჩაწოდების შემდეგ. სხვა გოლები **მარკელ სუსაეტასა** და **დავიდ ლოპესის** ანგარიშზეა.

წლევანდელი ლა ლიგა კიდევ ერთი რამით იქნება მნიშვნელოვანი: ზედიზედ 40 წლის განმავლობაში ჩემპიონატს ბასკური დერბი ამშვენებდა, „ატლეტიკსა“ და „რეალ სოსიედადს“ შორის, 2007 წელს ეს ტრადიცია სანსებასტიანელთა გავარდნის გამო შეწყდა, ახლა კი „რეალ სოსიედადი“ დაბრუნდა: „სან მამესსა“ და „ანოეტაზე“ დიდებული დაპირისპირებები გველის... დაბოლოს, ცოცხალი ლეგენდა მხოლოდ „რეალმა“ არ დაკარგა, 1995 წლიდან „ატლეტიკის“ ფეხბურთელმა, 32 წლის **ხოსება ეჩებერიამ** ფეხბურთს თავი დაანება. მან თეთრ-წითელ ზოლებიანი მაისურით 514 მატჩი ჩაატარა და 105 გოლი გაიტანა!

**ატლეტიკი 2009/10: ირაისოსი** (37 თამაში), **არმანდო** (1თ); **ირაოლა** (37თ, 2გ), **ფ. ლორენტე** (35თ, 14გ), **სუსაეტა** (35თ, 4გ), **ხ. მარტინესი** (34თ, 6გ), **გურპეგი** (34თ, 1გ), **ამორებიეტა** (34თ), **ტოკერო** (31თ, 8გ), **მუნიაინი** (26თ, 4გ), **გაბილონდო** (26თ, 3გ), **სან ხოსე** (25თ, 1გ), **იესტე** (22თ, 2გ), **კოიკილი** (21თ), **ორბაისი** (20თ, 1გ), **კასტილიო** (19თ), **დე მარკოსი** (19თ, 1გ), **დ. ლოპესი** (17თ), **უსტარიცი** (15თ, 1გ), **იტურასპე** (15თ), **ეჩებერია** (7თ), **დე კერიო** (5თ), **ოსიო** (3თ), **პერესი** (3თ), **ეჩეიტა** (3თ), **ველესი** (2თ), **მუნიოსი** (1თ), **ბოვედა** (1თ), **აკეჩე** (1თ).

**ატლეტიკი 2010/11** (სავარაუდო სასტარტო შემადგენლობა): *ირაისოსი - ირაოლა, ამორებიეტა, სან ხოსე, კასტილიო - ხ. მარტინესი, სუსაეტა, იტურასპე, გაბილონდო (ან მუნიაინი) - ტოკერო, ფ. ლორენტე.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ამბები**

## ერკულესში აფრიკელი ჰერკულესი მივიდა

პარაგვაელი **ნელსონ ვალდესის** დაბევების შემდეგ კიდევ ერთი საინტერესო შენაძენი გააკეთა პრიმერა დივიზიონში დაბრუნებულმა ალიკანტეს „ერკულესმა". კლუბმა 3-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა ლიეჟის „სტანდარდის" 26 წლის მცველ **მოჰამედ სარს**. სენეგალის ნაკრების წევრი ესპანელებს უფასოდ ერგოთ, რადგან მას ხელშეკრულება დაუსრულდა ბელგიურ კლუბთან. მომო სარი ფეხბურთის გულშემატკივრებს „მილანიდან" უნდა ახსოვდეთ, ის 2001 წელს „ტრევიზოდან" გადავიდა იტალიურ გრანდში, მაგრამ 17 წლის ასაკში იქ დამკვიდრება გაუჭირდა, 188 სმ სიმაღლის სენეგალელი სხვადასხვა კლუბში („გალათასარაი", „ანკონა", „ატალანტა", „ვიტორია") თამაშობდა. 2005 წელს იგი „სტანდარდში" გადავიდა, სადაც მალე გახდა კლუბის წამყვანი ფიგურა. ეროვნულ ნაკრებში მომო სარს მხოლოდ 12 მატჩი აქვს ჩატარებული.

მოჰამედ სარი მე-7 ფეხბურთელია, რომელიც ამ ზაფხულს „ბლანკიასულის" (თეთრ-ცისფერები) რიგებში ჩაირიცხა. გუშინ აფრიკელის ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართა „პანორამის ერკულესზე". სარი ლა ლიგის ფორვარდებს გასაქანს არ მისცემს, რადგან ყველასთვის ცნობილია მისი ფიზიკური მონაცემები და თამაშის ხისტი სტილი, ამასთან აფრიკელი პოზიციის შერჩევის კარგი უნარით გამოირჩევა. ამ ზაფხულს „ერკულესში" ჩაირიცხნენ: **დავიდ კორტესი, კრისტიან პულჰაკი, ოლივიე ტომერი, აბელ აგილარი, მათიას ფრიტცლერი**, ნელსონ ვალდესი და მოჰამედ სარი.

## სკილაჩი ვენგერს მიჰყავს

ლონდონის „არსენალი" კიდევ ერთი ფრანგით ძლიერდება - სულ მალე ალბიონურ კლუბში საფრანგეთის ნაკრებისა და „სევილიის" ცენტრალური მცველი **სებასტიენ სკილაჩი** ჩაირიცხება. 30 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ **არსენ ვენგერი** და კომპანია თანახმაა ანდალუსიელებს 8 მილიონი ევრო გადაუხადოს. სკილაჩის ესპანეთიდან აბარგების ეჭვები კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მას მონაწილეობა არ მიუღია ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის მატჩში ბრაგას „სპორტინგის" წინააღმდეგ, რომელიც „სევილიამ" 0:1 დათმო.

„ტოტო" სკილაჩი 2008 წლამდე სამშობლოში თამაშობდა „ტულონში", „მონაკოშსა" და „ლიონში". ორი წლის წინათ კი ის დაახლოებით 6,5 მილიონ ევროდ „სევილიაში" გადაბარგდა. მას კიდევ ერთი სეზონი დარჩა კონტრაქტით ანდალუსიურ კლუბში, თუმცა გუშინ „სევილიას" ოფიციალურმა საიტმაც დაადასტურა, რომ „არსენალმა" სკილაჩის ტრანსფერზე შეთავაზება გააკეთა. სკილაჩის საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში 20 მატჩი აქვს ჩატარებული.

## მატიონი ახალ წლამდე დაიმტვრა

„ესპანიოლს" ქვა ალმართში მიენია - ბრაზილიელი ახალწვეული **ფელიპე მატიონი**, რომელზეც ბრაზილიურ კლუბში დიდ იმედებს ამყარებდნენ, სერიოზულად დაიმტვრა. 22 წლის მატიონი, რომელსაც იტალიის მოქალაქეობაც აქვს, 4 კვირის წინათ შეიძინა „ესპანიოლმა". სხვათა შორის, მატიონი კატალონიელებს კლუბისგან არ უყიდიათ, ის კომპანია „მეგა ესპორტეს" კუთვნილება იყო და სეზონში 2 მილიონი ევროს საფასურად იჯარით თამაშობდა „მალიორკაში", სადაც 20 მატჩში 1 გოლი გაიტანა. მატიონი მარჯვენა მცველია, რომელსაც ფლანგზე უფრო წინაც შეუძლია თამაში.

მატიონიმ მუხლის ჯვარედინი იოგები დაიზიანა, ოთხშაბათის სკანირებამ „ესპანიოლის" ექიმთა ყველაზე პესიმისტური ვარაუდი გაამართლა - ბრაზილიელი ნახევარ წელიწადს იძულებით იუქმებს.

## ვალდანო: უცხოელები წავლენ!

როდესაც „რეალმა" მესუთ იოზილი შეიძინა, კლუბის დირექტორმა **ხორხე ვალდანომ** განაცხადა, რომ ეს იყო „სამეფო კლუბის" უკანასკნელი შენაძენი ამ ზაფხულში. ახლა არგენტინელი იმასაც ირწმუნება, რომ ფეხბურთელთა ნაწილს გუნდიდან წასვლა მოუწევს.

*„ახლა კლუბის ძირითად გუნდში 26 ფეხბურთელი ირიცხება. ეს კი ბევრია. ჩვენ გუნდის გაცხრილვა გვჭირდება და უახლოეს დღეებში ასეც მოვიქცევით. სხვათა შორის, კლუბიდან გაშვება არც ერთ ესპანელ ფეხბურთელს არ ემუქრება"*, - განუცხადა ვალდანომ „მარკას".

ესპანური მედია „რეალიდან" გაშვების კანდიდატებად **რაფაელ ვან დერ ვაარტს, ფერნანდო გაგოს, ლასანა** და **მაჰამადუ დიარებს** მიიჩნევს. მას შემდეგ, რაც კლუბში **ჩაბი ალონსო** და **სამი ხედირა** მივიდნენ, არგენტინელი გაგოს ყოფნას აზრი ეკარგება. ასევე ითქვა - მიუხედავად იმისა, რომ **ჟოზე მოურინიოს** ძალზე მოსწონს ლასანა დიარა, მისი დამოკიდებულება საქმისადმი, პორტუგალიელი მზადაა, „რეალმა" გაყიდოს ის, თუ მასში 15 მილიონ ევროს გადაიხდიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




**ტრანსფერები**

# ორი სიტის ნავაჭრი

**როზერტო მანჩინიმ** განაცხადა, რომ ამ ზაფხულს „მანჩესტერ სიტი" მეტ ფეხბურთელს აღარ იყიდის - მისი პრესკონფერენცია ერთგვარი პასუხი გახლდათ „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელის სერ **ალექს ფერგიუსონის** წინა დღის შეტევაზე. შეგახსენებთ, რომ სერ ალექსმა „სიტის" სატრანსფერო სტრატეგია სასტიკად გააკრიტიკა და იაპონელი კამიკაძეების საქციელს შეადარა.

ასე და ამგვარად, **ჯეიმს მილნერის** „ასტონ ვილადან" გადაბირებამ ისტლენდელთა ზაფხულის დანახარჯი 130 მილიონ ფუნტამდე, ანუ 203,134 ამერიკულ დოლარამდე აიყვანა, რაც მეტისმეტ სიზუსტეს ნუ მოგვთხოვთ და „იუნაიტედის" დანახარჯზე დაახლოებით 5,2-ჯერ მეტია. ახლა, „სიტის" თავკაცი ახალ შენაძენს მხოლოდ მას მერე შეხვდება, რაც გუნდი რუმინეთიდან, „ტიმიშოარასთან" ევროლიგის თამაშიდან დაბრუნდება. ფერგიუსონის პასუხად კი მანჩინიმ გასული წლები გაიხსენა და უფროს კოლეგას მის მიერ ადრე დახარჯული მილიონები შეახსენა. კერძოდ, იტალიელმა ასე თქვა:

*„თავის დროზე აბსოლუტურად ყველა გუნდი ხარჯავდა ფულს. თან, თხუთმეტი წლის წინანდელ ამბებს კი არ გახსენებთ, სულ რალაც ორი სამი წლის წინანდელი მინდა შეგახსენოთ. ბაზარი ბაზარია და ყველამ, ვისაც კარგი ფეხბურთელების დამატება სურს, ფული უნდა გადაიხადოს. ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. ფერგიუსონის ნათქვამს ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მის შეხედულებას პატივს ვცემ, მაგრამ ვიმეორებ, „სიტის" მსგავსად თავის დროზე „იუნაიტედმაც" ძალიან ბევრი ფული გადაიხადა".*

„სიტიდან" გაშვებული უელსელი ვარსკვლავი **კრეიგ ბელამი** კი თავისი მშობლიური ქალაქის გუნდში „კარდიფ სიტიში" გმირივით მიიღეს. ამასთან, ვარსკვლავმა, რომელიც პრემიერლიგის დონეზეც კი გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ და ამიტომ მის „ჩემპიონშიფში" დაქვეითებას არავინ ელოდა, კარდიფელებს მყისიერი მოგება მოუტანა - საკლუბო მაღაზიებში იყიდება და იყიდება ბელამის 39-ნომრიანი მაისურები.

ინგლისური პრესის მონაცემებით, მარტო პირველ სამ საათში ფანებმა 3 ათასი მაისურა იყიდეს, ხოლო შემოსავალმა 500 ათას ფუნტს გადააჭარბა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ შაბათს, „კარდიფ სიტისა" და „დონკასტერის" შეხვედრაში ტრიბუნაზე ნემსის ჩასავარდნი ადგილი აღარ იქნება. სტადიონზე 23 ათასი კაცი ეტევა და უკვე ყველა ბილეთი გაყიდულია. კარდიფელთა კლუბის აღმასრულებელმა შეფმა **გეთინ ჯენკინსმა** სიხარულით განაცხადა, რომ ახლა მას ეძლევა საშუალება შოტლანდიურ „მოზერუელს" მცველის **პოლ ქუინის** საფასური სრულად გადაუხადოს - კარდიფელებს ქუინის ძველი გუნდის 175 ათასი ფუნტი მართებთ.

**ილია ბაბუნაშვილი**



ჯეიმს მილნერი, სიტის ახალი შენაძენი

# ვლადიმიროვიჩი გლაზგოშია

„რეინჯერსმა" „მანჩესტერ სიტის" ვარსკვლავბიჭუნას **ვლადიმირ ვაისს** ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ამრიგად, შოტლანდიის ჩემპიონმა თავის მთავარ კონკურენტსა და „მოსისხლე" „სელტიკს" სლოვაკი ზედ ცხვირწინ ააცალა - „რეინჯერსის" მწვრთნელმა **უოლტერ სმიტმა** 20 წლის ნახევარმცველის შესაძენად პირველი ნაბიჯები დაახლოებით ექვსი კვირის წინ გადადგა, მაგრამ შემდეგ საქმეში დიდი ხმაურით ჩაერთო „სელტიკი" და ვაისის გადაბირება თავად სცადა. საბოლოოდ, როგორც მოგახსენეთ, სმიტმა იყოჩაღა და ისტლენდელებს მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურათაგანის საქმეზე გაურიგდა - ვაისი ფორმალობების მოსაგვარებლად გლაზგოში გუშინ ჩავიდა. მიხვდებოდით, ლაპარაკია სლოვაკეთის ნაკრების მწვრთნელის ვლადიმირ ვაისის ვაჟზე. როგორც მიხვდით, საქმე 12-თვიან ქირაობას ეხება.

რატომ აქირავებს **რობერტო მანჩინი** სლოვაკს? ცნობილია, იტალიელს ვაისი ძალიან მოსწონს და დარწმუნებულია, მას პრემიერლიგაში დიდი მომავალი ელის, თუმცა, იმავდროულად, სურს, რომ იგი ძირითად შემადგენლობაში თამაშს ჯერ რომელიმე სხვა გუნდში შეეჩვიოს. როგორც ამბობენ, მანჩინისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „რეინჯერსის" ჩემპიონთა ლიგაში თამაშს.

ასე და ამგვარად, ვაისი ამ ზაფხულს გლაზგოელთა მეორე შენაძენია. პირველი **ჯეიმს ბიტი** გახლდათ, რომელიც გლაზგოში სულ რალაც ერთი კვირის წინ ჩავიდა.

„რეინჯერსის" სატრანსფერო სამიზნეებიდან კიდევ ხორვატ **ნიკიტა იელავიჩზე** ღირს ყურადღების გამახვილება. ეს გახლავთ 24 წლის, 188 სმ სიმაღლის თავდამსხმელი, რომელიც ვენის „რაპიდში" თამაშობს და რომელსაც ძალიან უნდა „აიბროქს პარკზე" გადასვლა, მაგრამ არის ერთი დაბრკოლება - ევროლიგის გუშინდელი შეხვედრა „ასტონ ვილასთან". ახლა, როდესაც თქვენ „ლელოს" დღევანდელ ნომერს კითხულობთ, ვენისა და ბირმინგემის გუნდების შეხვედრა უკვე ჩატარებულია და იელავიჩის ტრანსფერის ბედიც მოთამაშის სასიკეთოდ თუ სამწუხაროდ გადაწყვეტილი გახლავთ.

ისე კი, საინტერესოა, რომ ამ ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით, თითქოსდა ყველაფერი მართლაც შეთანხმებული იყო. კლუბები ერთმანეთთან გარიგებულები იყვნენ და ფეხბურთელსაც მისი გასამრჯელო - კვირაში 15 ათასი ფუნტი აკმაყოფილებდა.

**ილია ბაბუნაშვილი**

# ისაგირე სელტიკში გადავიდა

„სელტიკმა" ჰონდურასელი მცველი **ემილიო ისაგირე** იყიდა, ოღონდ, რა გადაიხადა მასში, ცნობილი არ არის. ისაგირემ გლაზგოს გუნდთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ბრიტანეთის შესაბამისმა სამინისტრომ მას შრომის უფლება უკვე მიანიჭა, თუმცა ფეხბურთელმა გუშინ, ევროლიგაში „უტრეხტთან" ვერ ითამაშა. 24 წლის ისაგირე „სელტიკის" თავკაცის **ნილ ლენონის** მეცხრე საზაფხულო შენაძენია. ის და შოტლანდიელი **ჩარლი მალგრიუ** მარცხენა მცველის პოზიციაზე შეცვლიან ერთმანეთს.

ისაგირე ამ ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა. მან ესპანეთისა და ჩილეს ნაკრებებთან ითამაშა, შვეიცარიასთან კი არ გახლდათ მოედანზე. ნილ ლენონმა ახალი ფეხბურთელის შესახებ ასე თქვა:

*„მან ჩვენთან ერთად უკვე ივარჯიშა. მართალია, ისაგირემ „უტრეხტის" წინააღმდეგ ვერ ითამაშა, მაგრამ ამიერიდან ჩვენს განკარგულებაში იქნება. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია. მცველადაც მომწონს, მარცხენა ფეხითაც კარგად აკონტროლებს ბურთს, არც სისწრაფე დაეწუნება და თავდასხმაშიც შესანიშნავად ერთვება. ჩვენ მას მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებშიც ვაკვირდებოდით და იქაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთეთ".*

იგუირეზე ლაპარაკის შემდეგ „სელტიკის" მწვრთნელმა გულდაწყვეტით აღნიშნა, რომ **კრეიგ ბელამი** „კარდიფში" გადავიდა. მოგეხსენებათ, ლენონს უელსელი „სელტიკში" სჭირდებოდა, თუმცა იგი იხტიბარს არ იტეხს და ამბობს, რომ რომელიმე „დიდ სახელს" მაინც მიიყვანს „სელტიკ პარკზე". შეგახსენებთ, რომ ლენონს რამდენიმე „დიდი" ვარიანტი უკვე ჩაუვარდა. ლაპარაკი იყო **დევიდ ჯეიმსზე, სოლ კემპბელსა** და **ჯიმი ბალარდზე**.

*„იმედი სულაც არ დამიკარგავს - ამბობს ლენონი - ასეთი რამეები ხდება, რაც ჩვენ იმთავითვე კარგად ვიცოდით და სხვა ვარიანტებიც გვქონდა მომზადებული. რაც შეეხება კრეიგს, მისი გუნდში აყვანა მართლა ძალიან მინდოდა, მაგრამ არ გამოვიდა, რამაც მეტისმეტად დამწყვიტა გული. რას იზამ, ცხოვრება გრძელდება. ისე კი, სწორედ კრეიგის დონის ფეხბურთელი მინდა გუნდში მივიყვანო. ასეთი რამ წინა წლებშიც გაგვიკეთებია და გადაწყვეტილებას არ შევცვლი. ახლა მიზანში რამდენიმე მოთამაშე მყავს ამოღებული. მინდა ისინი ვიყიდო. თუ გამომივა, ამას არაფერი აჯობებს, თუ არა და, ისედაც ჩინებული ფეხბურთელებით ვართ დაკომპლექტებული".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენეჯმენტი

# დამარცხებული რეფორმატორი

საოცარი ცნობაა: პრემიერლიგის ჩემპიონატის პირველ ტურში სენსაციის ავტორი კლუბის „ბლექპულის" თავმჯდომარე თანამდებობიდან გადადგა. **კარლ ოისტონმა** ინგლისის უმაღლეს საფეხბურთო საფეხურს ერთი თამაშის მეტი ვერ გაუძლო. რა გამოვიდა? ამ კაცის სწორი მენეჯმენტის წყალობით გუნდი პრემიერლიგაში გადმოვიდა, „უიგანს" მისსავე მოედანზე 4:0 აჯობა და...



კარლ ოისტონი

ოისტონმა თქვა: „რაც უფრო მეტს ველაპარაკები სხვა კლუბების წარმომადგენლებს, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ამ საფეხბურთო სამყაროში აბსოლუტურად მარტო ვარ. ვფიქრობ, პრემიერლიგის შესაფერისი მენტალიტეტი და საქმისადმი მიდგომა არ მაქვს. ყველა აღიარებს, რომ აქ ბიზნესი სწორად მიდის. ერთადერთი კაცი, ვინც ამბობს, რომ საქმის აწყობა ასე არ შეიძლება, მე ვარ. მე, მაგალითად, ვფიქრობ, რომ აგენტები საერთოდ არაფერს არ უნდა აგვარებდნენ. ყველაფერი თავად ფეხბურთელებზე უნდა იყოს დამოკიდებული. მოთამაშეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, საუკეთესო მწვრთნელების ხელმძღვანელობით მსოფლიოს უდიადეს საფეხბურთო სცენაზე გამოდიოდნენ".

დიდ მარაქაში გარეული პატარა „ბლექპულის" თავმჯდომარემ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა პრემიერლიგაში ცვლილებები დაენერგა და იმედი ჰქონდა, რომ კოლეგები აჰყვებოდნენ. მას უნდოდა ფეხბურთელებისა და მისი აგენტებისთვის ენით აუწერელი ხელფასები აღარ დაენიშნათ. მან კატეგორიულად უარყო ვეებერთელა პრემიების სისტემა, ხოლო ხელფასს ზედა ზღვარი დაადო - კვირაში 10 ათასი ფუნტი. მაგრამ, „უიგანთან" გამარჯვებიდან ოთხ დღეში 43 წლის ბიზნესმენმა პრემიერლიგის სამყაროს ველარ გაუძლო.

„ჩემპიონშიფში რომ გამოვდიოდით კოლეგებისგან გარკვეულ დახმარებას ვგრძნობდი, მაგრამ აქ, პრემიერლიგაში ვატყობ, რომ თანამოაზრეების ძებნას არანაირი აზრი არ აქვს. ხშირად, აგენტები თავიანთ კლიენტებს ხანგრძლივი კონტრაქტის დადების საშუალებას არ აძლევენ და ამის გამო ფეხბურთელთა მთელ ჯგუფს, მაგალითად, არ შეუძლია იმუშაოს ისეთი სპეციალისტის ხელმძღვანელობით, როგორიც იან ჰოლოუეი გახლავთ".

**ილია ბაბუნაშვილი**

მუნდიალი 2018

# დევიდ, წამოდი ბლექბერნში!



როგორ უპასუხებს დევიდ ბექჰემი ბლექბერნში გადასვლის შეთავაზებას?

ახლავე მოგახსენებთ, რას ნიშნავს Back the Bid Week. როგორც იცით, ინგლისს მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა სურს და საამისო უფლების მოსაპოვებლად იბრძვის. **დევიდ ბექჰემი** პროექტის აქტიური წევრი, თუმცა რაღა აქტიური - სულაც ვიცე-პრეზიდენტია და ყველა ღონეს ხმარობს, რათა თავის ქვეყანას ამ კონკურსში გამარჯვება მოუტანოს. ჰოდა, Back the Bid Week გახლავთ კვირეული ლოზუნგით - „მხარი დაუჭირე ჩვენს განაცხადს". ფიფას ინსპექტორები ინგლისში ჩავლენ და ნახავენ, როგორ მიდის საქმე. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს 23-26 აგვისტოს მოხდება და ამ დღეებში მასპინძლებს საგანგებო ღონისძიებათა მთელი წყება აქვთ დაგეგმილი. ცნობისთვის: სამშაბათიდან, 2018 წლის მუნდიალის მასპინძლის გამოცხადებამდე ზუსტად 100 დღე რჩება. ვიცე-პრეზიდენტმა თქვა:

„ჩვენი ხალხი გასულ წლებში საოცრად გვიჭერდა მხარს. ახლა, ჩვენ გვეძლევა საშუალება მხარდაჭერის კვირეულში, კიდევ ერთხელ გავერთიანდეთ, ერთ მუშტად შევიკრათ და 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მოსაპოვებლად სერიოზული ნაბიჯი გადავდგათ. ეჭვიც არ მეპარება, რომ ინგლისის ყველა კუთხის ფანები ერთსულოვნად შეეცდებიან ფიფას ინსპექტორებს აჩვენონ, რომ ჩვენ უდიდესი საფეხბურთო ფესტივალის მოწყობა შეგვიძლია".

შაბათსა და კვირას აგიტაციისა და „პიარ"-აქციებისთვის ინგლისელებს დიდებული ასპარეზი აქვთ - პრემიერლიგისა თუ სხვა დივიზიონების თამაშებზე უკეთესს ვერც ინატრებ კაცი. გარდა ამისა, გაიმართება ბავშვთა წვრთნის საჯარო გაკვეთილები და სახალხო ბურთაობები...

მოკლედ, ბექჰემს საქმე თავზე საყრელად ექნება და, ჯერჯერობით არ ეცლება ინდოელი ბიზნესმენის **ჰასან ალი სიედის** წინადადებაზე დასაფიქრებლად - სიედი „ბლექბერნის" ყიდვას აპირებს და ამ საქმეს რომ მოამთავრებს, შეეცდება ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი პრემიერლიგას დაუბრუნოს. ბაჰრეინში მოღვაწე საქმოსანი ბექჰემის თავგადაკლული ფანი გახლავთ და თუ ვეტერანი კარიერის „ივუდ პარკზე" დასრულებას დათანხმდება, მზადაა, დიდძალი ჯამაგირიც დაუნიშნოს.

სიედმა თქვა: „პრემიერლიგას გემო რომ გავუგე, 26 წლის ვიყავი. მაშინ „ბლექბერნი" მომეწონა და ამ გუნდს ვქომაგობდი, თუმცა დევიდ ბექჰემის ხათრით „მანჩესტერ იუნაიტედსაც" ვუჭერდი მხარს. ახლა ასე ვაპირებ: თუ ჩემი ფინანსები საშუალებას მომცემს და ბექჰემისგანაც შემხვედრ სურვილს დავინახავ, ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ის „ბლექბერნში" გადმოვიყვანო".

ცნობისთვის, ალი სიედს „ბლექბერნის" ყიდვა 300 მილიონი ფუნტი უჯდება...

**ილია ბაბუნაშვილი**



# გერმანია

## ბუნდესლიგა 2010/11. განაცხადები

### ვერდერი
დაარსდა: 04.02.1899
სტადიონი: ვეზერშტადიონი (42 100)

**მეკარეები**
1. ტიმ ვიზე 17.12.81
21. სებასტიან მილიტცი 18.07.89
33. კრისტიან ფანდერი 24.10.80
42. ფელიქს ვიდვალდი 15.03.90

**მცველები**
2. სებასტიან ბიონიში 29.10.75
3. პეტრი პასანენი (ფინ) 24.09.80
4. ნალდო (ბრა) 10.09.82
8. კლემენს ფრიტცი 07.12.80
15. სებასტიან პრიოდლი (ავს) 21.06.87
27. ნიკლას ანდერსენი 04.08.88
29. პერ მერტეზაკერი 29.09.84
41. დომინიკ შმიდტი 01.07.87

**ნახევარმცველები**
6. ტიმ ბოროვსკი 02.05.89
10. მარკო მარინი 13.03.89
14. აარონ ჰანტი 04.09.86
17. საიდ ჰუსეინოვიჩი (ბოს) 13.05.88
20. დანიელ იენსენი (დან) 25.06.79
22. ტორსტენ ფრინგსი 22.11.76
32. ალექს იკენგი 30.01.88
35. ფლორიან ტრინკსი 11.03.92
44. ფილიპ ბარგფრედე 03.03.89
45. ტიმო პერთელი 11.02.89

**თავდამსხმელები**
7. მარკო არნაუტოვიჩი (ავსტრია) 19.04.89
9. მარკუს როზენბერგი (შვედ) 27.09.82
19. სანდრო ვაგნერი 29.11.87
23. უგო ალმეიდა (პორ) 23.05.84
24. კლაუდიო პისარო (პერ) 03.10.78
28. კევინ შინდლერი 21.05.88
36. ლენარტ თაი 25.02.92
43. პასკალ ტესტრიოტი 26.09.90
46. ონურ აიქი (თურ) 28.01.90
49. ტორსტენ იორლი 07.01.86

*მწვრთნელი: თომას შააფი* 30.04.61

### ბორუსია (დ)
დაარსდა: 19.12.1909
სტადიონი: სიგნალ იდუნა პარკი (ვესტფალენშტადიონი, 80 552)

**მეკარეები**
1. რომან ვაიდენფელერი 06.08.80
20. მიტჩელ ლანგერაკი (ავსტრალ) 22.08.88
41. იოჰანეს ფოხერი 20.01.90

**მცველები**
2. ლასე სობიხი 18.01.91
4. ნევენ სუბოტიჩი (აშშ) 10.12.88
15. მატს ჰუმელსი 16.12.88
17. დედე (ბრა) 18.04.78
25. პატრიკ ოვომოიელა 05.11.79
26. ლუკაშ პიშჩეკი (პოლ) 03.06.85
27. ფელიპე სანტანა (ბრა) 17.03.86
29. მარსელ შმელცერი 22.01.88
44. მარკ ჰორნშუ 02.03.91

**ნახევარმცველები**
5. სებასტიან კელი 13.02.80
6. ფლორიან კრინგე 18.08.82
8. ნური შაჰინი (თურ) 05.09.88
14. მარკუს ფოილნერი 12.02.82
16. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (პოლ) 14.12.85
19. კევინ გროსკროიტცი 19.07.88
22. სვენ ბენდერი 27.04.89
23. შინჯი კაგავა (იაპ) 17.03.89
30. ტამაშ ჰაინალი (უნგ) 15.03.81
31. მარიო გიოტცე 03.06.92
36. იასინ იოზთეკინი (თურ) 19.03.87

**თავდამსხმელები**
7. რობერტ ლევანდოვსკი (პოლ) 21.08.88
10. მოჰამედ ზიდანი (ეგვ) 11.12.81
11. დიმიტარ რანგელოვი (ბულ) 09.02.83
13. დამიენ ლე ტალეკი (საფ) 19.04.90
18. ლუკას ბარიოსი (პარ) 13.11.84
28. დანიელ გინშეკი 13.04.91
39. მარკო შტიპერმანი 09.02.91

*მწვრთნელი: იურგენ კლოპი* 16.06.67

### აინტრახტი
დაარსდა: 08.03.1899
სტადიონი: კომერცბანკ-არენა (51 500)

**მეკარეები**
1. ოკა ნიკოლოვი (მაკ) 25.05.74
22. რალფ ფერმანი 27.09.88
26. ანდრეას რიოსლი 20.02.88

**მცველები**
2. პატრიკ ოხსი 14.05.84
3. ნიკოლა პეტკოვიჩი (სერ) 28.03.86
4. მაიკ ფრანცი 05.08.81
5. ალექსანდარ ვასოსკი (მაკ) 21.11.79
19. ჰაბიბ ბელაი (საფ) 28.03.86
23. მარკო რუსი 04.08.85
24. სებასტიან იუნგი 22.06.90
29. კრისი (ბრა) 25.08.78
31. გეორგიოს ცაველასი (საბ) 26.11.87

**ნახევარმცველები**
7. ბენიამინ კიოლერი 04.08.80
8. ზლატან ბაირამოვიჩი (ბოსნია) 12.08.79
13. რიკარდო კლერკი (აშშ) 10.02.83
14. ალექს მაიერი 17.01.83
20. სებასტიან როდე 11.10.90
27. პირმინ შვეგლერი (შვეიც) 09.03.87
28. სონი კიტელი 06.01.93
30. კაიო (ბრა) 29.05.86
33. მარკუს შტაინჰიოფერი 07.03.86
36. მარსელ ტიჩ-რივერო 02.11.89

**თავდამსხმელები**
10. ჰალილ ალთინთოფი (თურ) 08.12.82
11. უმით ქორქმაზი 17.09.85
17. მარტინ ფენინი (ჩეხ) 16.04.87
18. იოანის ამანატიდისი (საბ) 03.12.81
21. თეოფანის გეკასი (საბ) 23.05.80
25. მარსელ ჰელერი 12.02.86
34. კენკ ტოსუნი 07.06.91
35. მარკოს ალვარესი 30.09.91

*მწვრთნელი: მიხაელ სკიბე* 04.08.65

### ფრაიბურგი
დაარსდა: 30.05.1904
სტადიონი: ბოდენოვაშტადიონი (24 000)

**მეკარეები**
1. სიმონ პუვლინი (საფ) 28.05.85
26. მანუელ ზალცი 06.08.85
37. ოლივერ ბაუმანი 02.06.90

**მცველები**
2. პაველ კრმასი (ჩეხ) 03.03.80
3. ფელიქს ბასტიანსი 09.05.88
5. ჰაიკო ბუტშერი 28.07.80
15. ოლივერ ბართი 06.10.79
24. მენსურ მუჯჯა (ხორ) 28.03.84
38. იომერ ტოპრაკი 21.07.89

**ნახევარმცველები**
7. ჩედრიკ მაკიადი 23.02.84
8. იან როზენტალი 07.04.86
10. მაქსიმილიან ნიკუ (რუმ) 25.11.82
11. ჯონათან იეგერი (საფ) 23.05.78
14. ზვონკო პამიჩი (ხორ) 04.02.91
17. ალან ჯუნიორ ოლე ოლე (კამ) 11.04.87
18. იოჰანეს ფლუმი 14.12.87
20. ივიცა ბანოვიჩი (ხორ) 02.08.80
23. იულიან შუსტერი 15.04.85
28. დანიელ ვილიამსი 08.03.89
31. ნიკოლას ჰიოფლერი 09.03.90
40. დანიელ კალიგიური 15.01.88

**თავდამსხმელები**
9. პაპის დემბა სისე (კამ) 03.06.85
13. ტომი ბეხმანი (დან) 22.12.81
27. შტეფან რაიზინგერი 14.09.81

*მწვრთნელი: რობინ დუტი* 24.01.65

### ჰამბურგი
დაარსდა: 29.09.1887
სტადიონი: ნორდბანკ-არენა (57 000)

**მეკარეები**
1. ფრანკ როსტი 30.06.73
12. ვოლფგანგ ჰესლი 13.01.86
29. ტომ მიკელი 19.04.89
45. იაროსლავ დროზნი (ჩეხ) 18.10.79

**მცველები**
2. დენის დიკმაიერი 20.10.89
3. დავიდ როზენალი (ჩეხ) 05.07.80
4. ჰაიკო ვესტერმანი 14.08.83
5. იორის მატიისენი (ჰოლ) 05.04.80
6. დენის აოგო 14.01.87
20. გი დემელი (კოტ) 13.06.81
23. ლენარდ სოვა 23.08.92
30. კოლინ ბენჯამინი (ნამ) 03.08.78
33. მიროსლავ სტეპანეკი (ჩეხ) 15.01.90
34. მუჰამედ ბესიჩი (ბოს) 10.09.92

**ნახევარმცველები**
7. მარსელ იანსენი 04.11.85
8. ზე რობერტო (ბრა) 06.07.74
11. ელჯერო ელია (ჰოლ) 13.02.87
13. რობერტ ტეშე 27.05.87
14. დავიდ იაროლიმი (ჩეხ) 17.05.79
15. პიოტრ ტროხოვსკი 22.03.84
18. რომეო კასტელენი (ჰოლ) 03.05.83
21. ჯონათან პიტროიპა (ბურკ. ფას) 12.04.86
24. კრისტიან გროსი 08.02.89
25. რომას რინკონი (ვენ) 13.01.88
27. სიორენ ბერტრამი 05.06.91
28. მიკაელ ტავარესი (საფ) 25.10.82
32. ენის ბენ-ჰატირა 18.07.88
36. ჰანო ბერენსი 26.03.90
44. გოიკო კაჩარი (სერ) 26.01.91

**თავდამსხმელები**
9. პაოლო გერერო (პერ) 01.01.84
10. მლადენ პეტრიჩი (ხორ) 01.01.81
17. ერიკ მაქსიმ ჩუპო-მოტინგი 23.03.89
22. რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლ) 01.07.76
31. მაქსიმილიან ბაისტერი 06.09.90
35. თუნაი თორუნი (თურ) 21.04.90
40. ჰიონ-მი სონი (კორ) 08.07.92

*მწვრთნელი: არმინ ფეე* 01.02.61

### ჰანოვერი
დაარსდა: 12.04.1896
სტადიონი: ავედი-არენა (49 000)

**მეკარეები**
1. ფლორიან ფრომლოვიტცი 02.07.86
14. მარკუს მილერი 08.04.82
20. რონ-რობერტ ცილერი 12.02.89

**მცველები**
4. ემანუელ პოგატეცი (ავსტრია) 16.01.83
5. მარიო ეგიმანი (შვეიც) 24.01.81
6. სტივენ ჩერუნდოლო (აშშ) 19.02.79
19. კრისტიან შულცი 01.04.83
21. ქარიმ ჰაგი (ტუნ) 20.01.84
31. ტიმ ჰოფმანი 09.06.88
34. კონსტანტინ რაუში 15.03.90
35. კრისტოფერ აფეფორი 11.02.92
37. ფელიქს ბურმაისტერი 09.03.90

**ნახევარმცველები**
3. ლეონ ანდრეასენი (დან) 23.04.83
7. სერჟიო პინტუ (პორ) 16.10.80
8. ალტინ ლალა (ალბ) 18.11.75
15. კონსტანტ ჯაპკა (კ. დი) 17.10.86
22. ვალდეტ რამა (ალბ) 20.11.87
28. ლარს შტინდლი 26.08.88
30. კარლიტოსი (პორ) 06.09.82
33. მანუელ შმიდებახი 05.12.88
35. სოფიან ჩაჰედი 22.11.89
36. ვილი ევსეევი 14.02.92
41. ჰენრიკ ერნსტი 02.09.86

**თავდამსხმელები**
9. მაიკ ჰანკე 05.11.83
11. დიდიე ია კონანი (კოტ) 22.05.84
13. იან შლაუდრაფი 18.071983
17. მორიტც შტოპელკამპი 11.12.86
32. მიკაელ ფორსელი (ფინ) 15.03.81

*მწვრთნელი: მირკო სლომკა* 12.09.67

### ჰოფენჰაიმი
დაარსდა: 01.07.1899
სტადიონი: რაინ-ნეკარ-არენა (ზინსჰაიმი, 30 150)

**მეკარეები**
1. დანიელ ჰაასი 01.08.83
27. რამაზან იოზჯანი (ავს) 28.06.84
30. იენს გრალი 22.09.88
33. ტომ შტარკე 18.03.81

**მცველები**
2. ანდრეას ბეკი 13.03.87
3. მათიას იაისლე 05.04.88
5. მარვინ კომპერი 14.06.85
8. კრისტიან აიხნერი 24.11.82
14. იოზიპ შიმუნიჩი (ხორ) 18.02.78
22. იუკა რაიტალა (ფინ) 15.09.88
25. ისააკ ფორსა 02.06.88
26. ანდრეას იბერტსბერგერი (ავს) 27.07.82
32. რობინ ნოიპერტი 19.08.91
35. კევინ კონრადი 10.08.90
37. მანუელ გულდე 12.02.91
42. ფილიპ კლინგმანი 22.04.88

**ნახევარმცველები**
7. ბორის ვუკჩევიჩი 16.03.90
10. კარლოს ედუარდო (ბრა) 18.07.87
17. ტობიას ვაისი 30.07.85
21. ლუის გუსტავო (ბრა) 23.07.87
23. სეიად სალიჰოვიჩი (ბოსნია) 08.10.84
31. ანდრეას ლუდვიგი 11.09.90
39. პასკალ გროსი 15.06.91

**თავდამსხმელები**
9. დემბა ბა (სენ) 25.05.85
15. პენიელ მლაპა 20.02.91
16. კაი ჰერდლინგი 27.06.84
18. პრინს ტაგო (გან) 09.11.86
19. ვედად იბიშევიჩი (ბოსნია) 08.06.84
20. ჩინედუ ოგასი ობვუკე (ნიგ) 01.06.86
34. დენის ტომალა 16.08.92
40. კრისტოფ ჰემლაინი 16.12.90

*მწვრთნელი: რალფ რანგნიკი* 29.06.58

### კიოლნი
დაარსდა: 13.02.1948
სტადიონი: რაინ-ენერგი-შტადიონი (50 000)

**მეკარეები**
1. ფარიდ მონდრაგონი (კოლ) 21.06.71
24. დანიელ შვაბკე 19.07.89
26. ტიმო ჰორნი 12.05.93
34. მირო ვარვოდიჩი (ხორ) 15.05.89

**მცველები**
2. მიშო ბრეჩკო (სლოვენ) 01.05.84
3. იუსუფ მოჰამადი (ლიბ) 01.07.80
4. მარვინ მატიპი 25.09.85
12. ანდრეზინიო (ბრა) 09.10.81
16. კრისტოფერ შორხი 30.01.89
18. კონსტანტინოს გიანულისი 09.12.87
21. პედრო ჟეირომელი (ბრა) 21.09.85
22. ფაბრის ერეთი (საფ) 28.09.79
23. კევინ მაკენა (კან) 21.01.80
28. კარსტენ კულმანი 05.03.76
31. ალექსანდერ ფაასენი 09.12.91
32. შტეფან ზალგერი 30.01.90
36. ბიენვენუ ბასალა-მაზანა 02.01.92

**ნახევარმცველები**
5. მარტინ ლანიგი 11.07.84
6. თანერ იალჩინი 18.02.90
8. პეტიტი (პორ) 25.09.76
13. დანიელ ბროზინსკი 17.07.88
17. კევინ პეცონი 22.03.89
19. მატო ჟაჟალო (ხორ) 24.05.88
25. ადამ მატუშიკი (პოლ) 14.02.89
27. კრისტიან კლემენსი 04.08.91
29. კრისტოფერ ბუხტმანი 25.04.92
33. მიხაელ ნიდრიგი 12.01.80
37. რაინჰოლდ იაბო 10.02.92

**თავდამსხმელები**
7. სებასტიან ფრაისი 23.04.85
9. მანასე იშიაკუ (ნიგ) 09.01.83
10. ლუკას პოდოლსკი 04.06.85
11. მილოვეო ნოვაკოვიჩი (სლოვენ) 18.05.79
14. ალექსანდრუ იონიტა (რუმ) 05.08.89
20. ადილ ჩიჰი (მარ) 21.02.88
31. მარკ უთი 24.08.91
49. ჟოზე ვუნგუიდიკა (ანგ) 03.01.90

*მწვრთნელი: ზვონიმირ სოლდო* 02.11.67

### ლევერკუზენი
დაარსდა: 01.07.1904
სტადიონი: ბაიარენა (30 500)

**მეკარეები**
1. რენე ადლერი 15.01.85
22. ბენედიქტ ფერნანდესი 08.01.85
33. ტომაშ ბოგელი (პოლ) 29.12.74
36. ფაბიან გიფერი 17.05.90

**მცველები**
2. დანიელ შვააბი 23.08.88
3. შტეფან რაინარტცი 01.01.89
4. სამი ჰიპია (ფინ) 07.10.73
5. მანუელ ფრიდრიხი 13.09.79
15. ჰანს შარპეი (გან) 29.06.76
17. დომაგოჟ ვიდა (სერ) 29.04.89
24. მიხალ კადლეცი (ჩეხ) 13.12.84
27. გონსალო კასტრო 11.06.87

**ნახევარმცველები**
6. სიმონ როლფესი 21.01.82
7. ტრანკუილიო ბარნეტა (შვეიც) 22.05.85
8. ლარს ბენდერი 27.04.89
10. რენატო (ბრა) 08.02.88
13. მიხაელ ბალაკი 29.09.76
14. ჰანო ბალიტში 02.01.81
18. სიდნი სემი 31.01.88
21. მარსელ რისსე 17.12.89
23. არტურო ვიდალი (ჩილ) 22.05.87
28. ბურაკ კაპლანი 01.02.90
37. კევინ კამპლი 09.10.90

**თავდამსხმელები**
9. პატრიკ ჰელმესი 20.11.84
11. შტეფან კისლინგი 25.01.84
19. ერენ დერდიოკი (შვეიც) 12.06.88
31. ნიკოლაი იორგენსენი (დან) 15.01.91

*მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი* 09.05.85

### მაინცი
დაარსდა: 16.03.1905
სტადიონი: ბრუხვეგშტადიონი (20 300)

**მეკარეები**
1. მარტინ პიკენჰაგენი 15.11.71
29. კრისტიან ვეტკლო 11.01.80
33. ჰაინც მიულერი 30.05.78

**მცველები**
2. ბო სვენსონი (დან) 04.08.79
4. ნიკოლჩე ნოველსკი (მაკ) 28.04.79
5. იოგენ გოპკო 05.01.91
8. რადოსლავ ზაბავნიკი (სერ) 16.09.80
15. იან კირხჰოფი 01.10.90
22. კრისტიან ფუხსი (ავსტრია) 07.04.86
24. ჟოლტ ლიოვი (უნგ) 29.04.79
26. ნიკო ბუნგერტი 24.10.86

**ნახევარმცველები**
6. მარკო კალიგიური 14.04.84
7. იოგენ პოლანსკი 17.03.86
10. იან შიმაკი (ჩეხ) 13.10.78
16. ფლორიან ჰეშერი 10.03.82
18. ლუის ჰოლტბი 18.09.90
19. ელკინ სოტო (კოლ) 04.08.80
20. ჯეიირ ჯეიფრი (აშშ) 14.06.90
21. მიროსლავ კარჰანი (სლოვაკ) 21.06.76
25. ანდრეას ივანშიტცი (ავსტრია) 15.10.83
38. კრისტიან გრიმი 04.02.87

**თავდამსხმელები**
9. სამი ალაგუი (ტუნ) 28.05.86
14. ანდრე შიურლე 06.11.90
17. არუნა ბაბანგიდა (ნიგ) 01.10.82
35. პეტარ სლიშკოვიჩი (ხორ) 21.02.91
36. დრაგან გეორგიევი (მაკ) 16.12.90
99. ფელიქს ბორხა (ეკვ) 02.04.83

*მწვრთნელი: თომას ტუხელი* 29.08.73

### ბორუსია (მ)
დაარსდა: 01.08.1900
სტადიონი: ბორუსია პარკი (54 067)

**მეკარეები**
1. კრისტოფერ ჰაიმეროთი 01.08.81
21. მარკ-ანდრე ტერ შტეგენი 30.04.92
30. ლოგან ბეილი (ბელ) 27.12.85

**მცველები**
2. სებასტიან შახტენი 06.11.84
3. ფილიპ დემსი (ბელ) 31.10.78
4. როელ ბრუვერსი (ჰოლ) 28.11.81
5. ანდერსონი (ბრა) 10.01.88
6. იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი 23.09.84
7. პაულ სტალტერი (კან) 18.10.77
17. ბერნჰარდ იენეშეკი (ავსტრია) 10.03.92
20. ჟან-სებასტიენ ჟორე (საფ) 30.09.77
22. ტობიას ლეველსი 22.11.86
23. კრისტიან დორდა 06.12.88
27. იენს ვისინგი 02.01.88
31. დანტე (ბრა) 18.10.83

**ნახევარმცველები**
8. მარსელ მეეუვისი (ჰოლ) 31.10.80
11. მარკო როისი 31.05.89
13. რომან ნოიშტედტერი 18.02.88
14. ტორბენ მარქსი 01.06.81
15. პატრიკ ჰერმანი 12.02.91
18. ხუან არანგო (ვენ) 17.05.80
19. გალ ალბერმანი (ისრ) 17.04.83
24. ტონი იანტშკე 07.04.90
26. მაიკლ ბრედლი (აშშ) 31.07.87

**თავდამსხმელები**
9. რაულ ბობადილია (არგ) 18.06.87
10. იგორ დე კამარგო (რუმ) 12.05.83
25. მაჰამადუ იდრისუ 08.03.80
29. ფაბიან ბეკერი 25.05.90
40. ქარიმ მატმური (ალჟ) 25.06.85

*მწვრთნელი: მიხაელ ფრონტცეკი* 26.03.64

### ბაიერნი
დაარსდა: 27.02.1900
სტადიონი: ალიანცარენა (69 000)

**მეკარეები**
1. ჰანს-იორგ ბუტი 28.05.74
22. რუვენ ზატელმაიერი 07.08.87
35. თომას კრაფტი 22.07.88

**მცველები**
2. ბრენო (ბრა) 13.10.89
4. ედსონ ბრააფჰაიდი (ჰოლ) 08.04.83
5. დანიელ ვან ბუიტენი (ბელ) 07.02.78
6. მარტინ დემიკელისი (არგ) 20.12.80
21. ფილიპ ლამი 11.11.83
26. დიეგო კონტენტო 01.05.90
28. ჰოლგერ ბადშტუბერი 13.03.89

**ნახევარმცველები**
7. ფრანკ რიბერი (საფ) 07.04.83
8. ჰამით ალთინთოფი (თურ) 08.12.82
10. არიენ რობენი (ჰოლ) 23.01.84
16. ანდრეას ოტლი 01.03.85
17. მარკ ვან ბომელი (ჰოლ) 22.04.77
20. ხოსე ერნესტო სოსა (არგ) 19.06.85
23. დანიელ პრანიჩი (ხორ) 02.12.81
27. დავიდ ალაბა (ავსტრია) 24.06.92
31. ბასტიან შვაინშტაიგერი 01.08.84
39. ტონი კროოსი 04.01.90
44. ანატოლი ტიმოშჩუკი (უკრ) 30.03.79

**თავდამსხმელები**
11. ივიცა ოლიჩი (ხორ) 14.09.79
18. მიროსლავ კლოზე 09.06.78
25. თომას მიულერი 13.09.89
33. მარიო გომესი 10.07.85

*მწვრთნელი: ლუის ვან გაალი* 08.08.51

### ნიურნბერგი
დაარსდა: 04.05.1900
სტადიონი: იზი-კრედიტ-შტადიონი (46 780)

**მეკარეები**
1. რაფაელ შეფერი 30.01.79
30. ალექსანდერ შტეფანი 15.09.86
32. დანიელ ბატცი 12.01.91

**მცველები**
3. პერ ნილსონი (შვედ) 15.09.82
5. ანდრეას ვოლფი 12.06.82
6. დომინიკ მარო 04.03.87
16. იური იუდტი 24.07.86
20. პასკალ ბილერი 26.02.86
25. ხავიერ პინოლა (არგ) 24.02.83
31. ტომაშ ველნიჩკი (პოლ) 18.03.90
33. ფელისიო ბრაუნ ფორბესი 28.08.91
38. ფილიპ ვოლშაიდი 06.03.89

**ნახევარმცველები**
2. ტიმი სიმონსი (ბელგ) 11.12.76
11. მარეკ მინტალი (სლოვაკ) 02.09.77
13. იენს ჰეგელერი 22.01.88
15. კრისტოფ ზაუტერი 03.08.91
17. მაიკ ფრანტცი 14.10.81
18. ალმოგ კოენი (კან) 01.09.88
21. დარიო ვიდოშიჩი (ავსტრალ) 08.04.87
22. ილქაი გიუნდოგანი 24.10.90
37. მევლით ეძიჩი 25.03.90

**თავდამსხმელები**
8. კრისტიან აიგლერი 01.01.84
10. ალბერტ ბუნიაკუ (შვეიც) 29.11.83
14. რობერტ მაკი (სერ) 08.03.91
19. ისააკ ბუკი (გან) 26.11.81
23. იულიან შიბერი 13.02.89
29. რუბინ ოკოტი (ავსტრია) 06.06.87

*მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი* 12.09.64

### შალკე
დაარსდა: 04.05.1904
სტადიონი: ფელტინს არენა აუფ შალკე (61 673)

**მეკარეები**
1. მანუელ ნოიერი 27.03.86
33. მათიას შობერი 08.04.76
36. ლარს უნერშტალი 20.07.90

**მცველები**
3. სერხიო ესკუდერო (ესპ) 02.09.89
4. ბენედიქტ ჰიოვედესი 29.02.88
6. ტიმ ჰოოგლანდი 11.06.85
14. კირიაკოს პაპადოპულოსი (საბ) 23.02.92
21. კრისტოფ მეტცელდერი 05.11.80
22. აცუტო უჩიდა (იაპ) 27.03.88
24. კრისტიან პანდერი 28.08.83
39. მარვინ პახანი 11.04.90

**ნახევარმცველები**
6. ალბერტ შტრაიტი 28.03.80
8. ხუნმინ ჰაო (ჩინ) 24.03.87
10. ივან რაკიტიჩი (ხორ) 10.03.88
11. ალექსანდერ ბაუმიოჰანი 23.01.87
12. პეერ კლუგე 22.11.80
13. ლუკას შმიტცი 13.10.88
20. ვასილის პლიციკასი (საბ) 14.04.88
23. ჯერმეინ ჯონსი 03.11.81
28. კრისტოფ მორიტცი 27.01.90
30. ლევან ყენია (საქ) 18.10.90
32. ჯოელ მატიპი (კამ) 08.08.91
40. პრედრაგ სტევანოვიჩი (სერ) 09.03.91

**თავდამსხმელები**
7. რაული (ესპ) 27.06.77
9. ედუ (ბრა) 30.11.81
17. ჯეფერსონ ფარფანი (პერ) 28.10.84
19. მარიო გავრანოვიჩი (შვეიც) 24.11.89
26. ერიკ იენდრიშეკი (ჩეხ) 26.10.86
29. ბოგდან მიულერი 12.06.88
34. ბესარტ იბრაიმი (მაკ) 17.12.86
38. მარვინ პურიე 08.01.91

*მწვრთნელი: ფელიქს მაგათი* 26.07.53

### შტუტგარტი
დაარსდა: 09.09.1893
სტადიონი: მერსედეს-ბენც-არენა (55 896)

**მეკარეები**
1. სვენ ულრაიხი 03.08.88
12. ალექსანდერ შტოლცი 13.10.83
23. მარკ ციგლერი 13.06.76

**მცველები**
2. ფილიპ დეგენი (შვეიც) 15.02.83
3. კრისტიან მოლინარო (იტა) 30.07.83
4. ხალიდ ბულარუზი (ჰოლ) 28.12.81
5. სერდარ ტასკი 24.04.87
6. გეორგ ნიდერმაიერი 26.02.86
15. არტურ ბოკა (კოტ) 02.04.83
17. მატიო დელპიერი (საფ) 26.04.81
27. სტეფანო ჩელოცი 02.11.88

**ნახევარმცველები**
8. ზდრავკო კუზმანოვიჩი (სერ) 22.09.87
11. იოან ოდე (საფ) 12.12.83
13. ტიმო გებჰარდტი 12.04.89
14. პატრიკ ფუნკი 11.02.90
16. სებასტიან რუდი 28.02.90
20. კრისტიან გენტნერი 14.08.85
25. ელსონი (ბრა) 16.11.81
26. დანიელ დიდავი 21.02.90
35. კრისტიან ტრეში 01.09.87

**თავდამსხმელები**
7. მარტინ ჰარნიკი (ავსტრია) 10.06.87
9. ჩიპრიან მარიკა (რუმ) 02.10.85
18. კაკაუ (ბრა) 27.03.81
29. პაველ პოგრებნიაკი (რუს) 08.11.83

*მწვრთნელი: კრისტიან გროსი* 14.08.54

### ვოლფსბურგი
დაარსდა: 12.09.1945
სტადიონი: ფოლკსვაგენ-არენა (30 000)

**მეკარეები**
1. დიეგო ბენალიო (შვეიც) 08.09.83
12. ანდრე ლენცი 19.11.73
35. მარვინ ჰიტცი (შვეიც) 18.09.87

**მცველები**
3. არნე ფრიდრიხი 29.05.79
4. მარსელ შეფერი 07.06.84
16. ფაბიან ჯონსონი 11.12.87
17. ალექსანდერ მადლუნგი 11.07.82
19. პეტერ პეკარიკი (სლოვაკ) 30.10.86
20. საშა რიტერი 23.03.83
34. სიმონ კიაერი (დანია) 26.03.89
37. სერგეი კარიმოვი 21.12.86
39. მიხაელ შულცე 13.01.89
42. იულიან კლამტი 22.08.89
43. ანდრეა ბარძალი (იტა) 08.05.81

**ნახევარმცველები**
7. ჟოსუე (ბრა) 19.07.79
8. თომას კალენბერგი (დან) 20.03.83
10. ზვიეზდან მისიმოვიჩი (ბოს) 05.06.82
11. სისერო (ბრა) 26.08.84
13. მაკოტო ჰასებე (იაპ) 18.01.84
14. ტოლგა ჩიგერჩი (თურ) 23.03.92
15. ქარიმ ზიანი (ალჟ) 17.08.82
22. კევინ ვოლცე 09.03.90
24. აშკან დეჟაგა 05.07.86
32. სებასტიან შინდცილორცი 21.01.79
38. ფილიპ კროიელსი 11.01.85

**თავდამსხმელები**
9. ედინ ჯეკო (ბოს) 17.03.86
18. მარიო მანჯუკიჩი 21.05.86
21. ნასიმ ბენ ხალიფა (შვეიც) 13.01.92
23. გრაფიტე (ბრა) 02.04.79
31. კაიუბი (ბრა) 14.07.88
40. სებასტიან პოლტერი 01.04.91

*მწვრთნელი: სტივ მაკლარენი* 03.05.61

### კაიზერსლაუტერნი
დაარსდა: 02.06.1900
სტადიონი: ფრიც-ვალტერ-შტადიონი (48 500)

**მეკარეები**
1. ტობიას ზიპელი 22.03.88
27. მარკო კნალერი (ავსტრია) 26.03.87
29. კევინ ტრაპი 08.07.90

**მცველები**
2. იან შიმუნეკი (ჩეხ) 20.02.87
3. ლეონ იესენი (დან) 11.06.86
5. მარტინ ამედიკი 06.09.82
6. მათიას აბელი 22.06.81
13. თანოს პეცოსი 05.06.91
14. მანუელ ჰორნიგი 18.12.82
17. ალექსანდერ ბუგერა 08.08.78
20. როდნი (ბრა) 11.09.85
23. ფლორიან დიკი 09.11.84
28. მარსელ კორეია (პორ) 16.05.89
30. დარიო დამიანოვიჩი (ბოს) 23.07.81

**ნახევარმცველები**
4. ბასტიან შულცი 10.07.85
7. ოლივერ კირხი 21.08.82
8. კრისტიან ტიფერტი 18.02.82
10. ჩადლი ამრი 14.12.85
15. კლემენს ვალხი (ავსტრ) 10.07.87
16. იან მორავეკი (ჩეხ) 01.11.89
18. დანი ფუხსი 25.02.76
19. ირჟი ბილეკი (ჩეხ) 04.11.83
21. პიერ დე ვიტი 26.09.87
22. ივო ილიჩევიჩი (ხორ) 14.11.86
25. სტივენ რივიჩი (ხორ) 09.08.85
38. ალან სტულინი (პოლ) 05.06.90

**თავდამსხმელები**
9. სრდიან ლაკიჩი (ხორ) 02.10.87
11. ილიან მიჩანსკი (ბულ) 20.12.85
32. ადამ ნემეცი 02.09.85
33. ერვინ ჰოფერი (ავსტრია) 14.04.87

*მწვრთნელი: მარკო კურცი* 16.05.69

### ზანქტ პაული
დაარსდა: 15.05.1910
სტადიონი: მილერნტორ-შტადიონი (24 487)

**მეკარეები**
1. ბენედიქტ პლიკეტი 20.12.84
25. მათიას ჰაინი 20.01.72
26. თომას კესლერი 20.01.86

**მცველები**
2. ფლორიან ლეხნერი 03.03.81
4. ფაბიო მორენა 19.03.80
5. კარლოს ზამბრანო (პერ) 10.07.89
6. ბასტიან ოშიპკა 12.01.89
11. რალფ გუნეში 02.09.83
14. მარსელ ეგერი 23.03.83
16. მარკუს თორანდტი 01.04.81
24. კარსტენ როთენბახი 03.09.80
26. დეივიდსონ დროზო-ამბეში 26.03.88
27. იან-ფილიპ კალა 06.08.86
28. მორიტც ფოლცი 21.01.83

**ნახევარმცველები**
8. ფლორიან ბრუნსი 21.08.79
10. ჩარლზ ტაკი 12.11.84
12. ტიმო შულცი 26.08.77
17. ფაბიან ბოლი 16.06.79
18. მაქს კრუსე 19.09.88
20. მათიას ლემანი 28.05.83
22. ფინ ბარტელსი 07.02.87
23. დენიზ ნაკი 09.07.89
30. დენის დაუბე 11.07.89
31. დენიზ ჰერბერი (თურ) 05.03.92

**თავდამსხმელები**
7. როუვენ ჰენინგსი 28.08.87
9. მარიუს ებერსი 04.01.78
13. ჯერალდ ასამოა 03.10.78
19. რიხარდ სუკუტა-პასუ 24.06.90
29. ნილს პიხინოტი 29.08.89

*მწვრთნელი: ჰოლგერ სტანისლავსკი* 26.09.69

მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი-ვოლფსბურგი

# ჩემპიონი ექსჩემპიონის წინააღმდეგ

პირველი ტურის ამომწურავ წინათქმას ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ, აქ კი მხოლოდ იმ მატჩით შემოვიფარგლებით, რომლითაც სეზონი იხსნება: დღეს მოქმედი ჩემპიონი „ბაიერნი" ექსჩემპიონ „ვოლფსბურგს" მასპინძლობს. მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნს" მსოფლიოს ჩემპიონატზე 11 ფეხბურთელი ჰყავდა გაშვებული, **ლუის ვან გაალს** შეგირდები მაინც საკმაოდ კარგ ფორმაში ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, ბავარიელებმა ორივე ოფიციალური თამაში მოიგეს: გერმანიის სუპერთასისთვის ბრძოლაში „შალკე" დაამარცხეს (2:0), გერმანიის თასის პირველ რაუნდში კი „გერმანია ვინდეკი" გაანადგურეს (4:0), რომელიც, მართალია, მეხუთე ლიგის წარმომადგენელია, მაგრამ მაინც...

„ბაიერნის" ჰოლანდიელი თავკაცი მხოლოდ იმით არის უკმაყოფილო (რბილად რომ ვთქვათ), რომ მას **არიენ რობენი** ჰყავს მძიმედ დაშავებული. თუმცა ვან გაალს სჯერა, რომ ამ უკანასკნელს ახალგაზრდა **ტონი კროოსი** მაქსიმალურად ღირსეულად შეცვლის. რაც შეეხება „ვოლფსბურგს": **სტივ მაკლარენის** გუნდი გაცილებით დამძიმებულია. ყოველ შემთხვევაში, „მგლებმა" გერმანიის თასზე მეოთხელიგელი „პროიზენ მიუნსტერი" მხოლოდ 2:1 დაამარცხეს და მატჩის შემდეგ ექსპერტების მიერ არაერთხელ აღინიშნა, რომ „ვოლფსბურგი" ზედმეტად ზანტად გამოიყურებოდა. ასე რომ, მაკლარენის დებიუტი არც ისე ხეირიანი იყო. დღეს, „მგლებში", აუცილებლად ითამაშებს **ზვიეზდან მიშიმოვიჩი**, რომლის „შალკეში" გადასვლა უკვე საბოლოოდ გამოირიცხა.

საავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, კონტენტო - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - კროოსი, თ. მიულერი, რიბერი - კლოზე.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - რიტერი, ა. ფრიდრიხი, კიაერი, შეფერი - ჟოსუე, ჰასებე - გრაფიტე, მიშიმოვიჩი, მანჯუკიჩი - ჯეკო.


მარკ ვან ბომელი და ედინ ჯეკო. ბუნდესლიგა ბაიერნისა და ვოლფსბურგის ბრძოლით იწყება

# გერმანია რევოლუციურ სეზონს ელის!

## ვინ ჩამოაგდებს ტახტიდან მიუნხენის ბაიერნს?

არაგერმანელი სუპერვარსკვლავები გერმანიაში: რაული (შალკე) და რუუდ ვან ნისტელროი (ჰამბურგი)



**გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე იმდენად მომხიბვლელი, სწრაფი, ვაჟკაცური და რისკიანი ფეხბურთი ითამაშა, რომ მთელ ბუნდესლიგას ასეთივე ეფექტური ფეხბურთის თამაშის სურვილი გაუჩინა. სწორედ იოახიმ ლიოვის გუნდის მიერ არგენტინისა და ინგლისის ნაკრები გუნდების განადგურებისა და რევოლუციური ფეხბურთის ჩვენების დამსახურებაა ის, რომ ბუნდესლიგის კლუბების მწვრთნელები ამბობენ, მაგალითი გერმანიის ნაკრებისგან უნდა ავიღოთო.**

**გერმანიის პირველობა ისედაც განსაკუთრებულად მიმზიდველი ჩემპიონატია და თავისი ყველასგან გამორჩეული ხიბლი აქვს, რაც აქამდეც არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ ამჯერად გერმანულ კლუბებს კიდევ უფრო მეტი მონდომება ეტყობათ, რაც გვაძლევს კიდეც იმის თქმის საფუძველს, რომ ეს სეზონი ბუნდესლიგის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო უნდა იყოს.**

**გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა, დღესდღეობით კი კოლუმნისტი გიუნტერ ნეტცერი უფრო შორს მიდის და ამბობს, ბუნდესლიგა 2010/2011 რევოლუციური იქნებაო. გერმანიის ჩემპიონატი დღეს, მოქმედი ჩემპიონის, მიუნხენის „ბაიერნისა" და ექსჩემპიონ „ვოლფსბურგის" მატჩით იწყება.**

### ვისი რიგია?

„ბაიერნი", დორტმუნდის „ბორუსია", „ბაიერნი", „ბაიერნი", „ვერდერი", „ბაიერნი", „შტუტგარტი", „ბაიერნი", „ვოლფსბურგი", „ბაიერნი"... ბოლო ათი წლის განმავლობაში, გერმანიაში ზედიზედ ორ სეზონსაც კი არ ჩაუვლია ისე, რომ მიუნხენის „ბაიერნი" ჩემპიონი არ გამხდარიყო. 2003 და 2004 წლებში სულაც ისე მოხდა, რომ რეკორდმაისტერმა გერმანული საკლუბო ფეხბურთის ნომერ პირველი ჯილდო „ვერცხლის სინი" ზედიზედ ორჯერ აიღო. მას მერე კი, ჩემპიონობას სეზონგამოშვებით უნაწილებდა - ჯერ „ვერდერს", მერე „შტუტგარტს", ბოლოს კი „ვოლფსბურგს". თუკი 2005 წელს „ვერდერის" ჩემპიონობა დიდი სენსაცია არ ყოფილა, 2007-ში „შტუტგარტის" გაჩემპიონება ყველასათვის მოულოდნელი ამბავი იყო, 2009-ში „ვოლფსბურგის" ტრიუმფი კი გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი სენსაცია გახლდათ.

ამ ყველაფრით, რა თქმა უნდა, იმის თქმა გვინდა, რომ წელს ისევ სენსაციის რიგია, რადგან „ბაიერნი" მოქმედი ჩემპიონია. თუმცა **ლუის ვან გაალის** ხელში ბავარიული გრანდი უძლიერეს მანქანად ყალიბდებოდა და ფაქტია, რომ „ბაიერნისთვის" სინის წართმევა ნებისმიერი კლუბისთვის ურთულესი ამოცანა იქნება. მაგრამ „ბაიერნის" ფავორიტობაზე საუბარს ამით მოვრჩეთ, რადგან ეს (ვინ მოთვლის, მერამდენედ) ყველასათვის კარგადაა გასაგები. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ გერმანიაში ჩატარდა ტრადიციული გამოკითხვა ბუნდესლიგის მწვრთნელებს შორის და თვრამეტივე (!) კლუბის თავკაცმა მთავარ ფავორიტად კვლავ „ბაიერნი" დაასახელა...

მოკლედ, გერმანული კლუბების დამრიგებლები ისეთივე რევოლუციურ ფეხბურთსა და შესაბამისად, სეზონს გვპირდებიან, როგორიც მუნდიალზე ბუნდესგუნდმა ითამაშა. ყველას უნდა, რომ საბოლოოდ დავიწყებას მიეცეს ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელის, **ბერტი ფოგტსის** ისტორიული განცხადება იმის შესახებ, რომ ნებისმიერ ბრაზილიელ ფეხბურთელთან შედარებით, ნებისმიერი გერმანელი ფეხბურთელი ისე მოძრაობს, როგორც მაცივარი. ამ მხრივ გერმანიაში ბოლო წლებში უდიდესი ნაბიჯები გადაიდგა და ამის დასტური იყო გერმანიის ნაკრების მიერ ნაჩვენები ფეხბურთი ინგლისთან და არგენტინასთან. ეს ყველაფერი ჩვენთვის, ბუნდესლიგის მოყვარული ქომაგებისთვის კი მხოლოდ და მხოლოდ კარგია - გერმანიის ჩემპიონატი კიდევ უფრო მეტ სანახაობას და დრამატიზმს გვპირდება.

### ძველი ახალი ხილი: კაიზერსლაუტერნი

არ გაგიკვირდეთ და, კონკრეტული საუბარი „კაიზერსლაუტერნით" უნდა დავიწყოთ. მას მერე, რაც „ლაუტერნი" ელიტიდან გავარდა, ყოველთვის ვამბობდით, რომ ამ გუნდის ადგილი პირველ ბუნდესლიგაშია - ისტორიას რომ თავი დავანებოთ, თუნდაც მისი გენიალური გულშემატკივრების გამო. და აი, „ეშმაკები" ბუნდესლიგაში დაბრუნდნენ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ გუნდის თავკაცი **მარკო კურცი** სწორედ შემტევი, აგრესიული და სწრაფი ფეხბურთის მოყვარული სპეციალისტია. მუნდიალზე კარგად დავინახეთ, თუ რა შეუძლიათ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, თუკი მათ სწორად მოამზადებო, - ამბობს კურცი. მის განკარგულებაში უმეტესად სწორედ ახალგაზრდა და ძალიან მოტივირებული ფეხბურთელები არიან. ელიტაში ახალდაბრუნებული გუნდის ამოცანა ყველგან და ყოველთვის პოზიციის შენარჩუნებაა ხოლმე.

ცხადია, ნომერ პირველი ამოცანა „კაიზერსლაუტერნისთვისაც" მეორე ბუნდესლიგაში არგავარდნა იქნება, მაგრამ კურცი თამამად ამბობს, რომ მას და მის შეგირდებს პატარა სასწაულის მოხდენა სურთ. 90-იანებში „ლაუტერნმა" დიდი სასწაული მოახდინა, როცა ბუნდესლიგაში ალზევებული მაშინვე გერმანიის ჩემპიონი გახდა. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ახლაც ჩემპიონობას დაუმიზნებს, რადგან ასეთი რამ საუკუნეში ერთხელ ხდება, მაგრამ „ეშმაკებს" შეუძლიათ, უფრო მეტისთვის იბრძოლონ, ვიდრე მხოლოდ გადარჩენაა.

კურცი მაქსიმალისტია და თავისი განცხადებებითა თუ ზოგადად ჰაბიტუსით „ბაიერნის" თავკაც **ლუის ვან გაალს** გვაგონებს. ეს უკანასკნელი კი ამბობს: *„ნებისმიერ მწვრთნელს შეუძლია, ათამაშოს გუნდს ისეთი ფეხბურთი, როგორსაც მე ვათამაშებ „ბაიერნს", უბრალოდ, ხანდახან არ უნდათ ხოლმე."*

### შალკეს მეორე ადგილი აღარ დააკმაყოფილებს

...ის კი არა და, თვით „შალკეს" მწვრთნელი **ფელიქს მაგათიც** კი სხვანაირად ალაპარაკდა და ამოქმედდა. „დესპოტმა ფელიქსმა" სასურველი მილიონები მიიღო, არასასურველი ფეხბურთელები (**რაფინია, ვესტერმანი, ასამოა, კურანი, ბორდონი, გროსმიულერი** და სხვები) გაყიდა, სასურველი მოთამაშეები (**მეტცელდერი, პაპადოპულოსი**) იყიდა, „რეალიდან" თვით **რაულიც** კი გადაიბირა და მაინც არ ისვენებს, მაღალი კლასის ფლეიმეიკერს ეძებს. და ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, მაგათს მეორე ადგილი აღარ დააკმაყოფილებს - მას „შალკეს" გაჩემპიონება უნდა!

რისი გაკეთებაც წელს „კაიზერსლაუტერნს" სურს, შარშან „მაინცმა" მოახერხა და კარნავალელთა 36 წლის ახალგაზრდა მწვრთნელი **თომას ტუხელი** არ მალავს, რომ შარშანდელი წარმატებული სვლის გაგრძელება ძალიან რთული იქნება, რადგან „მაინცს" წელს უკვე ყველა „სხვანაირად" უყურებს. ერთი რამ ფაქტია: ტუხელის გუნდი, სადაც ასევე წარმატებული სატრანსფერო პოლიტიკა გატარდა, მინიმუმ საკუთარ „ბრუხვეგშტადიონზე", ისევ აუღებელი ციხესიმაგრე უნდა იყოს.

აუღებელი ციხესიმაგრეობა „ჰამბურგსაც" სურს - გუნდს, რომელსაც ყოველთვის ვაგდებთ სათვალავში, მაგრამ ათწლეულებია, იმედები არ გაუმართლებია. HSV-ში მთავარი კითხვა ასე ჟღერს: რას იზამს **არმინ ფეე**? ბოლო ექვს წელიწადში გუნდმა ექვსი მწვრთნელი გამოიცვალა და ჩრდილოგერმანული გუნდის ბოსებმა მაინც ვერ ისწავლეს ჭკუა. გაგდებული **ბრუნო ლაბადიას** ნაცვლად ფეე დანიშნეს - სპეციალისტი, რომელმაც 2007 წელს „შტუტგარტი" სასწაულებრივად გააჩემპიონა, მაგრამ მას მერე ქვაზე ქვა აღარ დაუდვია, სულაც პირიქით, აშენებულიც დაანგრია.

ფეეს სახელი განსაკუთრებით გასულ სეზონში, „ვოლფსბურგში" გაუფუჭდა. ფეეს წარმატებას ცოტა თუ უწინასწარმეტყველებს, მაგრამ მაინც არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რაც ამ კაცმა სამი წლის წინ „შტუტგარტში" გააკეთა და ეგებ, „ჰამბურგისთვის" უკეთესიც კი იყოს ის, რომ ამ გუნდს სერიოზულად არავინ უყურებს. 2007 წელს „შტუტგარტი" იმდენად მომხიბვლელი გუნდი იყო, რომ თვით **მარიო გომესიც** კი მუდამ კარგ ხასიათზე გახლდათ...

### გამარჯობა შენი, სტივ!

„შალკეს" შემდეგ, „ბაიერნის" ტახტიდან ჩამოგდების ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი „ლევერკუზენია" - კლუბი, რომელიც გასულ სეზონში პირველი წრის გამარჯვებული გახდა და დიდხანს ჰქონდა პირველობის პრეტენზია. ახლა კი „ფარმაცევტებმა" **მიხაელ ბალაკი** დაიმატეს და შესაბამისად, ამბიციებიც გაეზარდათ. საკითხავი მხოლოდ ისაა, რამდენად ესადაგება ბალაკი იმ კონცეფციას, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მიხაელი „ლევერკუზენის" ისედაც პრაგმატულ და „მკაცრ" ფეხბურთს კი არ ააჩქარებს, პირიქით, შეანელებს, მაგრამ ლევერკუზენელთა თავკაც **იუპ ჰაინკესს** „არსად ეჩქარება" და ფაქტობრივად ერთადერთი სპეციალისტია, რომელიც სხვა მწვრთნელებს არ აჰყვა და გერმანიის ნაკრების თამაშით გამოწვეული ეიფორია ახლოსაც არ გაიკარა.

ძალიან საინტერესო გუნდი იქნება „ვოლფსბურგი" - დამხობილი და შერცხვენილი ჩემპიონისგან ისევ კარგ „სასუსნავებს" უნდა ველოდოთ. მარტო ის რად ღირს, რომ „მგლების" მწვრთნელად **სტივ მაკლარენი** დაინიშნა, რომელიც გარდა იმისა, რომ როგორც ტიპაჟია ძალიან საინტერესო, პირველი ინგლისელი სპეციალისტი გახლავთ, რომელიც ბუნდესლიგაში იმუშავებს. ერთიც ვნახოთ, როგორ აულებს ალღოს სტივი გერმანიას. თანაც, გავიხსენოთ „ვოლფსბურგის" ტრანსფერები: ნიჭიერი თავდამსხმელი **მანჯუკიჩი**, ბრაზილიელი ნახევარმცველი **სისერო**, გენიალური მცველი **არნე ფრიდრიხი**, მისი უნიჭიერესი მეწყვილე **სიმონ კიაერი**, შვეიცარიელი ტალანტი **ბენ ხალიფა**.

### საიდუმლო ფავორიტი: დორტმუნდი

ტრადიციულად, ამ სიაშია „ვერდერიც", რაც ამ გუნდმა ოთხშაბათსაც დაამტკიცა, დაამარცხა რა იტალიური „სამპდორია" 3:1 და ცალი ფეხით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეა. მართალია, „მუსიკოსებმა" **მესუთ იოზილი** დაკარგეს (რეალში გადავიდა), მაგრამ ეგ არაფერი - **თომას შააფს** ხომ **მარკო მარინი** ჰყავს.

პოტენციურად ამ სიაშია დორტმუნდის „ბორუსიაც", რომელსაც ბუნდესლიგაში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავს. ამას წინათ BVB-ს ვრცელი სტატია მივუძღვენით, სადაც ვთქვით, რომ ყველაფერი ის, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებისგან რევოლუციად აღვიქვით, დიდი ხანია, დორტმუნდში ხდება. მაგრამ „ბორუსია" ამავდროულად ყველაზე ამოუცნობი გუნდია და გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. ფაქტი ის არის, რომ **იურგენ კლოპმა** მისთვის სასურველი ფორვარდი **რობერტ ლევანდოვსკი** მიიღო და მას ყველა პირობა აქვს შექმნილი იმისთვის, რომ „დორტმუნდის" პროგრესი გაგრძელდეს.

თუკი გასულ სეზონში „შავ-ყვითლების" მთავარი მიზანი საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა იყო, რასაც მიაღწია კიდეც, ახალ სეზონში „ბორუსიამ" მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის უნდა იბრძოლოს და ლოგიკურად, სადაც საუკეთესო სამეული, იქაც პირველობა - ასე არ არის?

მოკლედ, ბუნდესლიგის რიგით 48-ე სეზონი იწყება და ჩვენ, გულშემატკივრებს, მაგარი სანახაობები გარანტირებული გვაქვს!

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი რელიგიურ დღესასწაულებზე



# ბახმარო ტრადიციას არ ღალატობს

გურიის მშვენებაა მაღალმთიანი, კლიმატური, ტყიანი კურორტი ბახმარო, რომელიც აჭარა-გურიის მთაგრეხილზე მდებარეობს, მდინარე ბახვისწყლის ხეობაში. ბახმარო ჩოხატაურიდან 50 კილომეტრითაა დაშორებული. მისი ტერიტორია ერთგვარი ქვაბულია ნაძვისა და სოჭის მრავალსაუკუნოვანი მარადმწვანე ტყით გარშემორტყმული, რომლის ზემოთაც იწყება ულამაზესი ალპური ზონა. კურორტი ზღვის დონიდან 2050 მეტრზე მდებარეობს. ბახმარო მდიდარია მრავალფეროვანი ფაუნით. კურორტის ტერიტორიაზე მრავალი ანკარა მდინარეა, მათ შორის ყველაზე წყალუხვია ბახვისწყალი, რომელსაც 100-მდე შენაკადი ერთვის.

## გახდება ბახმარო მეორე გუდაური?

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დავალებით TC/Design Workshop-ის სამუშაო ჯგუფმა გამოიკვლია ბახმაროს მთელი წლის საკურორტო სეზონის შესაძლებლობები. როგორც გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში აცხადებენ, ბახმაროსთვის ზამთრის კურორტის ფუნქციის დამატების შემთხვევაში კურორტი განვითარდება, მოსახლეობას დასვენების საშუალება მთელი წლის განმავლობაში მიეცემა, ხოლო უცხოური ინვესტიციები და ტურისტები რეგიონისა და, საერთოდ, ქვეყნის ეკონონომიკას გააძლიერებენ. საქართველოს ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლების განცხადებით, ბახმაროს წარმატების უმთავრესი ფაქტორები სათხილამურო ზონების გამოვლენა და თოვლის პირობების დადგენაა, კურორტი სამომავლოდ წელიწადში 50 ათას დამსვენებელს მიიღებს და დასაქმდება 3 ათასამდე ადამიანი.

## ბასკა, ჩიტო, ბუციფალი და ქუქუ

ბახმაროში ყოველ წელს, ფერიცვალების დღესასწაულზე ტრადიციული დოლი ტარდება. გუშინაც არ დარღვეულა ტრადიცია. მხოლოდ ერთხელ, შარშანწინ იყო, როცა არ ჩატარდა ომის გამო. გამარჯვებულების გამზრდელი მოჰამედ ძია ამბობს, რომ დოლს მთელი წელიწადი ელიან. დოლი გურიაში სხვა სოფლებშიც ტარდება, მაგრამ ბახმაროსას ვერც ერთი შეედრება. ბოლო წლებში გორგაძეები ზეიმობენ ტრიუმფს — ძმებმა არაერთხელ იმარჯვეს. უნდა გენახათ, როგორ ქომაგობდა კონკრეტულ მოჯირითეებს მაყურებელი, რომელიც რამდენიმე ათასი შეკრებილიყო. აქ ყველა ცხენს სახელი აქვს — „ბასკა“, „ჩიტო“, „ბუციფალი“ და „ქუქუ“ ყველაზე პოპულარული სახელებია - არაერთ ცხენს ჰქვია და გამარჯვებულთა შორისაც ხშირად არიან.

## დოლს ბავშვებიც და გოგონებიც იგებენ

ვერაფრით წარმოვიდგენდი, ეს ბავშვი დოლს არათუ მოიგებდა, არამედ მასში მონაწილეობას თუ მიიღებდა. სიმართლეს გეტყვით და, მეგონა, ხელისუფლებამ რაღაც პიარი მოიფიქრა. მწარედ შევცდი — ჯემალი 2-ჯერ მოხვდა სამეულში, 8-9 წლის იქნება, შარშან და შარშანწინ სულაც პირველზე გავიდა. აბა, რას იზამსო, მეუბნება ერთ-ერთი დოსტი — ეგ ხომ უსუფის ძმა არისო... „პირველად 7 წლის ვიყავი, როცა დოლში მონაწილეობა მივიღე, მას შემდეგ ყოველ წელს რომელიმე დისტანციას მაინც ვიგებ. ერთი არ ჩატარებულა ომის გამო, თორემ არ ჩამიგდია სეზონი. ჩემი ყველაზე კარგი გასართობი ჯირითია და ყველაზე მეტად სწორედ აქ გამარჯვება მიხარია“, - ეს ჯემალის 18 წლის ძმის სიტყვებია. გუშინდელ დოლზე გოგონამაც მიიღო მონაწილეობა - გურული **თეონა ტყებუჩავა** 3-წრიან დოლში სამეულშიც კი მოხვდა.

შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდშიც ჩატარდა. '„ბახმაროს ფალავნის“ სახელი წლეულს ლანჩხუთელმა **გოგა კალანდარიშვილმა** მოიპოვა, რომელსაც საჩუქრად ჭედილა გადაეცა. მკვლავჭიდში I ადგილზე ჩოხატაურელი **ლევან ხავთასი** გავიდა.

**თომა ჩალაძე**
ბახმაროდან

### დოლში გამარჯვებულები და პრიზიორები

**აბორიგენი ცხენები.**

1000მ: 1. თორნიკე თედორაძე 2. რუსლან თედორაძე (ორივე - ლანჩხუთი); **2000მ:** 1. ცეზარ თედორაძე (ლანჩხუთი), 2. ედნარ ტაკიძე (ქობულეთი); **3000მ:** 1. ამირან პაიჭაძე (ჩოხატაური), 2. ჯემალ გორგაძე (ხულო); **5000მ:** 1. ედნარ ტაკიძე, 2. ავთო კოჩალაძე (ორივე - ქობულეთი), 3. ჯემალ გორგაძე (ხულო).

*წმინდა სისხლის ცხენები.* 6000მ: 1. კუსა ბასილია (თბილისი), 2. გოჩა სიმონია (აბაშა).

**საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი კალათბურთელი, ფედერაციის ყოფილი თანამშრომელი**

**ზაზა ზამთარაძე**

*და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.*

*პანაშვიდი: 20.08; გამოსვენება: 21.08; თბილისი, დავითაშვილის, 25.*

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონს ძალოსნობაში გიორგი ასანიძეს ძმის გარდაცვალების გამო.**

**დაკრძალვა 24.08; გამოსვენება საჩხერის წმ. ნინოს ეკლესიიდან 14 საათზე.**

ინფორმაცია განსჯისათვის

# სინგაპური, პირველი ახალგაზრდული

როგორც იცით, სინგაპურში პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები მიმდინარეობს და რაკი პირველია, ისტორიულიცაა — პირველთან დაკავშირებით ხომ ყველაფერი საინტერესოა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველსავე თამაშებში დაფიქსირდა მონაწილე ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა — 206. აქამდე რეკორდული კომპლექსურ სპორტულ ასპარეზობებს შორის პეკინის ოლიმპიადა იყო — 204 ქვეყანა. აი, მონაწილეთა რაოდენობის ათვლას კი ახალგაზრდული 3585 ათლეტით იწყებს.

საქართველოს დელეგაციამ სინგაპურიდან მოგვაწოდა მედლების განაწილების სტატისტიკა, რომელიც, ვფიქრობთ, „ლელოს“ მკითხველს დააინტერესებს.

**ქვეყნები და მედლები**

| ქვეყანა | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩინეთი | 13 | 7 | 2 | 22 |
| 2. რუსეთი | 10 | 8 | 4 | 22 |
| 3. სამხ. კორეა | 5 | 2 | 2 | 9 |
| 4. აზერბაიჯანი | 5 | 1 | 0 | 6 |
| 5. იტალია | 4 | 4 | 3 | 11 |
| 6. იაპონია | 4 | 0 | 0 | 4 |
| 7. ავსტრალია | 3 | 7 | 4 | 14 |
| 8. უკრაინა | 3 | 5 | 4 | 12 |
| 9. შერეული გუნდი | 3 | 3 | 3 | 9 |
| 10. ტაილანდი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 11. კანადა | 3 | 0 | 7 | 10 |
| 12. ყაზახეთი | 2 | 2 | 2 | 6 |
| 13. ირანი | 2 | 2 | 1 | 5 |
| 14. ბულგარეთი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 14. დ/ ბრიტანეთი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 16. გერმანია | 1 | 5 | 4 | 10 |
| 17. აშშ | 1 | 5 | 3 | 9 |
| 18. სამხ. აფრიკა | 1 | 2 | 2 | 5 |
| 19. საფრანგეთი | 1 | 1 | 5 | 7 |
| 20. თურქეთი | 1 | 1 | 4 | 6 |
| 21. ვიეტნამი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 22. უნგრეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 23. ისრაელი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 24. ყირგიზეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 24. ჩრ. კორეა | 1 | 0 | 1 | 2 |
| 26. ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 26. მონღოლეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 26. ახ. ზელანდია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 26. სლოვენია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 26. ტრნ. და ტობ. | 1 | 0 | 0 | 1 |
| 31. კუბა | 0 | 2 | 2 | 4 |
| 32. ინდოეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| 33. უზბეკეთი | 0 | 1 | 3 | 4 |
| 34. სომხეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 34. სინგაპური | 0 | 1 | 2 | 3 |
| 34. ესპანეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 34. ვენესუელა | 0 | 1 | 2 | 3 |
| 34. მექსიკა | 0 | 1 | 2 | 3 |
| 39. საბერძნეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 39. ეგვიპტე | 0 | 1 | 1 | 2 |
| 39. პორტუგალია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 39. ტაჯიკეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 39. იორდანია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 44. კოლუმბია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 44. მოლდოვა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 44. ტაივანი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 47. არგენტინა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. ავსტრია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. ჩეხეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. ფინეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. საქართველო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. ინდონეზია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. ქუვეითი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. ლიბანი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. ნიგერია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. ნორვეგია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. პოლონეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. რუმინეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. სერბეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 47. შვედეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| სულ | 79 | 79 | 90 | 248 |

ჭადრაკი

# ლიდერს ქულით ჩამორჩება

აბუ დაბიში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც თბილისელი **ზურაბ სტურუაც** მონაწილეობს. გუშინ მე-7 ტურში იგი აზერბაიჯანელ **გადიერ გულიევს** დაუზავდა და 4,5 ქულა მოაგროვა. მას ქულით უსწრებს უკრაინელი **ანტონ კორობოვი**, რომელიც სომეს **ჰოვანეს გაზუბიანს** სძლია. ყაიმზე შეთანხმდნენ **აშოტ ანასტასიანი** (სომხეთი) და **მიჰშენ შარბაფი** (ირანი). მეწინავეთა ჯგუფის წარმომადგენელთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ანტონიო ვიანი** (ინდოეთი)-**ავეტიკ გრიგორიანი** (სომხეთი) 0:1, **ვადიმ მალახატკო** (ბელგია)-**შარხან გულიევი** (აზერბაიჯანი) 0:1, **ბასემ ამინი** (ეგვიპტე)-**აბლუდ ჰამიდ ელი** (ეგვიპტე) 1:0, **ალექსანდრე რაეტსკი** (რუსეთი)-**პრასაად არუნი** (ინდოეთი) 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ: კორობოვი — 5,5, ანასტასიანი — 5, გრიგორიანი, შარბაფი, სტურუა, გულიევი — 4,5-4,5 ქულა.

ოსტატთა ტურნირის პარალელურად აბუ დაბიში გრძელდება ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც 7 ქვეყნის 10 წარმომადენელი ცდის ძალებს. შვიდი ტურის შემდეგ 6,5-6,5 ქულით ბელგიელი **ანა ზოზულია** და თბილისელი **ნინო გურიელი** მეწინავეობენ. ლიდერებს ქულა-ნახევრით ჩამორჩება **ესა ალ-ზარუნი** (საამიროები).

დღეს მე-8 ტურის პარტიებია.

**ვაჟა დანელია**

საუნივერსიტეტო ცხოვრება

# ახალ შენობაში ისწავლიან

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წლეულს ჩამოყალიბდა სპორტის ფაკულტეტი, სადაც სტუდენტები 4-წლიან საბაკალავრო სწავლებას გაივლიან ორი მიმართულებით - ფიზიკური აღზრდის მასწავლებლისა და მწვრთნელის სპეციალობით. დაგეგმილია, ასევე, მასწავლებელთა, მწვრთნელთა და მსაჯთა პროფესიული გადამზადების პროგრამები.

სპორტის ფაკულტეტი ახალ შენობაში იმუშავებს. უნივერსიტეტის ქუჩის №2-ში, სადაც ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ხუთსართულიანი ნაგებობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, განთავსდება აუდიტორიები თეორიული ლექციების ჩასატარებლად, ასევე, ბიოქიმიის, ფიზიოლოგიის, ანატომიის სასწავლო ლაბორატორიები, სამი დიდი სალექციო დარბაზი, კომპიუტერული კლასი და საპრეზენტაციო დარბაზი. შენობა გათვლილია 600 სტუდენტზე. სპორტის ფაკულტეტის წარმომადგენლებს პრაქტიკული მეცადინეობები ქარიშხალას კომპლექსში ჩაუტარდებათ.

გუშინ სპორტის ფაკულტეტისთვის განკუთვნილი შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **აკაკი სეფერთელაძემ** და ილიას უნივერსიტეტის რექტორმა **გიგი თევზაძემ**, რომელმაც აღნიშნა, სასწავლო კორპუსი პირველი ნოემბრისთვის ჩადგება მწყობრში.

**ვაჟა დანელია**



ჩოგბურთი

# ლადო ნახევარფინალში და ფინალში

**ლადო ჩიხლაძემ** წელიწად-ნახევრიანი პაუზის შემდეგ ტრიუმფული დაბრუნება „გამოაცხო“ - ავსტრიის ქალაქ ზანკტ პიოლტენის ტურნირში (10 ათასი დოლარი) ზედიზედ 6 თამაში მოიგო და ნახევარფინალში გავიდა. ლადოს მეტოქე მეოთხედფინალში გერმანელი **რიხარდ ვაიტე** (882) იყო, რომელსაც ქართველმა ორ სეტში აჯობა - 7:6 (3), 6:4. ჩიხლაძის მორიგი მეტოქე მე-4 ნომრად განთესილი 21 წლის ავსტრიელი **ნიკოლას რაიზიგია** (544). სხვათა შორის, ეს ის ჩოგბურთელია, ვისთან მარცხის შემდეგ სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა ჩვენებურმა. მეორე ნახევარფინალურ წყვილში პირველ ნომრად განთესილი ავსტრალიელი **ჯეიმს ლემკე** (304) ჩეხ **დანიელ ლუსტიგს** (696) ეთამაშება.

კიდევ უკეთ გამოდის ჩვენებური წყვილთა ბადეში, სადაც ავსტრიელ **პასკალ ბრუნერთან** (1082) ერთად უკვე ფინალშია. მათი მეტოქეები ავსტრალიელები ლემკე და **ებელტაიტი** იქნებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი — მსოფლიო ტური

# ნაგების უფლება აღარ აქვთ

ფინეთის ქალაქ ალანდში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქართული წყვილი **საქა-რთველო**, რომელმაც მესამე ეტაპზე გაალწია, ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან, მე-4 ნომრად განთესილ ამერიკულ წყვილ **კესი-როსთან** ორ სეტში დამარცხდა - 15:21, 12:21.

დღეს ჩვენი ფრენბურთელი ქალები მე-18 ნომრად განთესილ იტალიურ დუეტ **ჩიკოლარი-მენეგატის** დაუპირისპირდება. საქა-რთველოს ნაგების უფლება აღარ აქვს.

შეჯიბრებაში ჩაერთო **გეორ-გიაც**. მე-14 ნომრად განთესილმა ჩვენმა ბრაზილიელმა ვაჟებმა ორიდან ერთი შეხვედრა მოიგეს. პირველ მატჩში გეორგიამ, მე-19 ნომრად განთესილი რუსული წყვილი **პროკოფიევ-ბოგატოვი** დაამარცხა ორ სეტში - 21:15, 21;14. მერე კი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან, მე-3 ნომრად განთესილ ბრაზილიურ დუეტ **რიკარდო-მარსიოსთან** დამარცხდა - 1:2 (21:17, 16:21, 10:15).

გეორ-გიას მომდევნო მეტოქე დღეს კიდევ ერთი რუსული წყვილი **ბარსუკ-მარიშევი** იქნება, რომელიც ტურნირზე მე-13 ნომრად არის განთესილი. ჩვენს ფრენბურთელებს ნაგების უფლება აღარ აქვთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

კეპები

# ასიანთა კლუბის მეთხუთმეტე წევრი

**სამხრეთ აფრიკის** ნაკრების კაპიტანი ჯონ სმიტი ხვალ ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან მატჩში მე-100 კეპს მოიპოვებს და ეგრეთ წოდებულ ასიანთა კლუბის მე-15 წევრი გახდება. აღსანიშნავია, რომ სმიტს ძალიან კარგი შანსი აქვს, ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გააუმჯობესოს. „ბოკეს" უდავო ლიდერს წლეულს და გაისად შეუძლია დაახლოებით თხუთმეტი კეპი მოიპოვოს, ცხადია, თუ ტრავმამ არ შეუშალა ხელი.

საინტერესოა, რომ სმიტს კვალში უდგას და დიდად არ ჩამორჩება დღესდღეობით ჯერ კიდევ მოთამაშე შვიდი მორაგბე. ესენი არიან:



ჯონ სმიტი

### მარტინ ვილიამსი
(უელსი, 99 კეპი)

ყმაწვილკაცობაში ის თვითნაბადი, უნიჭიერესი მორაგბე იყო. მისი სანაკრებო კარიერა 1996 წელს დაიწყო და დღემდე წარმატებით გრძელდება. 34 წლის ვილიამსის შემცვლელი დღესდღეობით უელსში ძნელად მოიძებნება. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მესამეხაზელი ამჟამად ტრავმას იშუშებს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ეროვნული ნაკრების ასიანთა კლუბში შესასვლელად დარჩენილი ერთი მატჩიც ითამაშოს.

შეგახსენებთ, რომ ასიანთა კლუბში აქამდე. ერთადერთმა უელსელმა **გარეთ ტომასმა** შეაღწია, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც რაგბი ლიგაში გადაბარგდა.

### ვიქტორ მეტფილდი
(სამ. აფრიკა, 98 კეპი)

მომდევნო სამხრეთაფრიკელი, ვინც სმიტის შემდეგ ასიანთა კლუბში შევა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეორეხაზელი **ვიქტორ მეტფილდია.** 33 წლის ვიქტორი თავის სახელს სრულად ამართლებს. მას მოგებული აქვს ყველაფერი, რისი მოგებაც რაგბიში შეიძლება - მსოფლიო თასი, სამი ერი, ზე - 14, ქარის თასი.

სამი ერის წლევანდელ გათამაშებაში „ბოკეს" გამოსვლას, შეიძლება კატასტროფული ვუწოდოთ. მეტფილდისთვის ეს პირადი ტრაგედიის ტოლფასია. მიუხედავად იმისა, რომ მეტფილდს ახლაც აწუხებს ტრავმები, წამითაც არ ფიქრობს, ნაკრების რომელიმე მატჩი გამოტოვოს და ჯანმრთელობას მიხედოს. ისედაც ყველაზე პოპულარული „ბოკეს" მეორეხაზელი 28 აგვისტოს, პრეტორიაში ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში ყველაზე გამორჩეული ფიგურა იქნება. ის ეროვნულ გუნდში მეასე შეხვედრას გამართავს. მანამდე კი, 21 აგვისტოს ახალი ზელანდიის ნაკრებს დაუხვდება იოჰანესბურგში.

### სტივენ ჯოუნზი
(უელსი, 97 კეპი)

უელსის ნაკრების ცხრა ნომერი ტრავმის გამო წლეულს ნაკრებში ვეღარ ითამაშებს. ამიტომ 32 წლის ჯოუნზს ასიანთა კლუბში შესვლის აღსანიშნავი ზეიმის გამართვა გაისად მოუწევს.

ივნისის ტესტებისას სტივენს დროდადრო ახალგაზრდა **დენ ბიგარი** ცვლიდა, რომელსაც წლეულს ჯოუნზის არყოფნაში ბევრად მეტი თამაში მოუწევს. კონკურენცია, ცხადია, უელსურ გუნდს წაადგება, თანაც ჯოუნზისთვის ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასი მეოთხე იქნება, ეს კი მისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი მოტივაციაა.

### რიჩი მაკქოუ
(ახ. ზელანდია, 87 კეპი)

ის ყველაზე ახალგაზრდაა ასიანთა კლუბის წევრობის კანდიდატთა შორის. ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანს დალოდება მოუწევს, თუმცა ასაკიდან გამომდინარე შანსი აქვს, ავსტრალიელი **ჯორჯ გრეგანის** რეკორდი მოხსნას. „ვოლაბების" კაპიტანს 139 კეპი აქვს მოპოვებული.

მანამდე რიჩიმ თანამემამულე, **შონ ფიცპატრიკის** რეკორდი უნდა დაამხოს, რომელსაც ახალი ზელანდიის ნაკრებში ყველაზე მეტი, 92 კეპი მოუხვეჭია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაკქოუს პირადი რეკორდები არ ანაღვლებს. მთელი მისი ფიქრი მომავალი მსოფლიო თასის გათამაშებისკენაა მიმართული. რიჩის მსოფლიო თასის სამშობლოში დატოვება აქვს გულში ამოჭრილი.

2003 და 2007 წლებში მას ხელი მოეცარა. ავსტრალიაში „ოლ ბლექსი" ნახევარფინალში დამარცხდა, საფრანგეთში კი მეოთხედფინალსაც ვერ გასცდა. რიჩი შოკში იყო. გაისად მსოფლიო თასზე წარმატების მიღწევა მას მართლაც ლეგენდარულ მორაგბედ აქცევს, წარუმატებლობა კი, შესაძლოა, ამ უდიდეს ახალზელანდიელ მორაგბეს კარიერის ნაადრევად დასრულების ფასად დაუჯდეს.

### მალილი მულიაინა
(ახ. ზელანდია, 87 კეპი)

წარმოშობით სამოელი მულიაინა შეუფასებელი უნარების მქონე მორაგბეა და მიუხედავად ასაკისა, ამჟამადაც ყველაზე ბასრ იარაღად ითვლება ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელ **გრემ ჰენრის** ხელში. მულიაინას დებიუტი ნაკრებში 2003 წლის მსოფლიო თასზე შედგა. 2011 წელს მისთვის მესამე უდიდესი სარაგბო ფორუმი იქნება და დიდი შანსია, „ოლ ბლექსის" ფულბეკმა ასიანთა კლუბში შეაღწიოს.

### ჯონი ვილკინსონი
(ინგლისი, 86 კეპი)

რომ არა მისი ქრონიკული ტრავმები, რის გამოც ვილკინსონს თითქმის ორი წელი გაუცდა, ასიანთა კლუბში დიდი ხნის შესული იქნებოდა. არც ინგლისელ **ჯეისონ ლეონარდის** რეკორდის - 119 კეპის მოხსნა იქნებოდა ოცნება. „ვილკომ" თუ მომავალშიც გაუძლო ტკივილებს, მეორე ინგლისელი იქნება რაგბის ლეგენდებს შორის. არადა, ასეა, ჯონი ხშირად „წაქცეულა", მაგრამ უდრეკი სულის, რაგბის უსაზღვრო სიყვარულისა და შინაგანი დისციპლინის წყალობით წამოდგომას და გზის გაგრძელებას მუდამ ახერხებს. ის დღესაც ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავია მსოფლიოში, რომლის ფეხჩუბინობამაც „პომებს" 2003 წელს მსოფლიო თასი მოაგებინა, 2007 წელს კი ფინალში გაიყვანა. რა იქნება 2011-ში?!

### ნათან შარპი
(ავსტრალია, 85 კეპი)

ავსტრალიის ნაკრების შერკინების მეორეხაზელი და მისი მეგობარი, „ვოლაბების" მგეზავი **მეთ გიტო** (84 კეპი) ასიანთა კლუბს, წესით, ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე უნდა შეუერთდნენ. თუმცა ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად წარმატებით იასპარეზებენ ავსტრალიელები მეზობელ ქვეყანაში, რომელიც მათთვის უცხო გარემო სულაც არ არის.

ასიანთა კლუბში რამდენიმე სახელოვანი ავსტრალიელია: **ჯონ გრეგანი, სტივენ ლერხემი, ჯორჯ სმიტი** და **დევიდ კემპიზი.**

შარპის სარაგბო კარიერა 2002 წელს დაიწყო. მან ყველაზე მეტი, 28 კეპი 2005-2007 წლებში მოიპოვა. ნათანს წლეულსაც „ვოლაბების" არც ერთი შეხვედრა არ გამოუტოვებია და, ვფიქრობთ, თუ ასე გაგრძელდა, „ასეულს" კიდევ ერთი „ვოლაბი" შეემატება.



მარტინ ვილიამსი

სამი ერი



# რობი დინსს წამმზომი ჩაურთეს

**ავსტრალიის** ნაკრები სამი ერის მორიგ შეხვედრას 28 აგვისტოს კეიპტაუნში სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან გამართავს. ავსტრალიელი ქომაგები და სპეციალისტები მატჩს შიშით ელიან, რადგან მათი სათაყვანებელი გუნდი ბოლო ხანს ვერ ყოჩაღობს.

თავად განსაჯეთ, „ვოლაბებმა" ახალი ზელანდიის ნაკრებთან ზედიზედ ცხრა მატჩი წააგეს. სამხრეთ აფრიკაში კი 1963 წლის მერე აღარ მოუგია.

ავსტრალიის რაგბის კავშირმა 2007 წელს, პირველად ამ ქვეყნის ნაკრების ისტორიაში, გუნდი უცხოელ მწვრთნელს ჩააბარა. ახალზელანდიელი **რობი დინსის** რეპუტაცია ეჭვს არ იწვევდა. მისი ხელმძღვანელობით „კრუსეიდერზმა" ხუთჯერ მოიგო ზე 14-ის გათამაშება.

მაგრამ, ავსტრალიელთა სამწუხაროდ, დინსი ვერ ამართლებს იმედებს. მას 54 -პროცენტიანი შედეგი აქვს, მისი თავკაცობით „ვოლაბებმა" 35 მატჩიდან მხოლოდ 19 მოიგეს. შედარებისთვის საინტერესო იქნება მისი წინამორბედების მიღწევებს გადავხედოთ. **ჯონ კონოლიმ** მატჩების 64 პროცენტი მოიგო, **ედი ჯონსმა - 57, როდ მაკქუინმა** - 79.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ სამი წლის განმავლობაში დინსმა პროგრესს ვერაფრით მიაღწია. არადა, მსოფლიო თასის გათამაშება კარსაა მომდგარი.

შექმნილი მდგომარეობის შეფასებისას **ბობ დუაიერი**, რომელმაც 1991 წელს „ვოლაბებს" მსოფლიო თასი მოაგებინა, ლაკონიურია:

*„მიზეზი სამი რამ შეიძლება იყოს: ან მორაგბეები არ გვყავს საკმარისად მაღალი დონის, ან მწვრთნელი, ანაც ორივე ერთად".*

თავის დროზე ავსტრალიის რაგბის კავშირის პრეზიდენტი **ჯონ ონილი** ამბობდა, რობი დინსი სწორედ ის კაცია, ვინც 2011 წლის მსოფლიო თასზე გაგვამარჯვებინებსო. ამჟამად ონილი ამაში ასე მტკიცედ დარწმუნებული არ არის.

*„დინსი საკმაოდ მაღალი დონის სპეციალისტია, მან თავისი საქმე კარგად იცის და, ვფიქრობ, ბოლომდე უნდა ვენდოთ. არა მგონია, ახლა მისი შეცვლით ნაკრებში რაიმე კარდინალურად შეიცვალოს, ამიტომ, უმჯობესია, თავისი დაწყებული საქმე მანვე მიიყვანოს ბოლომდე. ოღონდ, ამდენი ლოდინით დავიღალეთ, დროა, „ვოლაბების" წარუმატებლობის სერია დამთავრდეს, წამმზომი ჩართულია"* - თქვა ონილმა

ამასობაში, დინსმა სამხრეთ აფრიკაში გასამართი ორი მატჩისთვის გამზადებული 28-კაციანი შემადგენლობა გამოაცხადა. ერთადერთი სიახლე ნაკრებში **ლაკი ტერნერის** დაბრუნებაა. სხვები ძველი, ნაცნობი სახეები არიან.

**ავსტრალიის ნაკრები: შერკინება: როკი ელსომი, სალესი მააფუ, მარკ ჩისოლმი, სტივენ მური (ყველა -ბრამბიზი), ბენ დეილი, ჯეიმზ სლიპერი, საია ფაინგაა, რობ საიმონსი (ყველა-რედსი), ბენ რობინსონი, დენ მამი (ორივე-ვორათაზი), ნათან შარპი, რიჩარდ ბრაუნი, ნიკ კამინსი, დევიდ პოქოკი (ყველა-ფორსი).**

**უკანა ხაზი: ვილი გენია, ქუადე კუპერი, ენტონი ფაინგაა, სკოტ ჰიგინბოთამი (ყველა-რედსი), ლუკ ბარჯესი, ბერიკ ბარნსი, ლაკი ტერნერი, დრიუ მიტჩელი, ქართლი ბეილი (ყველა-ვორათაზი), მეთ გიტო, ადამ ეშლი-კუპერი, პატრიკ მაკკები (ყველა-ბრამბიზი), ჯეიმზ ოკონორი, ბენ მაკკალმენი (ორივე-ფორსი).**

# სამი ერი დამოკლდება

სამი ერის გათამაშება 2011 წელს შეცვლილი, უფრო მოკლე ფორმატისა იქნება. აღსანიშნავია, რომ ტურნირის ბოლო მატჩი მსოფლიო თასის გათამაშების დაწყებამდე ორი კვირით ადრე ჩატარდება. SANZAR-ის მიერ გამოქვეყნებული განრიგის მიხედვით სულ ექვსი მატჩი გაიმართება. პირველ შეხვედრაში 23 ივლისს ავსტრალია სიდნეიში სამხრეთ აფრიკის ნაკრებს მიიღებს. ბოლო მატჩში კი, ბრისბენში 27 აგვისტოს „ვოლაბები" ბლედისლოუს თასისთვის ახალი ზელანდიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამი ერის გათამაშების შედარებით გვიან დაწყება ზეპურ რაგბიში განხორციელებული სიახლეებითაა გამოწვეული. მომავალ წელს ზე 14-ის ერთი გუნდი „მელბურნ რებლზი" დაემატება და ზე-15-ად გადაკეთდება, რის გამოც ტურნირის ფორმატი შეიცვალა და გახანგრძლივდა.

**2011 წლის კალენდარი**

23 ივლისი: **ავსტრალია-სამხრეთ აფრიკა;**
30 ივლისი: **ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა;**
6 აგვისტო: **ახალი ზელანდია-ავსტრალია;**
13 აგვისტო: **სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია;**
20 აგვისტო: **სამხრეთ აფრიკა-ახალი ზელანდია;**
27 აგვისტო: **ავსტრალია-ახალი ზელანდია;**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ანენმა სეზონი დაასრულა



ანენმა დასვენება გადაწყვიტა

სამწუხარო ამბავი შეიტყვეს ბელგიელი **ჟუსტინ ანენის** გულშემატკივრებმა. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ამ სეზონში ველარ შეძლებს კორტზე გასვლას. მიზეზი იდაყვის ტრავმაა, რომელიც ანენმა უიმბლდონის მეოთხედფინალში თანამემამულე **კიმ კლაისტერსთან** მატჩის დროს მიიღო. ექიმები ვარაუდობდნენ, რომ ჟუსტინი ოქტომბერში შეძლებდა კორტზე გასვლას, მაგრამ აღდგენითი პროცესი ნელა მიმდინარეობს და ანენი ოქტომბერში არა თამაშს, არამედ მსუბუქი ვარჯიშების განახლებას მოახერხებს.

*„ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ უიმბლდონზე მიღებული ტრავმის შემდეგ, რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნდე კორტზე. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში არაერთი სამედიცინო ტესტი გავიარე და მათი შედეგები დამაიმედებელია, მაგრამ აღდგენითი პროცესი ნელა მიმდინარეობს. მინდა სრულიად ჯანმრთელმა გავაგრძელო კარიერა, ამიტომაც გადავწყვიტე არ გავრისკო და 2011 წელს დავბრუნდე პროფესიულ ტურში“*, - წერია ჩოგბურთელის ოფიციალურ ვებგვერდზე.

„დიდი სლემის“ ტურნირების შვიდგზის ჩემპიონმა 2008 წლის მაისში შეწყვიტა კარიერა, მაგრამ წელს დაბრუნდა დიდ სპორტში. მან ამ სეზონში ორი ტურნირი მოიგო და ავსტრალიის ღია პირველობის ფინალამდე მიაღწია, სადაც **სერენა უილიამსთან** წააგო. ამჟამად ანენი მე-14 ადგილს იკავებს WTA-ის კლასიფიკაციაში.

გაისად პირველი ტურნირი, რომელშიც ჟუსტინი მიიღებს მონაწილეობას - შერეულ წყვილთა ჩემპიონატი იქნება. ჰოფმანის თასი 1 იანვარს აიღებს სტარტს.

# ჩემპიონი ამერიკის ღიას გამოტოვებს

ანენის მსგავსად, მკურნალობის პროცესს აგრძელებს არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**, რომელსაც მაჯის ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა.

ჩოგბურთელის მწვრთნელი **დიეგო რივასი** ამბობს, რომ ოპერაციის შემდეგ მისი შეგირდის გამოჯანმრთელება ზუსტი გრაფიკით მიმდინარეობს და ხუან მარტინი მალე სრული დატვირთვით დაიწყებს ვარჯიშს.

*„მაჯაში ტკივილს აღარ გრძნობს, ამიტომაც მალე ვარჯიშებსაც დავიწყებთ*, - აცხადებს რივასი, რომელიც გამორიცხავს დელ პოტროს ამერიკის ღია პირველობაზე თამაშს. - *მაგრამ დანამდვილებით შემიძლია იმის თქმა, რომ ხუან მარტინი არ ითამაშებს „დიდი სლემის“ ბოლო ტურნირზე“.*

შეგახსენებთ, რომ დელ პოტრო აშშ-ის ღიას მოქმედი ჩემპიონია. შარშან არგენტინელმა ფინალში შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** დაამარცხა.

■ ■ ■

ამასობაში, ამერიკის ღია პირველობის ორგანიზატორებმა ქალებს შორისაც დაასახელეს „უაილ-ქარდის“ მფლობელები. სპეციალური მიწვევა მიიღო ხუთმა ამერიკელმა - ქვეყნის სტუდენტური ჩემპიონატის გამარჯვებულმა **ჩელსი გალიქსონმა, ჯეიმი ჰემპტონმა, კრისტინა მაკჰეილმა,** იუნიორებს შორის ამერიკის ჩემპიონმა **შელბი როჯერსმა** და **კოკო ვანდევეგემ**. ამათ გარდა, ძირითად ბადეში მოხვდებიან ავსტრალიელი **სოფია ფერგიუსონი** და ფრანგი **ვირჟინ რაზანო**. კიდევ ერთი უაილდ-ქარდი სპეციალურ ტურნირზე გათამაშდება, რომელიც ამ კვირის ბოლოს ფლორიდაში გაიმართება.



დელ პოტრო ტიტულს ვერ დაიცავს

## ტურნირები

### ATP

**Masters**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 430 000 დოლარი

**II წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ტეილორ დენტი (აშშ) 6:2, 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 6:3, 7:5; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)-დენის ისტომინი (ყაზ)** 5:2 ისტომინის უარი; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ჯერემი შარდი (საფ) 6:3, 6:7(3), 6:2; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 4:6, 6:3, 7:5; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 6)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:2, 6:7(5), 6:2; **მარდი ფიში (აშშ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 8) 7:6(1), 7:6(4); **ენდი როდიკი (აშშ, 9)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 7:6(4), 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 10)**-სემ კუერი (აშშ) 7:5, 6:2; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 13) 6:7(8), 6:3, 7:6(5); **ჟულიან ბენეტო (საფ)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 6:4, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ჯონ ისნერი (აშშ) 4:5 ისნერის უარი; **რიშარ გასკე (საფ)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:4, 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:0, 1:6, 6:3.

**1/8 ფინალი**

ნადალი (1)-ბენეტო; ბალდატისი-ბერდიხი (7); ფედერერი (3)-კოლშრაიბერი; ფერერი (10)-დავიდენკო (6); ფიში-გასკე; გულბისი-მიურეი (4); სიოდერლინგი (5)-როდიკი (9); ნალბანდიანი-ჯოკოვიჩი (2).

### WTA

**Rogers Cup**

მონრეალი (კანადა). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 000 000 დოლარი

**II წრე**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 2)**-პატი შნიდერი (შვეიც) 7:5, 7:5; **ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:2, 6:4; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 5)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 4:6, 6:4, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 6)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:4, 6:7(5), 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 7)**-ვანია კინგი (აშშ) 6:0, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 10)**-მარია კირილენკო (რუს) 6:4, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 11)**-ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც) 7:6(6), 6:4; **აგნეს შავაი (უნგ)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 13) 6:7(5), 6:3, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 15)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:3, 6:3; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-არავან რეზაი (საფ, 16) 5:7, 7:6(6), 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 17)**-კიმიკო დატე (იაპ) დატეს უარი; **დინარა საფინა (რუს)**-ნადია პეტროვა (რუს) 7:5, 4:6, 6:4; **კაია კანეპი (ესტ)**-სიბილ ბამერი (ავსტრია) 7:5, 6:2.

**1/8 ფინალი**

ბენეშოვა-ბარტოლი (17); აზარენკა (10)-ნა ლი (9); კლაისტერსი (5)-კანეპი; შავაი-ზვონარევა (8); ა. რადვანსკა (7)-კუზნეცოვა (11); ჟენგი-დემენტიევა (4); სკიავონე (6)-საფინა; პენეტა (15)-ვოზნიაცკი (2).

# ნალბანდიანის მესამე დაბრუნება

**დავიდ ნალბანდიანი** თავისი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და უნიკალური წარმომადგენელია. სავსებით შესაძლებელია, რომ ის ვერასდროს მოიგებს „დიდი სლემის“ ტურნირს და ვერ გახდება მსოფლიოს პირველი ჩოგანი, მაგრამ გულშემატკივრებს მოსაგონად ბევრი დაუვიწყარი მომენტი დარჩებათ. 2010 წელს არგენტინელი კიდევ ერთხელ დაბრუნდა არსაიდან. ვაშინგტონის ტურნირში გამარჯვების შემდეგ, მან მსოფლიოს რეიტინგში 70 პოზიციით წაიწია წინ, მაგრამ ამ სეზონში მიზნად არა პირად მიღწევებს, არამედ დევისის თასზე გამარჯვებას ისახავს. ამ ტურნირზე არგენტინა ნახევარფინალშია გასული.

დავიდის საუკეთესო წლები, ალბათ, წარსულს ჩაჰბარდა. საუკეთესო პერიოდი კი 2002-05 წლები იყო. მაშინ 20 წლის არგენტინელი თავის პირველივე უიმბლდონზე ფინალში გავიდა, სადაც **ლეიტონ ჰიუიტთან** წააგო. ყველაზე დიდ გამარჯვებას კი 2005 წელს, შანხაიში სეზონის შემაჯამებელ ტურნირში მიაღწია, როცა ფინალში 0:2-დან ხუთსეტიან დაძაბულ ბრძოლაში **როჯერ ფედერერი** დაამარცხა. გარდა ამისა, „დიდი სლემის“ ოთხივე ტურნირის ნახევარფინალში გავიდა (თანაც არაერთგზის), მაგრამ უფრო შორს გასვლა ვერ მოახერხა. ამით ის ე. წ. „სლემის ნახევარფინალისტების კლუბში“ მოხვდა. მოქმედ ჩოგბურთელებს შორის ამ ჯგუფში მხოლოდ ფედერერი, **რაფაელ ნადალი და ნოვაკ ჯოკოვიჩი** შედიან. ასე რომ, საკმაოდ პრესტიჟული მიღწევაა. ბოლოს მან დიდი ტურნირების ნახევარფინალურ ეტაპს 2006 წელს საფრანგეთის ღია პირველობაზე მიაღწია, სადაც ფედერერთან მატჩის მესამე სეტში შეწყვიტა თამაში. იმ მომენტში კარიერაში ყველაზე მაღალი - მესამე ადგილი ეჭირა ATP-ის რეიტინგში. სწორედ ამ პიკის შემდეგ დაიწყო ჩავარდნა და აბსოლუტურად ახალი პერიოდი ნალბანდიანის კარიერაში.

არგენტინელი არასოდეს ყოფილა სტაბილური მოთამაშე. პირიქით, ყველამ იცოდა, რომ კონკრეტული მომენტისთვის მისი თამაში განწყობაზე იყო დამოკიდებული, თუმცა დიდ ტურნირებზე მაქსიმალურად მობილიზებული გახლდათ. მაგრამ 2007 წელს ეს თვისებაც დაკარგა და დავიდი ATP-ის ტურის ერთ-ერთ ყველაზე არაპროგნოზირებად ჩოგბურთელად იქცა. ამის მიზეზი ნაწილობრივ ტრავმები იყო, ხანდახან კი სხვა გატაცებები უშლიდა ხელს. ცნობილია, რომ ნალბანდიანს ძალიან უყვარს ავტორბოლები, თევზაობა, ფეხბურთი... ის არასოდეს ამბობდა უარს საყვარელ გასართობებზე.

მაგრამ ოსტატობა და ნიჭი არსად დაკარგულა. ძალიან შთამბეჭდავი იყო მისი დაბრუნება 2007 წლის ბოლოს. მაშინ მას გრძელი წარუმატებელი სერია ჰქონდა და მონატრებული იყო გამარჯვებებს. დავიდმა მადრიდისა და პარიზის მასტერსებზე ხანგრძლივი სეზონისგან დაღლილ ლიდერებს „შავი დღე“ აყარა. ორ-ორჯერ დაამარცხა მსოფლიოს პირველი ორი ჩოგანი - რაფაელ ნადალი და როჯერ ფედერერი. საერთოდ, ნალბანდიანი ტურის ლიდერებისთვის ყოველთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს, რაზეც ამ ჩოგბურთელებთან ურთიერთშეხვედრების ანგარიშებიც კარგად მეტყველებს: 8:10 - ფედერერთან, 2:2 - ნადალთან, 2:1 - **ენდი მიურეისთან**. ასეთი მაჩვენებლებით ცოტა ვინმე თუ დაიკვეხნის.

ბევრს ეგონა, რომ შემოდგომის მასტერსებზე მიღწეული პროგრესის შემდეგ, ნალბანდიანი ლიდერებთან ბრძოლას გააგრძელებდა, მაგრამ მომავალ სეზონში მხოლოდ ორჯერ გაიბრწყინა, 2009 წელს კი ტრავმის გამო მაისის დასაწყისში დაასრულა სეზონი. აღდგენითი პროცესი ძალიან რთულად მიმდინარეობდა. დავიდმა რამდენჯერმე გადასწია დაბრუნების თარიღი და როგორც იქნა, ბუენოს აირესში საშინაო ტურნირზე გამოვიდა, სადაც ორი მატჩის შემდეგ შეწყვიტა ბრძოლა. ასე გრძელდებოდა დიდხანს - იწყებდა თამაშს და თავს ანებებდა. გულშემატკივრებმა ნალბანდიანის კარიერა კიდევ ერთი კარგი არგენტინელი ჩოგბურთელის **გილერმო კორიას** კარიერას შეადარეს. კორიაც დიდი ხანი უშედეგოდ ცდილობდა დაბრუნებას და ბოლოს თამაში დაასრულა.

საბედნიეროდ, ნალბანდიანს ასეთი რამ არ დაემართა. მან კარგი ტურნირი ჩაატარა მონტე კარლოში, შემდეგ ისევ რამდენიმე შეჯიბრება გამოტოვა, მათ შორის, როლან გაროსი და უიმბლდონი (საბოლოო ჯამში, დავიდს „დიდი სლემის“ ზედიზედ ექვსი ტურნირი აქვს გამოტოვებული). იმ დროს, როცა სხვა ჩოგბურთელები უიმბლდონის ბალახის კორტებზე იბრძოდნენ, ნალბანდიანი სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებისა და **დიეგო მარადონას** საქომაგოდ გაემგზავრა. ცნობილია, რომ დიეგო არაერთხელ დასწრებია ნალბანდიანის თამაშებს დევისის თასზე.

სწორედ დევისის თასი გახდა დავიდის მორიგი სტიმული. ნალბანდიანს ორჯერ ერთი ნაბიჯი დააკლდა ამ პრიზამდე. პირველი ფინალი არგენტინამ 2006 წელს მოსკოვში წააგო, არადა, ნალბანდიანმა ერთეულთა ორივე შეხვედრა მოიგო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ორი წლის შემდეგ, არგენტინა აშკარა ფავორიტი იყო შინ ესპანეთთან. დავიდმა ისევ იყოჩაღა ერთეულთა მატჩში, მაგრამ მაშინ იმედები ვერ გაამართლა ახალგაზრდა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**, რომელმაც გუნდი აშკარად დაალალატა.

ამ სეზონში დავიდი პირველივე რაუნდში დაეხმარა თავის გუნდს, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად 100 პროცენტით არ იყო მზად. მეხუთე მატჩზე გავიდა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა შვედ **ანდრეას ვინსიგერასთან**.

სწორედ როლან გაროსისა და უიმბლდონის შემდეგ, უთამაშებელი ნალბანდიანი რუსეთის დედაქალაქში ჩავიდა. რეიტინგის მიხედვით ის ნაკრების ბოლო მოთამაშე იყო, თუმცა ამას გუნდში მის ავტორიტეტზე არ უმოქმედია. არგენტინელი ასეთი მობილიზებული კარგა ხანია არავის ენახა. მან არც ერთი სეტი არ დაუთმო **ნიკოლაი დავიდენკოსა** და **მიხაილ იუჟნის**. დავიდი მზად იყო კორტზე მომკვდარიყო თავისი ნაკრების გამარჯვებისთვის. ასე შეწყვიტა ნალბანდიანმა დევისის თასზე რუსეთის ნაკრების 15-მატჩიანი საშინაო მოგებათა სერია.

რამდენიმე კვირაში, დავიდმა პირველად ითამაშა ATP-ის ტურნირში (ოთხთვიანი შესვენების შემდეგ) და როგორც აღმოჩნდა, დევისის მატჩებისთვის მზადებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ვაშინგტონში მან ყველა მეტოქეს მოუგო. მართალია, **ჟილ სიმონთან** და **მარკოს ბაღდატისთან** გაუჭირდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში არგენტინელი ბრწყინვალე იყო.

ნალბანდიანმა გასულ კვირას ტორონტოს მასტერსზეც გაიბრწყინა, სადაც დაბრუნების შემდეგ მოგებათა სერია 9 მატჩამდე აიყვანა. კანადაში მან ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა **დავიდ ფერერი, ტომი რობრედო** და **რობინ სიოდერლინგი**, მაგრამ გადაღლილმა მეოთხედფინალში წინააღმდეგობა ვერ გაუწია ენდი მიურეის. ამ კვირას, ცინცინატის მასტერსზე უკვე ორი წრის გავლა მოასწრო - მოუგო **ივან ლუბიჩიჩსა და ჯონ ისნერს**.

რთული სათქმელია, როგორ აეწყობა არგენტინელის გამოსვლები მომდევნო ტურნირებში - არასოდეს იცი, როდის ითამაშებს ის გენიალურ მატჩს ან როდის ჩააგდებს ტურნირს. ამერიკის ღია პირველობის დასრულებისთანავე გაიმართება დევისის თასის ნახევარფინალური ეტაპი, სადაც არგენტინა სტუმრად ეთამაშება საფრანგეთს. დავიდმა ძალიან უნდა მოინდომოს, რომ კარიერაში მესამედ მიუხლოვდეს საოცნებო პრიზს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



დავიდ ნალბანდიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფორმულა 1

# სპას საფრთხე დაემუქრა




სპას საფრთხე დაემუქრა

ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის მომდევნო ეტაპი - ბელგიის გრან-პრი სპას ავტოდრომზე ჩატარდება. ეს არის „სამეფო რბოლების" ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საყვარელი ტრასა, ისევე როგორც მონაკო, მონცა ან სილვერსტოუნი. შეგახსენებთ, რომ ბელგიური რბოლა უკვე რამდენიმე წელია კალენდრიდან ამოღების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია. საქმე ისაა, რომ ტრასამ, რომელიც ფაქტობრივად მუნიციპალურ გზებზეა დაგებული, ამოწურა რეკონსტრუქციის შესაძლებლობები. სპამ უკვე რამდენჯერმე გამოტოვა ჩემპიონატი, მაგრამ ორგანიზატორებისა და ადგილობრივი ხელისუფლების უდიდესი მონდომებით უბრუნდებოდა კალენდარს. ამისთვის მთავრობა ფულს არასოდეს იშურებდა.

ფორმულა 1-ის მფლობელებთან ბელგიელების კონტრაქტი 2012 წლის ბოლოს იწურება. საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები შიშობენ, რომ ხელშეკრულება აღარ გაგრძელდება. მთავარი მიზეზი ისაა, რომ ბოლო დროს გამოჩნდა ბევრი ქვეყანა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზება სურს. მართალია, კალენდარიც იზრდება, მაგრამ ის ყველა მსურველს ვერ დაიტევს. როგორც იცით, წელს ფორმულა 1-ში დებიუტი აქვს კორეას, გაისად ინდოეთი ჩაჯდება კალენდარში. რიგში არიან - აშშ, რუსეთი და იტალიის დედაქალაქი რომი.

სპას ავტოდრომის დირექტორი **ანდრე მაესი** აღიარებს: *„არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ბერნი ექლსტოუნი მუდმივ მოლაპარაკებებს აწარმოებს ახალ კანდიდატებთან და კონკურენციაც იზრდება. ხომ ხედავთ, საფრანგეთმა დაკარგა ეტაპი, ბრიტანელებმა კი დიდი გაჭირვებით შეინარჩუნეს სილვერსტოუნის რბოლა. რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ კონტრაქტის გასაგრძელებლად. ამის დიდი სურვილი გვაქვს".*

# ფეტელი უკვე ჩემპიონი უნდა იყოს

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ წელს „რედ ბულს" საუკეთესო მანქანა ჰყავს, მაგრამ გუნდი ჯერჯერობით ვერ ახერხებს „ბრაუნ გრან-პრის" შარშანდელი წარმატების გამეორებას. 2009 წელს, ამ გუნდს ჩემპიონატის პირველ ნახევარში მოპოვებული უპირატესობა ეყო ტიტულის მოსაპოვებლად. გერმანული „ბილდის" ჟურნალისტებმა გაანალიზეს წინა რბოლებში „რედ ბულის" გერმანელი პილოტის **სებასტიან ფეტელის** გამოსვლა...




ფეტელი (მარჯვნივ) ამ სეზონში ხშირად დაამწუხრეს

ფეტელმა ამ სეზონში შვიდჯერ (!) მოიპოვა პოული, მაგრამ ერთადერთხელ (ვალენსიაში) მოახერხა ამ უპირატესობის რეალიზება. სებასტიანმა კიდევ ერთი რბოლა მალაიზიაში მოიგო, მაგრამ მაშინ მესამე პოზიციიდან აილო სტარტი. ფორმულა 1-ის ისტორიაში 832 რბოლიდან 329-ში გაიმარჯვა პოულის მფლობელმა. ეს 39.4 პროცენტს შეადგენს, ფეტელის შემთხვევაში კი ეს კოეფიციენტი მხოლოდ 14.28 პროცენტს უდრის.

შაბათის კვალიფიკაციებში ფეტელი საჩემპიონო დონეზე გამოდის, კვირას რბოლებში კი უპირატესობას ფლანგავს. შაბათობით ისეთივე რაოდენობის ქულებს რომ არიგებდეს, როგორც კვირას, ამ შემთხვევაში სებასტიანს 102-ქულიანი უპირატესობა ექნებოდა.

საინტერესოა, რა მდგომარეობა იქნებოდა საერთო ჩათვლაში, თუ პილოტები იმ ადგილებზე დაასრულებდნენ რბოლებს, საიდანაც სტარტი აიღეს: სებასტიან ფეტელი - 253 ქულა, 25-ით მეტი, ვიდრე **მარკ უებერს**. სხვათა შორის, ამ უკანასკნელსაც სოლიდური უარყოფითი სხვაობა აქვს შაბათისა და კვირის შედეგებს შორის - 67 დაკარგული ქულა. ეს ყველაფერი კვირის რბოლებში „რედ ბულის" პილოტების ბევრ შეცდომაზე მიუთითებს.

**ლუის ჰემილტონს** („მაკლარენი") ექნებოდა არა 157, არამედ 127 ქულა (+30). ბრიტანელი რბოლებისას ხშირად აუმჯობესებდა კვალიფიკაციის შედეგებს, თუმცა, ყველაზე დიდი სხვაობა შაბათისა და კვირის შედეგებს შორის მის თანაგუნდელ **ჯენსონ ბატონს** აქვს - +69 ქულა.

სეზონის დარჩენილ რბოლებში „რედ ბულის" მიზანი ზუსტად ჩამოაყალიბა გუნდის ხელმძღვანელმა **კრისტიან ჰორნერმა**: *„ჩემპიონატის დასკვნით ფაზაში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სასტარტო პოზიციების რეალიზება და რაც შეიძლება მეტი ქულის მოპოვება"*. ვნახოთ, რა მოხდება ბელგიაში 29 აგვისტოს.

## ცურვა

# ფელპსი ფორმაში შედის



ფელპსს დაღლა ეტყობა

14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი** თანდათან იბრუნებს ოპტიმალურ სპორტულ ფორმას. ლეგენდარული ამერიკელი წყნარი ოკეანის თამაშებში ჩაება და პირველივე დღეს ბატერფლაით ცურვაში 200-მეტრიანი დისტანცია მოიგო. ამერიკის ქალაქ ირვაინის აუზში ფელპსმა წუთი და 54,11 წამი დააფიქსირა, რაც ამ სეზონის საუკეთესო შედეგია.

ფინიშის შემდეგ 25 წლის ფელპსმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არ იმყოფება ოპტიმალურ ფიზიკურ ფორმაში. მაიკლის თქმით, მას განსაკუთრებით ბოლო 15 მეტრი გაუჭირდა, როცა ძლივს მიაღწია ფინიშს.

მეორე ადგილი ამ დისტანციაზე ავსტრალიელმა **მარკ დ'არსიმ** მოიპოვა (წუთი, 54.73 წამი), მესამე - იაპონელმა **ტაკეში მაცუდამ** (წუთი, 54.81 წამი). წყნარი ოკეანის თამაშები სამ დღეს გაგრძელდება.

200 მეტრი ბატერფლაით ფელპსის ერთ-ერთი საყვარელი დისტანციაა. აქ მას რვაჯერ აქვს განახლებული მსოფლიოს რეკორდი. ბოლოს ეს 2009 წელს, რომში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა, სადაც ამერიკელმა წუთი და 51,51 წამი აჩვენა. შედარებისთვის, ცოტა ხნის დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე პოლონელ **პაველ კორჟანევსკის** ამ დისციპლინაში გამარჯვებისთვის წუთი და 55.0 წამი დასჭირდა.

## კრივი

# აქაც ვიდეოგამეორებები?

სახელგანთქმული ამერიკელი პრომოუტერი **დონ კინგი** თავის აზრებს გვიზიარებს პროფესიულ კრივში სავარაუდო ცვლილებების შესახებ. კერძოდ, კინგი ეთანხმება ვიდეოგამეორებების შემოღებას და აგრეთვე ითხოვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მსგავსი საკრივო ორგანიზაციის შექმნას, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სპორტის ამ სახეობაში მიმდინარე მოვლენებს.

*„ვფიქრობ, მოვიდა ვიდეოგამეორებების დანერგვის დრო,* - ამბობს დონ კინგი Fanhouse-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. *- ხანდახან რეფერის სწორი გადაწყვეტილების მისაღებად დროის უკან დაბრუნება და სიტუაციის თავიდან შეფასება ესაჭიროება. ასევე უცნაურია, რომ პროფესიულ კრივში არ არსებობს ისეთი საორგანიზაციო სტრუქტურა, როგორიც საფეხბურთო ან საკალათბურთო ლიგებს აქვთ. უნდა შეიქმნას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მსგავსი მსოფლიოს ლიგა. კრივმა არა მხოლოდ პრომოუტერებისა და ტელევიზიის, არამედ საზოგადოების სასარგებლოდაც უნდა იმუშაოს".*

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ევროპის ლიგა

| პლეი ოფი. I მატჩები | |
|---|---|
| სიბირი-პსვ ეინდჰოვენი | 1:0 |
| ბატე-მარიტიმუ | 3:0 |
| ლევერკუზენი-ტავრია | 3:0 |
| ცსკა (მ)-ანორთოსისი | 4:0 |
| პსჟ-მაკაბი (თ-ა) | 2:0 |
| რაპიდი-ასტონ ვილა | 1:1 |
| სლოვანი-შტუტგარტი | 0:1 |
| აიკ-ლევსკი | 0:0 |
| დერბეცენი-ლიტექსი | 2:0 |
| დნიპრო-ლეხი | 0:1 |
| ვასლუი-ლილი | 0:0 |
| ომონია-მეტალისტი | 0:1 |
| ოდენსე-მოზერველი | 2:1 |
| ფეიენოორდი-გენტი | 1:0 |
| სტიაუა-გრასჰოპერსი | 1:0 |
| გალათასარაი-კარპატი | 2:2 |
| ბრიუგე-დინამო (მნ) | 2:1 |
| ცსკა (ს)-ტნს | 3:0 |
| ჰაიდუკი-უნირეა | 4:1 |
| ლოზანა-ლოკომოტივი | 1:1 |
| პალერმო-მარიბორი | 3:0 |
| პაოკ-ფენერბაჰჩე | 1:0 |
| გენკი-პორტუ | 0:3 |
| სელტიკი-უტრეხტი | 2:0 |
| ტიმიშოარა-მანჩესტერ სიტი | 0:1 |
| ლივერპული-ტრაბზონი | 1:0 |
| ალკმაარი-აქტობე | 2:0 |
| დანდი იუნ-აეკ | 0:1 |
| ხეტაფე-აპოელ | 1:0 |
| დიორი-დინამო (ზ) | 0:2 |
| ნაპოლი-ელფსბორგი | 1:0 |
| დორტმუნდი-ყარაბახი | 4:0 |
| შტურმი-იუვენტუსი | 1:2 |
| სპორტინგი-ბრონდბიუ | 0:2 |
| ვილიალეარი-დნეპრი | 5:0 |

#### შვედეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ანგელჰოლმი-სირიანსკა | 0:0 |
| ასირისკა-იონჩოპინგი | 0:0 |
| ფალკენბერგი-ლანდსკრონა | 4:0 |
| სუნდსვალი-ლიუნგსკილე | 3:2 |

#### შვეიცარია

| ჩელენჯლიგა | |
|---|---|
| ვილი-ვადუცი | 1:2 |

#### ისლანდია

| | |
|---|---|
| გრინდავიკი-ჰაფნარი | 3:1 |
| რეიკიავიკი-ფრამი | 2:1 |
| სელფოსი-კეფლავიკი | 3:2 |

### კალათბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| კანადა-სლოვენია | 71:86 |
| საბერძნეთი-სერბეთი | გადაიდო |

### ჩოგბურთი

| ATP. ცინცინატი | |
|---|---|
| მიურეი-გულბისი | 4:6, 6:3, 7:6 |
| ფიში-გასკე | 7:5, 6:2 |
| ჯოკოვიჩი-ნალბანდიანი | 6:1, 7:6 |
| ნადალი-ბენეტო | 5:7, 7:6, 6:2 |
| ბერდიხი-ბალდატისი | 5:7, 4:6 |

| WTA. მონრეალი | |
|---|---|
| აზარენკა-ნა ლი | 6:3, 6:3 |
| ბარტოლი-ბენეშოვა | 6:0, 6:1 |
| ზვონარევა-შავაი | 6:3, 6:3 |
| კუზნეცოვა-ა. რადვანსკა | 6:4, 1:6, 6:3 |
| კლაისტერსი-კანეპი | 6:2, 6:1 |
| დემენტიევა-ჟენგი | 6:7, 4:6 |

## TV პროგრამა

### 20 აგვისტო. პარასკევი

#### I არხი

**19:00** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი. საქართველო-ბელგია (LIVE).

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**06:25** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ჰერენვეენი.
**08:10** ევროპის ლიგა. პლეი ოფი. I მატჩი. ცსკა-ანორთოსისი.
**10:05** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. I მატჩი. ბრაგა-სევილია.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**12:25** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**12:30** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. I მატჩი. იანგ ბოიზი-ტოტენჰემი.
**14:20** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**14:25** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. I მატჩი. სპარტა-ჟილინა.
**16:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:20** ახალი ამბები.
**16:35** ევროპის ლიგა. პლეი ოფი. I მატჩი. ცსკა-ანორთოსისი.
**18:30** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:35** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. I მატჩი. ზენიტი-ოსერი.
**20:30** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**20:35** ახალი ამბები.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**21:55** საფეხბურთო პროგრამა.
**22:25** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვოლფსბურგი (LIVE).
**00:25** ახალი ამბები.
**00:40** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. I მატჩი. ბაზელი-შერიფი.
**02:45** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვოლფსბურგი.
**04:40** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვიტესი.

#### EUROSPORT

**10:30** ველოსპორტი. ბენილუქსის ტური. II ეტაპი.
**12:00** ნიჩბოსნობა. კანოე. მსოფლიოს ჩემპიონატი. პოზნანი. პოლონეთი (LIVE).
**15:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. მონრეალი. კანადა.
**16:45** ველოსპორტი. ბენილუქსის ტური. III ეტაპი (LIVE).
**19:00** ნიჩბოსნობა. კანოე. მსოფლიოს ჩემპიონატი. პოზნანი. პოლონეთი.
**20:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. მონრეალი. კანადა.
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მონრეალი. კანადა (LIVE).
**22:45** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 134. ვისლა. პოლონეთი (LIVE).
**00:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მონრეალი. კანადა (LIVE).
**01:15** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. ჰოლანდია.
**02:15** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 134. ვისლა. პოლონეთი.

## ამბები

### კალათბურთი

# ფერნანდესს NBA აღარ უნდა

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ფორვარდი **რუდი ფერნანდესი** NBA-ში კარიერის დასრულებას აპირებს. ესპანელი კალათბურთელის აგენტი ამბობს, რომ რუდი აღარ დაბრუნდება ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და ევროპაში განაახლებს თამაშს.

როგორც ირკვევა, ფერნანდესი უკმაყოფილოა კლუბში თავისი მდგომარეობით და მიიჩნევს, რომ მწვრთნელებმა უფრო მეტი სათამაშო დრო უნდა გამოუყონ.

რუდის მოქმედი კონტრაქტი „პორტლენდთან" ორი წლის შემდეგ სრულდება, მაგრამ ესპანელი კლუბის უფრო ადრე დატოვებას იმედოვნებს. „ბლეიზერსმა" უკვე სცადა ფერნანდესის სხვა გუნდში გაცვლა, მაგრამ სასურველი ვარიანტი ვერ გამონახა.

# დალასმა ტომასი გაიფორმა

თავისუფალმა აგენტმა **ტიმ ტომასმა** „დალას მავერიქსთან" გააფორმა კონტრაქტი. ლიგის ვეტერანი, რომელსაც NBA-ში 13 სეზონი აქვს ჩატარებული, შარშანაც „დალასში" ირიცხებოდა. ამ გუნდის შემადგენლობაში მან 18 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 7.5 ქულა და 2.3 მოხსნა დააგროვა.

„დალასი" ტომასის კარიერაში მეშვიდე კლუბია. შარშანდელი სეზონის დიდი ნაწილი მან ტრავმის გამო გამოტოვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# პროფესიონალებთან უფრო ადვილია

ამერიკაში ბევრს არ უყვარს დიუკის უნივერსიტეტის ცნობილი საკალათბურთო გუნდი, მაგრამ კალათბურთში გაცნობიერებული ნებისმიერი ადამიანი აღიარებს ამ გუნდის მწვრთნელის მაიკ კრჟიჟევსკის ავტორიტეტს. სტუდენტური ლიგის ოთხი საჩემპიონო ტიტული, 2008 წლის ოლიმპიური ოქრო, ამერიკის ნაკრების აღორძინება - ეს ყველაფერი ამ თავშეკავებული, ასკეტური გარეგნობის პოლონელის მაღალ კლასზე მეტყველებს.

მორიგი დიდი საერთაშორისო ფორუმის წინ „მწვრთნელი კეი" (ასე უწოდებენ მაიკ კრჟიჟევსკის ამერიკაში) ენთუზიაზმით არის სავსე. და ეს იმ ყველა პრობლემის მიუხედავად, რომელიც ამერიკის ახალ ნაკრებს შეექმნა. შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიადის არც ერთმა (!) ჩემპიონმა არ ისურვა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაკრების ნულიდან შექმნა გახდა საჭირო. არადა, ამ გუნდისგან მხოლოდ ოქროს მედლის მოპოვებას ელიან. ნებისმიერ სხვა შედეგს სამშობლოში ჩავარდნად აღიქვამენ - ამაში ეჭვი არავის ეპარება.

საწვრთნელი შეკრების პროცესში ამერიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მაიკ კრჟიჟევსკიმ ინტერვიუ მისცა Yahoo Sports-ს.

**- სტუდენტების გაწვრთნა, რასაც უკვე მრავალი წელია აკეთებთ და პროფესიონალებთან მუშაობა - აბსოლუტურად განსხვავებული საქმიანობებია. რაში მდგომარეობს მთავარი განსხვავება „დიუკში" მუშაობასა და ნაკრებში მოღვაწეობას შორის, სადაც თქვენ საქმე გაქვთ არა სტუდენტებთან, არამედ NBA-ის ვარსკვლავებთან?**

- ყველაზეა მთავარია - გქონდეს ამ ბიჭებთან მუშაობის საჭირო გამოცდილება. ამაზე მნიშვნელოვანი არაფერია. უნდა გესმოდეს განსხვავება მათ და დანარჩენ კალათბურთელებს შორის. ისინი უმაღლესი დონის პროფესიონალები არიან, თითოეულ მათგანს გააჩნია ღირსების გრძნობა, საკუთარი „მე". ამაში ცუდი არაფერია, უბრალოდ ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ბრწყინვალედ იციან თავიანთი ადგილი და მნიშვნელობა. თქვენ არ გჭირდებათ მათთვის რაიმეს სწავლება, ნებისმიერ იდეას სწრაფად ისრუტავენ. ისინი - არა სკოლის მოსწავლეები, არამედ მაღალი კლასის მზა სპეციალისტები არიან.

**- ანუ ისინი უბრალოდ კალათბურთს თამაშობენ და მეტი არაფერი?**

- დიახ, ისინი უბრალოდ თამაშობენ და ხანდახან ამაში ხელი არ უნდა შეუშალო. მაგრამ ამავდროულად, პროფესიონალები მზად არიან გაითვალისწინონ თქვენი ყველა აზრი, რჩევა თუ იდეა, თანაც გაცილებით სწრაფად და იოლად, ვიდრე ამას სტუდენტები აკეთებენ. ეს ბიჭები შესანიშნავად აცნობიერებენ სიტყვა - „პასუხისმგებლობას", ამასთან ერთად, არ ივიწყებენ თავიანთ როლს ერთ მთლიან კოლექტივში. ამ მხრივ მათთან მუშაობა უფრო იოლია, ვიდრე სტუდენტებთან.




**- რამდენად განსხვავებულია სამუშაო პროცესი? სტუდენტურ ჩემპიონატში გრძელ სეზონს არაფერი აქვს საერთო მოკლევადიან მსოფლიოს ჩემპიონატთან, რომელიც სულ რაღაც ორ-სამ კვირაში სრულდება.**

- განსხვავება ძალიან დიდია. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ საერთოდ არ გვაქვს ერთიანი გუნდის შესაქმნელი დრო. ჩემი საუნივერსიტეტო კლუბის მომზადებისას, ზუსტად მაქვს წარმოდგენილი, ვის რა შეუძლია და რომელ სათამაშო რგოლში გვექნება უპირატესობა. ნაკრების შემთხვევაში სულ სხვა სიტუაციაა. მახსოვს, ამას წინათ ვიღაცამ მკითხა: „რამდენი დრო დაგჭირდათ გუნდის შესაქმნელად?" დავფიქრდი და ვუპასუხე: „ოთხი დღე". ცოტაა არა? სხვა ნაკრებებს ამ მხრივ უპირატესობა აქვთ, ბევრი გუნდი მრავალი წლის განმავლობაში იქმნებოდა და მათ შეთამაშებული შემადგენლობა ჰყავთ.

**- თქვენ ილაპარაკეთ NBA-ის თითოეულ მოთამაშეში არსებული „მეს" შესახებ და აღნიშნეთ, რომ ეს ცუდი არ არის. მაგრამ თქვენ არ გაქვთ ვარსკვლავებთან მუდმივი მუშაობის გამოცდილება....**

- ეს ნორმალური სამუშაო პროცესია. თითოეული მოთამაშე მიჩვეულია კლუბში თავის როლს, მაგრამ ნაკრებში, შესაძლოა, სულ სხვა ფუნქციის შესრულება დაევალოს. ჩვენ მათგან ახალ პირობებთან ადაპტაციას ვითხოვთ, მაგრამ გარკვეული ვალდებულებები მწვრთნელებსაც გაგვაჩნია - ჩვენც უნდა მოვახდინოთ ადაპტირება მოთამაშეებთან. ძირითადად, ეს არის ინსტინქტებზე აწყობილი თამაში და თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ შეგირდების ინსტინქტებს, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეს ცუდად ვაკეთებთ.

**- ვარსკვლავებთან ადაპტირების უნარი თუ გამოგადგათ სტუდენტებთან მუშაობაში?**

- რა თქმა უნდა, მე ვსწავლობ - ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია ჩვენს საქმეში. მე მქონდა ბედნიერება მემუშავა ისეთი ბრწყინვალე სპეციალისტების მხარდამხარ, როგორებიც არიან ნეიტ მაკმილანი, მაიკ დ'ანტონი, ჯიმ ბოჰაიმი, ჯეი ტრაიანო. მე მათ საკუთარ იდეებს ვუზიარებ, ერთმანეთს აზრებს ვუცვლით და ამასთან ერთად, ვსწავლობ თითოეული მოთამაშის ჩვევებსა და მანერებს. სწორედ ეს არის სამწვრთნელო სამუშაო, გუნდის მზადების პროცესი, რომელიც სტანდარტული ვერასოდეს იქნება. შენ მუდმივად უნდა იზრდებოდე.

**- ეროვნულ ნაკრებში მუშაობა - სტუდენტურ ჩემპიონატში მონოტონური სამუშაოსგან დასვენების კარში საშუალებაა?**

- ასე ვერ ვიტყოდი. ეს არის შეუფასებელი გამოცდილების მიღების უნიკალური შესაძლებლობა. და კიდევ, ეს უდიდესი პატივია.







# საბერძნეთი და ესპანეთი დაუმარცხებლად

მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მონაწილის - პუერტო რიკოს რიგებში სკანდალი მოხდა. სამწვრთნელო შტაბთან უთანხმოების გამო, გუნდი დატოვა და სამშობლოში გაემგზავრა ორი ვეტერანი მცველი - **ლარი აიუსო და კრისტიან დალმაუ.**

ორივე კალათბურთელი ნაკრებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მათ კარგად წარმოაჩინეს თავი საკონტროლო მატჩებში, მაგრამ სასტარტო ხუთეულში ვერ მოხვდნენ. სწორედ ეს გახდა მწვრთნელებთან უთანხმოების მიზეზი.

გათავისუფლებულ ორ ადგილს, სავარაუდოდ 25 წლის **გილერმო დიასი** („კაზერტა", იტალია) და 23 წლის **დევიდ უერტასი** („კებრადილიასა") დაიკავებენ. დანარჩენი 10 კალათბურთელი უკვე ჩავიდა გერმანიაში, სადაც 20 და 22 აგვისტოს საკონტროლო მატჩები გაიმართება ადგილობრივ გუნდთან.

■ ■ ■

ესპანეთის ქალაქ ლოგრონიოში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სამი გუნდი მონაწილეობდა. ბოლო შეხვედრაში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ესპანეთის ნაკრებმა დიდი ანგარიშით დაამარცხა ბრაზილია და ორი მოგებით ტურნირის გამარჯვებული გახდა.

გუნდებმა ამ მატჩში შესამჩნევად შესუსტებული შემადგენლობები გაიყვანეს. ესპანელების რიგებში არ თამაშობდნენ **რუდი ფერნანდესი** და **მარკ გასოლი**, ბრაზილიას აკლდა - **ტიაგო სპლიტერი** და **ნენე ილარიო.** თანაც, მატჩის მსვლელობისას სტუმრების რიგებში ტრავმები მიიღეს **ანდერსონ ვარეჟაომ** და **მარსელინიო უერტასმა.**

ერთი შეხედვით მძიმე ჩანდა ვარეჟაოს ტრავმა. მეოთხე მეოთხედში „კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდი ცუდად დაეცა და ფეხი დაიზიანა. ის მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს გამოსაკვლევად. ექიმების დასკვნა დამაიმედებელი აღმოჩნდა - ვარეჟაო მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტამდე მოასწრებს გამოჯანმრთელებას. რაც შეეხებათ სპლიტერსა და ნენეს, მათი დაბრუნება 22-24 აგვისტოს ლიონის საერთაშორისო ტურნირისთვის არის ნავარაუდები.

მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველ მატჩს ბრაზილია 28 აგვისტოს საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარებს.

**ესპანეთი–ბრაზილია 84:68**

ე: ნავარო (13), სანემეტერიო (10), გარბახოსა (10).

ბ: მაშადო (14).

**სატურნირო მდგომარეობა:** ესპანეთი - 2 მოგება/0 წაგება; არგენტინა - 1/1; ბრაზილია - 0/2.

■ ■ ■

ათენში კი აკროპოლის ტურნირი მიმდინარეობს, სადაც ოთხი გუნდი მონაწილეობს. ესპანეთის მსგავსად, მსოფლიოს ჩემპიონატის მზადების პროცესში დაუმარცხებელია საბერძნეთის ნაკრები. საშინაო ტურნირზე ამ გუნდმა უკვე ორი მატჩი მოიგო - პირველ ტურში 74 (!) ქულის სხვაობით დაამარცხა კანადა. საბერძნეთის ნაკრების ისტორიაში ეს ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვებაა. მეორე დღეს, ბერძნებმა სლოვენია გაანადგურეს 24 ქულით.

დაფიქსირდა ერთი სენსაციაც - მასპინძლებთან სირცხვილნაჭამმა კანადამ მეორე ტურში სერბეთს მოუგო.

**საბერძნეთი–კანადა 123:49**

ს: შორცანიდისი (24), ვასილიადისი (14).

კ: შეპარდი (12), დენ. ბრაუნი (10).

**სერბეთი–სლოვენია 82:81**

სერ: ველიჩკოვიჩი (21), კრსტიჩი (17).

სლო: გ. დრაგიჩი (27).

**სერბეთი–კანადა 58:62**

ს: მარკოვიჩი (10), ველიჩკოვიჩი (9).

კ: დენ. ბრუანი (22), შეპარდი (12), კენდალი (8).

**საბერძნეთი–სლოვენია 96:72**

**საბ:** კალეტასი (16), შორცანდისი (15), ცისისი (14).

**სლო:** ვიდმარი (17), კლობუჩარი (14).

**სატურნირო მდგომარეობა:** საბერძნეთი - 2 მოგება/0 წაგება, სერბეთი - 1/1, კანადა - 1/1, სლოვენია - 0/2.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა